წელიწადი მეთორმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის, თბილისის კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე დღის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.
ტელეფ.:
რედაქტორის . . . 14-76
რედაქტორის მოადგ. 23-17
მდივნის 10-58
მასიური განყოფილ. 22-44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ. № 34 ტელეფონი № 8-81.

ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მანეთი
1 წლით—12 მან.
უცხოეთში
1 თვით—3 მანეთი
გაზეთის მიუღებლობის შემთხვევაში დარეკეთ ტელ. № 17-55

განცხადების ფასი
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მ. 50 კ. ტექსტის შიგნით—3 მ.; სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა—25—35 მ. განცხადებები მიიღება თბილისში მხოლოდ „კომუნისტი"-ს მთ. კანტორაში (რუსთაველის პრ. № 34) 15 ნახევარ საათამდე. პროვინციაში—ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებში (სავაჭრო ბიუროებში). განცხადებები ტელეფონის საშუალებით არ მიიღება.

— შანხაის ჩინურ ნაწილში ბრძოლა [illegible]
— იაპონიის მთავრობის პა[illegible] ნოტაზე.
— ჩინეთის ჯარისკაცთა კომიტეტის მოწოდება.

შაბათი, 6 თებერვალი 1932 წ. ყოველდღიური გაზეთი № 31 (3285) ფასი 5 კაპ.

მეორე ხუთწლედის შესახებ

ამხ. მოლოტოვის მოხსენება XVII პარტკონფერენციაზე

მოსკოვი, 4 თებერვალი. ამხანაგებო! ის ფაქტი, რომ ჩვენი პარტია იწყებს სახალხო მეურნეობის მეორე ხუთწლიანი გეგმის ამოცანების განხილვას, თვითონ ლაპარაკობს ის უპირველეს ყოვლისა თავის თავზე, ლაპარაკობს იმაზე, რომ ჩვენი 1-ლი 5-წლიანი გეგმა წარმატებით სრულდება. შემდეგ ის ლაპარაკობს იმაზე, რომ ჩვენ გვაქვს სრული რწმენა იმისა, რომ 1932 წელი იქნება ხუთწლედის დამთავრების წელი, და რომ ჩვენ პირველ ხუთწლედს დავამთავრებთ ოთხ წელში.

საჭიროა შევჩერდეთ საბჭოთა კავშირის მეორე ხუთწლიანი გეგმის დამუშავების ფაქტის მნიშვნელობაზე.

უპირველეს ყოვლისა ამ ფაქტის საერთაშორისო მნიშვნელობაზე.

ამ ფაქტის საერთაშორისო მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ყოველი ქვეყნის მუშას, ყოველი სახელმწიფოს მშრომელს საშუალება აქვს შეადაროს ბურჟუაზიის ბატონობის შედეგები კაპიტალისტურ სახელმწიფოებში იმ შედეგებს, ჯერ კიდევ პირველ შედეგებს, რომელიც მოყვა მუშათა კლასის ბატონობას პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში. ამასთანავე ჩვენ უარს არ ვამბობთ შევადაროთ ტექნიკურ-ეკონომიურად ყველაზე მოწინავე, ყველაზე მდიდარ, ყველაზე ძლიერ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ამჟამად, როდესაც კრიზისმა მოიცვა ყველა კაპიტალისტური ქვეყნები და ეს კრიზისი თანდათან ღრმავდება და არღვევს მრეწველობას და მეურნეობის სხვა დარგებს, ბურჟუაზიული სახელმწიფოების შედარება საბჭოთა კავშირთან განსაკუთრებით თვალსაჩინოა. ეს შედარება საშუალებას იძლევა ურყევად უპასუხოთ კითხვაზე იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის მომავალი—პროლეტარიატს და მის ხელისუფლებას, თუ ბურჟუაზიას და მის ბატონობას. აშკარაა, რომ საერთაშორისო თვალსაზრისით ჩვენი წარმატება, სოციალიზმის მშენებლობის ძლევამოსილი წარმატება, რაც გამოიხატება პირველი ხუთწლედის და მეორე ხუთწლედის პირველი ვარაუდების წარმატებით განხორციელებაში ყველა ქვეყნების მუშებს და მშრომელებს ეუბნება, რომ მომავალი ეკუთვნის არა ბურჟუაზიის ბატონობას, არამედ პროლეტარიატის დიქტატურას და რომ ფაქტები ლაპარაკობენ კაპიტალიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმის სასარგებლოდ.

მეორე. შინასაბჭოთა თვალსაზრისითაც ჩვენი მეორე ხუთწლედის ამოცანებზე გადასვლა ბევრს მოწმობს.

ეს ერთ-ერთი გადამწყვეტი მაგალითია იმისა, თუ რას იძლევა მუშათა კლასის ხელმძღვანელობა გლეხთა მასის მიმართ ბურჟუაზიის ძალაუფლების დამხობის შემდეგ.

საბჭოთა კავშირში, პირველად საერთაშორისო ისტორიაში, ძალაუფლება მუშათა კლასის ხელშია, რომელსაც თან მიჰყავს სოფლის მშრომელი მასები და მათთან ერთად ანხორციელებს მთელი სახალხო მეურნეობის გარდაქმნას სოციალისტურ საფუძველზე. ჩვენი წარმატება—მუშათა კლასის ძლევამოსილი წარმატება—მდგომარეობს იმაში, რომ ფართოდ იშლება სოციალიზმის მშენებლობა არა მარტო ქალაქში, არამედ სოფლადაც და რომ სოფლის მშრომელთა ყველაზე ჩამორჩენილი ნაწილი იწყებს ზრდას სოციალიზმისაკენ, უკლასო სოციალისტურ საზოგადოებისაკენ.

დაბოლოს, უშუალოდ სამეურნეო თვალსაზრისით, ჩვენი წარმატება არის გეგმიანი სოციალისტური მშენებლობის წარმატებაც. აქამდე არც ერთ ქვეყანაში, არსად მსოფლიოში არ ყოფილა გეგმიანი სახელმწიფო მეურნეობა. ჩვენ აქ ვდგამთ პირველ ნაბიჯებს და შედეგებიც თვალსაჩინოა. ერთი ამოცანების გადაწყვეტიდან ჩვენ გადავდივართ ახალ, ყოველ წლიურად უფრო რთულ ამოცანებზე.

გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის წარმატება—ეს არა მარტო და არა იმდენად ჩვენი სამეურნეო-მგეგმავ ორგანოების უშუალო წარმატებაა. ჩვენი დაგეგმვა და აღრიცხვა არ განისაზღვრება ამ შედარებით ვიწრო ფარგლებში, ნამდვილი სამეურნეო მუშაობა—სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ორგანიზაცია და გეგმის შემუშავება—შეიძლება საქმით წარმოებული იქნას და სწარმოებს კიდეც მუშათა მასების აქტიური მონაწილეობით გეგმების დამუშავებაში, ამასთანავე ხანდახან საგრძნობლად იცვლება თავდაპირველად შემუშავებული ვარაუდები.

სოციალისტურ მშენებლობაში მუშათა კლასის და მშრომელთა ამ აქტიურ მონაწილეობაზე დაყრდნობით მუშავდება პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი სამეურნეო გეგმები.

არ შეიძლება აგრეთვე დავივიწყოთ სახალხო მეურნეობის გეგმის შესამუშავებლად წარმოებული ის დიდი მუშაობა, რომელიც წინ უძღოდა მეორე ხუთწლიანი გეგმის მომზადებას.

სახალხო მეურნეობის პირველი გეგმა იყო „გოელრო"-ს ელექტროფიკაციის გეგმა. ეს იყო შავი გეგმა—ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის საერთო ტექნიკური რეკონსტრუქციის საქმის დასაწყისი. ამ მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი ჩვენი სამეურნეო მუშაობისათვის თვით დაგეგმვის საქმის განვითარებისათვის.

შემდეგ ჩვენ ვიცით, რომ თავის დროზე დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული პირველი წლიური გეგმების—„სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების" შესადგენად. პირველად საკონტროლო ციფრები დამტკიცებული იქნა 1925-26 წლისათვის და ამის შემდეგ მათ ვამტკიცებთ ყოველწლიურად და ამ ციფრებს თანდათან მეტი მნიშვნელობა ეძლევა სამეურნეო ხელმძღვანელობის საქმისათვის.

თითქმის სახალხო მეურნეობის პირველი წლიური გეგმების დამუშავების პარალელურად დაიწყო სახალხო მეურნეობის გარდაქმნის უფრო ფართო გეგმების მომზადება. მთელი რიგი წლების განმავლობაში სწარმოებდა მუშაობა პირველი ხუთწლედის მოსამზადებლად და ამავე დროს მზადდებოდა სახალხო მეურნეობის გარდაქმნის ეგრეთწოდებული „გენერალური გეგმა" 10-15 წლისათვის. ეს უკანასკნელი მუშაობა არ ყოფილა დამთავრებული, მაგრამ რამდენადაც შემუშავებული იქნა და ხორციელდება პირველი ხუთწლედი და ეხლა მუშავდება მეორე ხუთწლედი, იმდენად ეგრეთწოდებული „გენერალური გეგმის" ძირითადი საკითხები ამოწურულია ამ ორი ხუთწლედით, ნაწილობრივ კი უფრო ფართოდაც ისმება. ამრიგად, მეორე ხუთწლედის ვარაუდების შედგენას წინ უძღოდა დიდი მუშაობა, უამისოდ შეუძლებელი იქნებოდა სახალხო მეურნეობის მეორე ხუთწლიანი გეგმის საკითხების მომზადება და განხილვა.

I. პირველი ხუთწლედის შედეგები

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ პარტიისათვის წარდგენილი იყო ხუთწლედის ორი ვარიანტი, სახელდობრ „დასაწყისი" და „ოპტიმალური". ოპტიმალური ვარიანტი ეყრდნობოდა საბჭოთა კავშირის ყველაზე უფრო ხელსაყრელი პირობებს, საგეგმო კომისიის აზრით. პარტიამ საფუძვლად მიიღო ოპტიმალური ვარიანტი, ე. ი. გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა უმაღლეს სამეურნეო ამოცანებს. სწორედ ამ ოპტიმალურ ვარიანტს ვანხორციელებთ ჩვენ ეხლა. პარტიამ მიაღწია იმას, რომ თვით მასების მიერ წამოყენებული ლოზუნგი—„ხუთწლედი ოთხ წელში" ძლევამოსილად ხორციელდება. ჩვენ ხუთწლედის ზემოაღნიშნულ ოპტიმალურ ვარიანტს ვანხორციელებთ არა ხუთ წელში, როგორც პირველად განვიზრახეთ, არამედ ოთხ წელში, ე. ი. ხუთწლიანი გეგმის ოპტიმალური (უმაღლესი) ვარიანტის შესრულების ვადას ვამცირებთ ერთი მეხუთედით.

პირველი ხუთწლედის წარმატება—ეს არის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის, მაშასადამე პირველ რიგში მძიმე ინდუსტრიის და საწარმოო საშუალებების წარმოების ძლიერ განვითარების პოლიტიკის წარმატება. ეს წარმატება ხასიათდება იმით, რომ ჩვენ დღეისათვის აქვს საკუთარი ბაზა მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრებისათვის. სოციალიზმის შემდეგი ზრდისათვის საბჭოთა კავშირში ამ ფაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

პირველი ხუთწლედის წარმატება გამოიხატება აგრეთვე კოლექტივიზაციის განსაკუთრებულ წარმატებებში, კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის ფართოდ გაშლაში. ჩამორჩენილ, ჯერ კიდევ გუშინ დაქსაქსულ სოფელში დღეს ეწყობა მსხვილი სოციალისტური მეურნეობა სამანქანო ტექნიკის საფუძველზე. ჩვენ უკვე მივაღწიეთ ისეთ მდგომარეობას, რომ სოფლის მეურნეობაში გაბატონებულია სოციალისტური ფორმები. ამით გადაწყვეტილია პროლეტარული რევოლუციის ყველაზე ძნელი, ყველაზე რთული ამოცანა.

როგორი დიდი და გრანდიოზულიც არ უნდა იყოს მეორე ხუთწლედის ამოცანები, არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ყველაზე ძნელი ამოცანა მდგომარეობდა სოფლის მეურნეობის გარდაქმნაში კოლექტივიზმის და მაღალი სამანქანო ტექნიკის საფუძველზე. სწორედ ამ ამოცანას პარტია ძლევამოსილად ანხორციელებდა და ანხორციელებს და არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ 1932-33 წელში კოლექტივიზაცია საბჭოთა კავშირში ძირითადათ დამთავრებული იქნება.

ყველა ამან საშუალება მისცა პარტიას ეთქვა, რომ ძირითადი ლენინური საკითხი —„ვინ ვის"—გადაწყვეტილია კაპიტალიზმის წინააღმდეგ, გადაწყვეტილია სოციალიზმის სახარგებლოდ. ეს უმნიშვნელოვანესი შედეგია საბჭოთა კავშირის მთელი არა მარტო სამეურნეო, არამედ პოლიტიკური განვითარებისათვის გასულ პერიოდში.

არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ამ წლების განმავლობაში ყველაფერი არ სრულდებოდა დასახული გეგმის თანახმად. არა მარტო ცალკე წლებში, არამედ მთლიანად პარტიამ ცვლილებები შეიტანა პირველ ხუთწლედში.

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს. ხუთწლედში, მაგალითად, გათვალისწინებული არ ყოფილა, რომ ხუთწლედის ბოლოსათვისაც კი უმუშევრობა ჩვენს ქვეყანაში მთლიანად აღმოფხვრილი იქნებოდა: დიახ, ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა უმუშევრობის დიდათ შემცირებას, მაგრამ იმ მომენტში, მისი მიღების მომენტში იმის გათვალისწინება რომ უმუშევრობა საბჭოთა კავშირში აღმოფხვრილი იქნებოდა უკვე 1930-31 წელში, შეუძლებელი იყო. როგორც ხედავთ, ჩვენ რამდენიმეთ დავარღვიეთ გეგმის ვარაუდი, მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი ცვლილება უფრო სწორად რომ ვსთქვათ ასეთი გაუმჯობესება გეგმის, მთლიანად სასარგებლოა მუშათა კლასისათვის და ის მას სრული თანაგრძნობით შეხვდება. პირველი ხუთწლედის სამეურნეო ამოცანებში პარტიამ შეიტანა ისეთი დიდი ცვლილება, როგორიც არის ახალი მეტალურგიული ბაზის შექმნა აღმოსავლეთში, ურალ-კუზნეცკის რაიონში.

ხუთწლიანი გეგმის ოთხი ტომიდან არც ერთში არ არის ლაპარაკი მეორე მეტალურგიულ ბაზაზე აღმოსავლეთში. მაგრამ შეიძლება განა ეხლა განვიხილოთ პირველი ხუთწლედი იმის გარეშე, რომ არაფერი ვსთქვათ ახალი მეტალურგიული ბაზის შესახებ, რომელსაც ჩვენ ვქმნით ურალ-კუზნეცკის რაიონში? რასაკვირველია, არ შეიძლება. მით უმეტეს ეხლა, როდესაც ამუშავებულია პირველი ღუმელი მაგნიტოგორსკში და რიგში სდგას ახალი ღუმელების ამუშავება მაგნიტოგორსკში და კუზნეცკში. ამრიგად, აქ შეტანილია ხუთწლედში შესწორება, კარგი შესწორება, რომლის საწინააღმდეგო არა თუ არაფერი აქვთ საბჭოთა კავშირის მუშებს, არამედ ყოველმხრივ მხარს უჭერენ მას.

ხუთწლედი ითვალისწინებდა კოლექტივიზაციის ერთ ტემპს, ნამდვილად კი სხვა ტემპი გამოვიდა, ჩვენ უკვე დიდი ხანია გადავაბიჯეთ კოლექტივიზაციის და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის იმ ტემპებს, რომელიც გათვალისწინებული იყო ხუთწლედში. ესეც მეტად მნიშვნელოვანი შესწორებაა ხუთწლიან გეგმაში, შესწორება რომელიც სერიოზულად აუმჯობესებს საქმეს, გლეხთა მილიონიან მასებს, მე არაფერს ვამბობ მუშათა კლასზე, არაფერი აქვს საწინააღმდეგო ამ „შესწორების", რომელიც მთლიანად შეეფერება პარტიის პოლიტიკას და ლენინიზმს.

სამწუხაროდ არ შეიძლება იმის თქმა, რომ ჩვენი 5 წლიანი გეგმის შესწორებები შეტანილი ყოფილიყოს მხოლოდ კარგის მხრით. ზოგიერთ რამეში ჩვენ სრულიად საწინააღმდეგო მივიღეთ.

არ შეიძლება, მაგალითად, დავივიწყებული იქნას სამი შემდეგი მომენტი. ჩვენ ვერ შევასრულეთ მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების შესახებ მოცემული დავალება. ეს ჩვენი დიდი ნაკლია. ცხადია, რომ ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ გამოვასწოროთ ეს საქმე პროლეტარული დისციპლინის განმტკიცებასა, ტექნიკის ზრდასა და მისი ჩვენი კადრების მიერ დაუფლებაზე დაყრდნობით.

ჩვენ ვერ შევასრულეთ 5 წლედის მოსავლიანობის გადიდების მხრითაც. აქ ჩვენ მეტად დაბალ დონეზე ვიმყოფებით, საგრძნობლად იმაზე დაბალ დონეზე, რაც გათვალისწინებული იყო 5 წლიანი გეგმის ვარაუდებში. ცხადია, რომ ამ ნაწილშიაც უნდა წავსწიოთ ფრონტი და გამოვასწოროთ საქმე.

ჩვენ ვერ შევასრულეთ, და ყოველდღეც ვგრძნობთ, რომ ვერ შევასრულებთ ტრანსპორტის, განსაკუთრებით რკინის გზის ტრანსპორტის, რეკონსტრუქციის ამოცანები. ცხადია, რომ ამ მიმართულებით ბევრი და დაჟინებით უნდა ვიმუშაოთ, რომ უფრო ჩქარა გამოვასწოროთ საქმე და სათანადო სიმაღლეზე დავაყენოთ ჩვენი ტრანსპორტი.

პირველი 5 წლედის შედეგები პოლიტიკური თვალსაზრისით არა საკმაოდ იქნება გაშუქებული თუ არ შევეხებით იმ საკითხს თუ რა პირობებში მიმდინარეობდა პარტიის ბრძოლა და ხუთ წლედის შესრულება, თუ როგორი კრიტიკით და კონტრ-წინადადებებით გამოდიოდნენ ოპოზიციონური ჯგუფები როგორც ტროცკისტების, ისე მემარჯვენე უკლონისტების მხრით

წარსულის გაკვეთილებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს პარტიისა და მთელი მუშათა კლასისათვის. ამიტომ საჭიროა გავიხსენოთ ე. წ. „მემარცხენე" და მემარჯვენე უკლონისტებთან პარტიის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი მომენტები: მით უმეტეს, რომ ასეთივე გადახრების, განსაკუთრებით კი იმ მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც წარმოადგენს მთავარ საფრთხეს, აუცილებელია შემდეგშიაც.

მოგაგონებთ, რომ პირველი ხუთწლედის დირექტივები მიღებული იყო ცენტრალური კომიტეტის მიერ პარტიის მე-15 ყრილობის წინ. და ეს დირექტივები განხილულ იქნა ამ ყრილობაზე. პირველი ხუთწლედის შესახებ ტროცკისტული ოპოზიცია გამოვიდა თავისი კონტრ-თეზისებით. ეს იყო მეტად გაბერილი დოკუმენტი, პარტიის ხაზისადმი მეტად მტრულად განწყობილი და რომელიც მგონი, შეიცავდა ყველაფერს რის წარმოდგენაც კი შეიძლება, ცილისწამებით აღსავსე ბრალდებებს ც. კ-ის წინააღმდეგ.

მოგაგონებთ შემდეგ, რომ მემარჯვენეები მე-16 პარტიულ კონფერენციაზე ხუთ წლიანი გეგმის თეზისების მიღების მომენტში ცდილობდნენ გამოსულიყვნენ თავიანთი კონტრ-გეგმით. საკმარისია მიუთითოთ თუნდ ეგრედ წოდებულ „ორწლედზე", რომელსაც მალულ ფორმებში უპირისპირებდნენ ც. კ-ის გადაწყვეტილებას ხუთ წლიანი გეგმის შესახებ, მაგრამ არსებითად მას უპირისპირდებოდნენ პარტიის პოლიტიკურ ხაზს.

ყველა ამის შესახებ ლაპარაკი იყო თავის დროზე. ეხლა საჭიროა შევხედოთ წარსულის ამბებს უკანასკნელი 3—4 წლის სოციალისტური მშენებლობის შედეგების თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით მე მომიხდება მოვიყვანო რამდენიმე ამონაწერი იმ დოკუმენტებიდან, რომლებიც ეხება ტროცკისტულ და მემარჯვენე ოპორტუნისტულ ოპოზიციონერების გამოსვლას.

ავიღოთ მრეწველობის კაპიტალური მშენებლობის საკითხი, რომელსაც როგორც ყველამ იცის, უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის განხორციელების საქმეში.

აი რას სწერდენ ტროცკისტები თავიანთ კონტრ-თეზისებში ჩვენი ც. კ-ის მიერ ხუთწლიანი გეგმის შესახებ მიღებულ თეზისებზე.

„იძლევიან თუ არა ისინი (თეზისები) დამოუკიდებელ გეგმას მრეწველობის კაპიტალური ხარჯების ძირითადი საკითხის გადასაწყვეტად? არა. და ამით ისინი ხელს უწყობენ იმას, რომ პრაქტიკულად სულ უფრო მეტად იმარჯვებს ანტი-პროლეტარული ტენდენციები ძირითად საკითხში ჩვენი მეურნეობის სოციალისტური და კაპიტალისტური ელემენტების შეფარდების შესახებ". ტროცკისტული პლატფორმის მიხედვით გამოდიოდა, რომ პარტიის თეზისებს 5 წლედის შესახებ მივყავდით ანტი-პროლეტარული ტენდენციების გამარჯვებისაკენ. განა სასაცილო არ არის ამის წაკითხვა 4 წლის შემდეგ? მარჯვენა მხრიდან კი მართალია საკმაოდ ბუნდოვან ფორმებში და არამკაფიოდ გამოხატულ პოლიტიკურ ტენდენციებით, ლაპარაკობდენ დაახლოვებით ასე: „არ შეიძლება წარმოვიდგინოთ საქმე ისე, რომ მრეწველობაში დაბანდებული თანხები მუდამ გაიზრდება გეომეტრიული პროგრესიით გაშლილ კომუნისტურ წესწყობილებამდე. წარმოსადგენია დაბანდებათა მრუდის შემცირება". ერთი სიტყვით მემარჯვენეები უხვევდნენ „მრუდე" მხარისაკენ. (სიცილი).

ავიღოთ ეხლა ის, რაც შეეხება სოფელს, რას ლაპარაკობდნენ ტროცკისტული ოპოზიციის კონტრ-თეზისები სოფლად პარტიის პოლიტიკის შესახებ? აი რას.

„ც. კ-ის თეზისები სავსებით სწორად ადასტურებენ, რომ აგრარული კაპიტალიზმი ვითარდება მხოლოდ აბსოლუტურად, სინამდვილეში კი სოფლად კაპიტალიზმი იზრდება აბსოლუტურადაც და შედარებითაც. დიდი სისწრაფით იზრდება და დღითი-დღე დიდდება საბჭოთა სახელმწიფოს დამოკიდებულებაც მისი მრეწველობის მხრით სოფლის შეძლებულ და კულაკური ნაწილის ნედლეულ საექსპორტო რესურსებისაგან".

და შემდეგ:

„სწარმოებს კაპიტალისტური ელემენტების სწრაფი ზრდა მიწადმოქმედებაში წვრილი სასაქონლო წარმოების საფუძველზე და სახელმწიფო მეურნეობის დამოკიდებულებაც კულაკურ-კაპიტალისტური ელემენტებისაგან ნედლეულისა და სასურსათო მარაგის დარგში".

საჭირო არ არის ეხლა ვრცლად გავარჩიოთ ეს ტროცკისტული განცხადებები. ერთი ვკითხოთ ჩვენს კულაკობას ეხლა, ხუთწლიანი გეგმის სამი წლის შემდეგ, ძალიან ვართ ჩვენ მათგან დამოკიდებული თუ არა? თუ ის უფრო მეტადაა დამოკიდებული საბჭოთა ხელისუფლებისაგან.

მეორე—მემარჯვენე ფლანგიდან ჩვენ ყოველდღე ჩავჩიჩინებდენ, რომ „პურის ძირითად წყაროს ჯერ კიდევ დიდხანს წარმოადგენს გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობანი", ამიტომ რაც შეიძლება უნდა მოვერიდოთ კულაკთან ბრძოლას. როგორც ვიცით, ინდივიდუალური მეურნე გლეხები არ დაეთანხმენ მემარჯვენე უკლონისტებს და მასიურად იწყეს შესვლა კოლმეურნეობებში — ჯერ კიდევ 1929 წელს, ჩვენ ყველამ კარგად ვიცით თუ როგორ მოხდა ეს და ამიტომ მე დავკმაყოფილდები ნათქვამით.

მაგრამ მთავარი, ბოლოს და ბოლოს, მდგომარეობს იმაში, რომ „მემარცხენე" და მემარჯვენე ოპოზიციონერები ლაპარაკობდენ მთლიანად პროლეტარული რევოლუციის პერსპექტივების შესახებ. მოგაგონებთ იმის შესახებაც.

ტროცკისტების თეზისებში განვითარებული იყო უბადრუკი აზრი „ორხელისუფლებიანობის ჩანასახი" წარმოშობის შესახებ, რომელიც ემუქრებოდა პროლეტარიატის დიქტატურას. ცხადია, რომ ტროცკისტები ბრალს სდებდენ ჩვენს პარტიას იმაში, რომ მას მიჰყავს საქმე „ტერმიდორიისაკენ", ე. ი. რევოლუციის კრახისაკენ. თუ რა გამოვიდა ამ წინასწარმეტყველებიდან, ამის დანახვა შეგვიძლია თუ გინდ იმ ფაქტებიდან, რომლებიც ეხებიან პირველი ხუთწლედის შესრულებას და მეორე ხუთწლედში ჩვენ მიერ დასახულ ამოცანებს.

ამავე დროს მეორე, მემარჯვენე ფრონტიდან წუწუნით იმეორებდენ დაახლოვებით შემდეგს: „მთელი უბედურება იმაშია, რომ ყველა ის ფაბრიკები და ქარხნები, რომლებსაც ჩვენ ეხლა ვაშენებთ, შეიძლება ახლო მომავალში დარჩეს თეთრგვარდიელებს". შეიძლება რამდენიმე სულელი თეთრგვარდიელს ამ შემთხვევის გამო რისიმე იმედი ჰქონდათ, მაგრამ მას მით უფრო მეტად უნდა გასცრუებოდათ იმედი შემდეგ.

არსებითად კი ეს იყო ტროცკისტული აზრის განმეორება „ტერმიდორის" შესახებ მხოლოდ სხვა ფორმაში. ცნობილია, რომ მემარჯვენეები არ მოერიდენ იმასაც კი, რომ დაედვათ ბრალი პარტიისათვის გლეხობის სამხედრო-ფეოდალურ ექსპლოატაციაში, რითაც მათ გაიმეორეს მილიუკოვის მომხრეების ცილისწამება ლენინის პარტიის წინააღმდეგ.

ტროცკისტებისა და მემარჯვენეების გამოსვლების შესახებ არსებულ დოკუმენტებიდან მოყვანილი ამონაწერები აღნიშნავენ მათი პოლიტიკური პლატფორმების მეტად დამახასიათებელ ელემენტებს. აღნიშნული პლატფორმების მარცხი იმდენად თვალსაჩინოა, რომ მაშინდელ მათ განცხადებებზე ჩვენ ეხლა ვუპასუხებთ უბრალო სიცილით, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში პარტიას მოუხდა სასტიკი ბრძოლის წარმოება, „მემარცხენე" და მემარჯვენე ოპორტუნისტების წინააღმდეგ.

რითი უნდა ავხსნათ, რომ იმ პერიოდში, როდესაც პარტიამ წარმატებით გაშალა სოციალისტური მშენებლობა და ჩქარის ნაბიჯით მიიწევდა წინ, კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგობის მიუხედავად, რომ ამ პერიოდში პარტიის რიგებში აღმოჩნდენ ისეთი ჯგუფები, ერთ დროს თითქმის მეტად მნიშვნელოვანიც, რომლებმაც დაიწყეს ბრძოლა პარტიის წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში არ იშურებდენ არც სიტყვებს და არც პატიოსნებას?

ამავე დროს სწორედ იმიტომ, რომ სოციალიზმმა სწორედ მაშინ მიაღწია უდიდეს წარმატებებს და ძლევამოსილად განდევნა კაპიტალიზმის ნაშთები, სწორედ ამიტომ გამოჩნდენ ჩვენში ოპოზიციონური მიმდინარეობანი, რომლებიც გამოხატავდენ წვრილ ბურჟუაზიული ფენების მერყეობას. ეს ოპოზიციონური, როგორც „მემარცხენე", ისე მემარჯვენე მიმდინარეობანი შესაფერისად გამოხატავდენ იმ ბურჟუაზიულ ელემენტების ზეგავლენას, რომლებიც, გასაგები მიზეზების გამო, წინააღმდეგობას უწევდენ პარტიის პოლიტიკას და რომლებიც მათის მეშვეობით პოულობდენ თავიანთ განწყობილებათა თავისებურ გამოხატულებას თითქმის ჩვენს პარტიაშიაც.

შემთხვევითია თუ არა ის ფაქტი, რომ სწორედ იმ წლებში, როდესაც პარტია წარმატებით დევნიდა კერძო კაპიტალს ქალაქად მისი უკანასკნელი თავშესაფარ ვაჭრობიდან, აგრეთვე სარეწაოებიდან, რომ სწორედ ამ პერიოდში აღსდგა ოპოზიცია პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ ტროცკის მეთაურობით? თავისი ბურჟუაზიული ტენდენციების დასაფარავად ტროცკი და მისი მომხრეები იძულებული იყვნენ გამოეყენებიათ „მემარცხენე" ფრაზები და „ლამაზი" ჟესტები, ამ ანკესზე ხანდისხან ეგებოდენ ზოგიერთი პოლიტიკაში გამოუცდელი, მაგრამ პარტიასთან ახლო მდგომი ელემენტებიც. მაგრამ ტროცკისტული პლატფორმის ნამდვილი რაობა განისაზღვრებოდა იმით, რომ მათ არ სწამდათ ამ პირობებში მუშათა კლასის გამარჯვების შესაძლებლობა კაპიტალისტურ ელემენტებზე, არ სწამდათ სოციალიზმის მშენებლობა საბჭოთა კავშირში. ამან კი მიიყვანა ტროცკისტები ფაქტიურ კაპიტულიაციამდე ბურჟუაზიული ელემენტების წინაშე. უპირველეს ყოვლისა ისინი მხოლოდ წარმოადგენდენ იმ კერძო კაპიტალისტური ელემენტების იარაღს, რომლებიც სწორედ 1925-27 წლების პერიოდში სწრაფად იძირებოდნენ.

განა შემდეგ შემთხვევითია ის, რომ სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ჩვენ გავშალეთ შეტევა კულაკის სოფლად კაპიტალიზმის ამ უკანასკნელი დასაყრდენის წინააღმდეგ, სწორედ ამ დროს წარმოიშვა ჩვენში მემარჯვენე უკლონისტური ხასიათის ახალი ოპოზიცია?

საქმით ჩვენ ვიცით, რომ ეს ოპოზიციაც უპირველეს ყოვლისა წარმოადგენდა ჩვენი სოფლის დაღუპვის პირზე მისულ ბურჟუაზიულ-კულაკური ელემენტების თავისებურ გოდებას. ამავე დროს კულაკობის და მასთან დაკავშირებულ ბურჟუაზიული ინტელიგენციის წინააღმდეგობა იმდენად დიდი იყო, განსაკუთრებით 1928-29 წელს, რომ მემარჯვენე ოპორტუნისტულ ოპოზიციას მაშინ მეთაურობდენ ჩვენი პარტიის თვალსაჩინო წევრები.

სხვადასხვა ჯურის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგები ცხოვრებამ უკვე ძირითადად შეაჯამა.

ტროცკიზმმა დაიკავა ბურჟუაზიული კონტრ-რევოლუციის ავანგარდის ადგილი და გადაიქცა მისთვის იდეების ერთ-ერთ მიმწოდებლად პროლეტარული რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მემარჯვენე ოპორტუნიზმი, როგორც პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის უფრო აშკარა გამოხატულება, გადაიქცა ჩვენი კლასობრივი მტრებისათვის „იდეოლოგიურ ღირებულებათა" ერთ-ერთ მთავარ მიმწოდებლად. პარტიამ, გამოამჟღავნა რა ორივე ეს ანტი-ლენინური გადახრა, თავის დროზე დასვა როგორც ტროცკისტების, ისე მემარჯვენე ოპორტუნისტების პარტიაში დარჩენის შეუთავსებლობის საკითხი.

ანტი-ლენინური მიმდინარეობათა წინააღმდეგ ბრძოლაში პარტია გამოიბრძმედა, გაიზარდა და ერთი საფეხურით კიდევ მაღლა დადგა. ეს კიდევ ერთი გადამწყვეტი წინასწარი პირობაა ჩვენი შემდგომი გამარჯვებისათვის.

II. მეორე ხუთწლედის პოლიტიკური გეზი

მეორე ხუთწლედის პოლიტიკური გეზი ამგვარად არის ჩამოყალიბებული თეზისებში:

„ჩვენი ქვეყნის უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრე, სოციალისტური მშენებლობის ბოლშევიკური ტემპები, მუშათა და კოლმეურნეთა ფართო მასების აქტივობის ზრდა, პარტიის სწორი ხაზი სავსებით უზრუნველჰყოფენ სოციალისტური მეურნეობის საწარმოო ძალების ისეთ გაშლას მეორე ხუთწლედში, რომლის საფუძველზე საბოლოოდ მოისპობა კაპიტალისტური ელემენტები საბჭოთა კავშირში. კონფერენცია სთვლის, რომ მეორე ხუთწლედის ძირითად პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს კაპიტალისტური ელემენტების და საერთოდ კლასების საბოლოო ლიკვიდაცია, კლასობრივი განსხვავებისა და ექსპლოატაციის წარმომშობ მიზეზების სავსებით მოსპობა და კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრა ეკონომიკისა და ადამიანთა შეგნებაში, ჩვენი ქვეყნის მთელი მშრომელი მოსახლეობის გადაქცევა უკლასო სოციალისტური საზოგადოების შეგნებულ და აქტიურ მშენებლებად.

პარაზიტულ კლასობრივი ელემენტების ლიკვიდაციის და სახალხო შემოსავლის საერთო ზრდის საფუძველზე, შემოსავლის, რომელიც მთლიანად მშრომელთა განკარგულებაშია, მიღწეულ უნდა იქნას მუშათა და გლეხთა მასების კეთილდღეობის ბევრად უფრო სწრაფი ზრდა. კონფერენცია სთვლის, რომ მოსახლეობის უზრუნველყოფა ძირითადი სამომხმარებლო საქონლით, კერძოდ საკვები პროდუქტებით, მეორე ხუთწლედის დამლევს უნდა გადიდდეს სულ ცოტა 2—3-ჯერ პირველი ხუთწლედის დასასრულთან შედარებით".

თეზისებიდან მოყვანილ ამ ამონაწერში სავსებით არის მოყვანილი მეორე ხუთწლედის პოლიტიკური გეზი. მე შევჩერდები მხოლოდ ამ ამონაწერის ყველაზე უფრო მთავარ დებულებებზე.

დავიწყებ კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის საკითხიდან.

თეზისებში ნათქვამია, რომ მეორე ხუთწლედის ძირითად პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს „კაპიტალისტური ელემენტებისა და საერთოდ კლასების საბოლოო ლიკვიდაცია", „ჩვენი ქვეყნის მთელი მშრომელი მოსახლეობის გადაქცევა უკლასო სოციალისტური საზოგადოების შეგნებულ და აქტიურ მშენებლებად".

მოყვანილი სიტყვები გამოხატავენ მეორე ხუთწლედის პოლიტიკური გეზის უმთავრეს ელემენტებს.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის იმას, რომ სოციალიზმი არის უკლასო საზოგადოების შექმნა. ამრიგად მოყვანილ სიტყვებში ჩამოყალიბებულია სოციალიზმის აშენების ამოცანა.

სწორად არის აქ თუ არა დასახული ამოცანა კლასების მიმართ? შეიძლება თუ არა კლასების ლიკვიდაციის ამოცანის განხორციელება ისე, როგორც იგი დასახულია ცენტრალური კომიტეტის თეზისებში? მე ვფიქრობ, რომ ეს ამოცანა არა თუ სწორია და მისი განხორციელება შესაძლებელი, არამედ მეორე ხუთწლედის ამოცანების მხოლოდ ასეთი პოლიტიკური დასახვა გამომდინარეობს პარტიის პოლიტიკიდან და მარქსიზმიდან.

მთავარ საკითხს, რომელიც განხილულ უნდა იქნას ამ შემთხვევაში, წარმოადგენს ის, თუ რამდენად სწორია, რომ მეორე ხუთწლედში ჩვენ შეგვიძლია დავისახოთ ამოცანად კაპიტალისტური ელემენტების საბოლოო ლიკვიდაცია. ეს არის მთავარი საკითხი.

თუ ამ მხრით განვიხილავთ კლასების საკითხს შემდეგ ხუთწლედში, მაშინ შევძლებთ მხოლოდ კონკრეტულად დავსვათ საკითხი—მივიღოთ ნათელი და ბოლშევიკისათვის უდავო პასუხი.

მართლაც, განვიხილოთ მთავარი ფაქტები.

სახალხო მეურნეობის 1932 წლის გეგმა, რომელიც მიიღო პარტიამ, გულისხმობს, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო შემოსავალში უკვე პირველი ხუთწლედის დამლევს მთელი კერძო სექტორი დაიჭერს 10 პროცენტზე ნაკლებს. შემდეგი ფაქტი: კოლმეურნეობებში გაერთიანებულია უკვე გლეხურ მეურნეობათა 60 პროცენტზე მეტი, და ეჭვს გარეშეა, რომ პარტიის მიერ დასახული ამოცანა—დამთავრდეს ძირითადათ 1932—33 წელს კოლექტივიზაცია საბჭოთა კავშირში—შესრულებული იქნება. ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე უახლოესი ორი წლის განმავლობაში მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე განხორციელდება სოფლის კაპიტალისტური ელემენტების ძირითადი ნაწილის ლიკვიდაცია. ბოლოს ამას მიუმატეთ ის, რომ კაპიტალისტური ელემენტები მსხვილ მრეწველობაში უკვე დიდი ხანია მოისპო, ხოლო წვრილ მრეწველობასა და ვაჭრობაში მათი როლი სწრაფად მცირდება. მაშასადამე, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ პარტიას მეორე ხუთწლედში შეუძლია დაისახოს და უნდა დაისახოს კიდეც კაპიტალისტური ელემენტების საბოლოო ლიკვიდაციის ამოცანა.

მაგრამ ჩვენ გვეუბნებიან კაპიტალისტური ელემენტები მოსპეთ საბოლოოდ, მაგრამ როგორ არის საერთოდ კლასების ლიკვიდაციის საქმე? ამავე დროს საკითხის ამგვარად დასმაში არსებობს უხეში შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც იწვევს დიდ გაურკვევლობას.

როგორც ვიცით, სოციალიზმის მთავარი ამოცანა მდგომარეობს კაპიტალიზმის მოსპობაში, სხვანაირად რომ ვთქვათ, კლასების მოსპობაში, ე. ი. ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობაში. აქედან გამომდინარეობს ის, რომ კაპიტალისტური ელემენტების საბოლოო ლიკვიდაცია მოასწავებს ექსპლოატატორთა კლასის ლიკვიდაციას, ხოლო თუ ექსპლოატატორები არ არსებობენ, არ იარსებებენ არც გაუვლეფილები.

თეზისებში ნათქვამია, რომ საჭიროა „კლასობრივი განსხვავებისა და ექსპლოატაციის წარმომშობ მიზეზების სავსებით მოსპობა". რაში უნდა გამოიხატოს ეს? ჩვენ, ბოლშევიკებმა კარგად ვიცით,—რაში გამოიხატება ეს, რადგან ბოლშევიკებმა მოახდინეს სოციალისტური რევოლუცია, რომელიც იწყება სახელმწიფოსა და საწარმოო საშუალებების, სახელდობრ მიწის, ფაბრიკა-ქარხნების და სხვ. საზოგადოების ხელში გადასვლიდან. ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის საფუძველს წარმოადგენს ის, რომ ადამიანების ერთ ნაწილს ეკუთვნის საწარმოო საშუალებანი, ხოლო ადამიანების მეორე ნაწილს არ აქვს ისინი. ეს ადამიანებს ჰყოფს კლასებად და წარმოშობს ექსპლოატაციას. ჩვენ ვიცით, რომ მსხვილი მრეწველობისა და მიწის მიმართ საწარმოო საშუალებათა სახელმწიფოს ხელში გადასვლის პროცესი დიდი ხნის წინად დაიწყო. იგი გრძელდება ეხლაც კაპიტალისტური ელემენტების საბოლოო ლიკვიდაციასთან ერთად და სავსებით დამთავრდება მეურნეობის ყველა სხვა დარგში. ამით განხორციელდება კლასობრივი განსხვავებისა და ექსპლოატაციის წარმომშობ მიზეზების მოსპობა.

ნათქვამიდან ცხადია, რომ კაპიტალისტური ელემენტების საბოლოო ლიკვიდაცია, კლასობრივი განსხვავებისა და ექსპლოატაციის წარმომშობ მიზეზების სავსებით მოსპობა მოასწავებს საერთოდ კლასების ლიკვიდაციას. თუ არ არსებობენ კაპიტალისტური ელემენტები, ე. ი. არ არსებობენ ექსპლოატატორები, თუ სავსებით მოსპობილია კლასობრივი განსხვავების წყაროები, მაშინ რა კლასებზე შეიძლება ლაპარაკი? მაშინ კლასების შესახებ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით ლაპარაკი აღარ შეიძლება. მაშასადამე, ვინც მეორე ხუთწლედის ამოცანად სახავს კაპიტალისტური ელემენტების საბოლოო ლიკვიდაციას, მან ამასთან აუცილებლად უნდა დასახოს საერთოდ კლასების ლიკვიდაციის ამოცანა.

ცხადია, კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციას თან ახლავს უდიდესი სიძნელეები, კულაკობისა და საერთოდ ბურჟუაზიული ელემენტების წინააღმდეგობის გაწევის გაძლიერებული ცდების დაძლევა.

კლასობრივი ბრძოლა არა თუ არ სწყდება, არამედ ზოგიერთ დარგში განსაზღვრულ პერიოდებში შეიძლება საგრძნობლად გამწვავდეს. კაპიტალისტური ელემენტების სრული ლიკვიდაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბოლომდე განხორციელდება ბოლშევიკური გაშლილი შეტევის პოლიტიკა, რომელიც ძლევს ყველა და ყოველგვარ სიძნელეებს და სოფლის მშრომელთა ფართო მასებს რაზმავს მუშათა კლასის გარშემო კულაკის წინააღმდეგ, ყველა ბურჟუაზიულ კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ.

კლასების ლიკვიდაციის საკითხის განმარტებაში დღემდე ადგილი აქვს იმ სქემატიზმის ელემენტებს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მარქსიზმთან და მის თეორიასთან განვითარების შესახებ. მაგრამ სქემატიური წარმოდგენა აქ იწვევს დიდ გაურკვევლობას და უხეშ შეცდომებს. ამიტომ საჭიროა უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ კლასების ლიკვიდაციის ამოცანებზე.

დავიწყებთ მუშათა კლასის საკითხიდან. მარქსისტებისათვის ცხადი უნდა იყოს ის, რომ მას შემდეგ, რაც მუშათა კლასმა ხელში აიღო ძალაუფლება და დაიმორჩილა ყველა საწარმოო საშუალებანი, მსხვილი მრეწველობა, მიწა, ტრანსპორტი და სხვ., ამის შემდეგ იგი უკვე აღარ არის პროლეტარიატი ამ საკითხის პირდაპირი მნიშვნელობით, როგორიც იყო ის კაპიტალისტურ საზოგადოებაში. პროლეტარიატი კაპიტალისტურ საზოგადოებაში მოკლებულია საწარმოო იარაღებს, ამიტომ შებოჭილია ბურჟუაზიული ექსპლოატაციის ჯაჭვებით. პროლეტარიატის მდგომარეობა კაპიტალიზმის დროს წარმოადგენს დაჩაგრული და გაყვლეფილი საზოგადოებრივი კლასის მდგომარეობას. ბურჟუაზიის ხელისუფლების დამხობით და ბურჟუაზიისათვის საწარმოო საშუალებათა წართმევით მუშათა კლასი ხდება გაბატონებულ ძალად სახელმწიფოში. ამ მომენტიდან იგი იწყებს კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციას და ამზადებს ნიადაგს საერთოდ კლასების ლიკვიდაციისათვის. მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა 1917 წლის ოქტომბერში მოიპოვა მთელი მსოფლიოს ისტორიაში უდიდესი გამარჯვება ბურჟუაზიაზე, მას შემდეგ აი უკვე მეორე ათეული წელია, რაც საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი არა მარტო განთავისუფლდა კაპიტალისტური მონობისაგან, არამედ აგრეთვე გახდა გაბატონებულ კლასად, რომელიც აშენებს ახალ სოციალისტურ საზოგადოებას.

პროლეტარიატის ისტორიული როლი გამოიხატება არა მარტო იმაში, რომ იგი წარმოადგენს ბურჟუაზიული საზოგადოების მესაფლავეს, არამედ იმაშიაც, რომ იგი წარმოადგენს ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებელს. ამით სახელმწიფოს, რომელსაც ქმნის მუშათა კლასი თავისი გამარჯვების შემდეგ, იგი იყენებს იმისათვის, რომ განახორციელოს კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაცია და ამასთან საერთოდ კლასების ლიკვიდაცია. კაპიტალისტური ელემენტების მოსპობასთან ერთად ხდება საზოგადოების ყოველგვარი კლასობრივი დაყოფის ფესვების აღმოფხვრა, მაშასადამე მზადდება ყველა კლასების ლიკვიდაცია და მით თვით მუშათა კლასის ლიკვიდაციაც. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა უკვე დიდი გზა განვლო კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციის საქმეში. შემდეგი ხუთწლედი იქნება ის პერიოდი, როცა, კაპიტალისტური ელემენტებისა და საერთოდ კლასების ლიკვიდაციის საკითხი დაისმება მთელი სიგრძე-სიგანით.

კლასების ლიკვიდაციის ამოცანის განხორციელებაში მუშათა კლასი ასრულებს განსაკუთრებულ როლს. როგორც გაბატონებული კლასი, მუშათა კლასი ხელმძღვანელობას უწევს მთელ სოციალისტურ მშენებლობას, კერძოდ კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციას და წვრილი გლეხური მეურნეობის გარდაქმნას სოციალისტურ საფუძველზე. კიდევ მეტი: თვით მუშათა კლასი ამ ბრძოლისა და სოციალისტური მშენებლობის პროცესში ღებულობს ახალ აღზრდას, იგი თავისი წრიდან გამოყოფს სოციალიზმის სულ უფრო და უფრო აქტიურ მშენებლებს და კაფავს კაპიტალისტურ ელემენტებთან ბრძოლაში, როგორც თავის წრეში, ისე მშრომელთა მთელს მასაში ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული განწყობილების დაძლევისათვის ბრძოლაში.

ეხლა ჩვენი გლეხობის შესახებ, უფრო სწორად გლეხობის მშრომელი მასის შესახებ, რადგან საკითხი სოფლის კაპიტალისტური ელემენტების შესახებ ზევით იყო დასმული, გლეხობის მდგომარეობაში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მოხდა რადიკალური ცვლილებანი, რომელთა არ დანახვა არ შეიძლება. განსაკუთრებით და უწინარეს ყოვლისა ეს ეხება კოლმეურნეობათა მასებს. მიუხედავად იმისა, რომ მშრომელი გლეხობა დაახლოებით სულ ორნახევარი წლის წინად დაადგა მთლიანი კოლექტივიზაციის გზას, ჩვენთვის ცხადია, რომ იგი უკვე საბოლოოდ დაადგა სოციალიზმის გზას. კულაკთან ბრძოლაში მუშათა კლასის ხელმძღვანელობით კოლმეურნეები რომლებიც მილიონებს შეადგენენ, მასიურად და მტკიცედ ჩადგენ სოციალიზმის მშენებელთა რიგებში. მათ, რა თქმა უნდა, კარგად ახსოვთ, თუ რას წარმოადგენდენ ისინი ოქტომბრის რევოლუციამდე. მათ არ შეუძლიათ დაავიწყდეთ ის, რომ ბურჟუაზიისა და მემამულეთა ხელისუფლების დროს მათ საშინელ ექსპლოატაციას უწევდენ და ჩაგრავდენ, მათ ჯოხით ადგენ თავზე იასაულები და ერობის უფროსები. ისინი ხშირად იყვნენ ხუცებისა და სხვა „სულიერი მამების" კლანჭებში. გლეხი თავის მდგომარეობას ადარებდა ნახევრად მშიერი მუშის მდგომარეობას და უმუშევართა ცხოვრების პირობებს კაპიტალის ბატონობის დროს, მაგრამ არ იცოდა თავისი ცხოვრების გაუმჯობესების გზები და ამიტომ მაგრად ებღაუჭებოდა თავის პატარა საკუთრებას და ამ საფუძველზე შეიმუშავა წვრილი მესაკუთრის უღრეკად მტკიცე ჩვეულებები.

მეორე ხუთწლედის პერიოდში სოფლის მთელი მშრომელი მასა ჩაებმება სოციალისტურ გარდაქმნაში, მეურნეობის გარდაქმნაში კოლექტივიზმის და მაღალი სამანქანო ტექნიკის ბაზაზე. ეს არ შეიძლება მოხდეს უმტკივნეულოდ, თვითმდინარეობით—ეს შეიძლება მხოლოდ მოხდეს გაფთრებულ ბრძოლაში სოფლის კაპიტალიზმის ნაშთებთან, მხოლოდ ბრძოლაში კოლმეურნეობათა საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცებისათვის და ბრძოლაში გუშინდელი წვრილი მესაკუთრეთა გადაქცევისათვის ღირსეულ და ხალისიან კოლმეურნეებად, სოციალიზმის შეგნებულ აქტიურ მშენებლებად.

წვრილ-ბურჟუაზიულ მერყეობას გლეხურ მასაში კიდევ ექნება ადგილი, ეს მერყეობა აუცილებელია ცალკე მომენტებში, ცალკე რაიონებში, ეს მერყეობა განსაკუთრებით საგრძნობი იქნება იქ, სადაც ჩვენი მუშაობა სუსტია, ხოლო კულაკი და ბურჟუაზიული ელემენტები იჩენენ აქტივობას. მაგრამ ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ახლანდელი კოლმეურნე გლეხობა, უახლოეს ორიოდე წელში კი გლეხობის უკვე ძირითადი მასა, რევოლუციის წინა დროის ინდივიდუალურ მეურნე გლეხებს როდი წააგავს და ემსგავსება. რევოლუციის წლებში, განსაკუთრებით მთლიანი კოლექტივიზაციის სწრაფი გაშლის წლებში სოფლად გლეხობას შორის ღრმა ცვლილებები მოხდა. გლეხობა უკვე სხვანაირად გამოიყურება, სოფ. ბნელ ჩამორჩენილ დაბეჩავებულ მშრომელიდან იგი უფრო და უფრო ხდება აქტიურ მშენებლად კოლმეურნედ. ამ საფუძველზე სოფლად იმდენად სწრაფად იზრდება სოციალიზმის აქტიური, შეგნებული მშენებლობის რიგები, რომ მეორე ხუთწლედში,—ეს დანამდვილებით შეიძლება ითქვას,— გლეხობის მთელი მშრომელი მასა დარაზმული იქნება კოლმეურნეობებში და ამით ბოლო მოეღება სოფლად მრავალი საუკუნის განმავლობაში გაბატონებულ წვრილ საკუთრებას.

კაპიტალისტური ელემენტების სავსებით ლიკვიდაცია სოფლად მოასწავებს მთლიანი კოლექტივიზაციის დამთავრებას. ეს შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ შეუპოვარი ბრძოლით კულაკობასთან და ბრძოლით კოლმეურნე მასის სოციალისტური გარდაქმნისათვის, კოლმეურნეობებში პროლეტარული დისციპლინის განმტკიცებისათვის, კოლმეურნეთა შრომის ორგანიზაციის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის. ამ ბრძოლის ორგანიზაცია კომპარტიის ხელმძღვანელობით არის ჩვენი მთავარი საქმე სოფლად. ამ დროში გაჩაღებული ბრძოლის წარმატებას მოჰყვება არა მარტო კაპიტალისტური ელემენტების, არამედ წვრილმესაკუთრეობრივი მეურნეობის ლიკვიდაციაც სოფლად.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას პლენუმი

მოსკოვი, 5 თებერვალი. 4 თებერვალს, საღამოს, პარტკონფერენციის დამთავრების შემდეგ შესდგა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა დაამტკიცა მე-17 პარტკონფერენციის რეზოლიუციები ამხ. **ორჯონიკიძის, მოლოტოვის**, და **კუიბიშევის** მოხსენებათა გარშემო.

ამხ. რუძუტაკის საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ არჩევის გამო, პლენუმმა **ამხ. რუძუტაკი** გაანთავისუფლა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის მოვალეობისაგან.

პლენუმმა შეავსო ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო და მის შემადგენლობაში შეიყვანა ამხ. ა. **ანდრეევი**. (ადს).

მე-17 პარტკონფერენცია დაიხურა

4 თებერვლის დილის და საღამოს სხდომა

(პარტკონფერენციის დღიური)

მოსკოვი, 4 თებერვალი. 4 თებერვლის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. მოლოტოვის და კუიბიშევის მოხსენებების გარშემო. კამათში გამოვიდა ამხ. **გოლცმანი**; (სამოქალაქო საჰაერო ფლოტი), ამხ. **რიაბოვი** (მშენებელ მუშათა კავშირის ცეკა), ამხ. **მირზოიანი**, (ურალი), ამხ. **ივანოვი** (ლენინგრადი), ამხ. **ი. კოსიორი** (მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატი), ამხ. **გოლოდედი** (ბელორუსიის ს. ს. რ.), ამხ. **პტუხა** (ქვემო ვოლგა), ამხ. **მეჟლაუკი** (საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისია), ამხ. **ჟდანოვი** (ნიჟეგოროდის მხარე), ამხ. **კალაშნიკოვი** (გზათა სახალხო კომისარიატი), ამხ. **კრიშვალი** (აღმოსავლეთ ციმბირი), ამხ. **რივიო** (ქარელია), და ამხ. **ხიტაროვი** (კუზნეცკმშენი).

საღამოს სხდომაზე მოკლე საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. მოლოტოვი, რომელსაც ხანგრძლივი ტაშისცემით შეხვდნენ.

კონფერენციამ ერთხმად დაამტკიცა დირექტივები საბჭოთა კავშირის მეორე ხუთწლიანი გეგმის შესადგენად.

შემდეგ **ამხ. პიატაკოვი** აქვეყნებს ამხ. ორჯონიკიძის მიერ მრეწველობის 1931 წლის მუშაობის შედეგებისა და 1932 წლის ამოცანების შესახებ გაკეთებულ მოხსენების თეზისების შესწორებებს და დამატებებს, რომლებიც მიიღო კომისიამ.

კონფერენციამ ერთხმად მიიღო თეზისები შესწორებებით და დამატებებით, რის შემდეგ კონფერენცია დაიხურა. (ადს).

საქართველოს [illegible]

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ წინაშე დასახულია კაპიტალისტური ელემენტების და საერთოდ კლასების ლიკვიდაციის ამოცანა.

ჩვენი მუშებისა და კოლმეურნე გლეხების მასა ამჟამად სოციალიზმის აქტიურ მშენებელთა რიგებშია. კაპიტალისტური ელემენტების და საერთოდ კლასების საბოლოო ლიკვიდაციის ამოცანა ამავე დროს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის მთელი მშრომელი მოსახლეობის უკლასო სოციალისტურ საზოგადოების აქტიურ მშენებლებად გადაქცევის ამოცანას. მეორე ხუთწლედში უკლასო სოციალისტური საზოგადოების შექმნის ამოცანა პრაქტიკულ ამოცანად გადაიქცა. ეს ამოცანა გამომდინარეობს სოციალისტური მშენებლობის დარგში უკვე მიღწეულ წარმატებებიდან, სოციალიზმის აშენების იმ ამოცანათა კომპლექსიდან, რომლებიც დასახულია მეორე ხუთწლედის წინაშე.

III სახელმწიფოს საკითხის შესახებ

სახელმწიფოს საკითხი ჩვენს თეზისებში სპეციალურად არ შუქდება. და ეს გასაგებია.

ჩვენ ვაყენებთ კლასების ლიკვიდაციის ამოცანას მეორე ხუთწლედში, მაგრამ ჯერ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია და არც უნდა დავსვათ სახელმწიფოს ზედმეტობის ან გაქრობის საკითხი. პირიქით. ახლანდელ სტადიაში ჯერ კიდევ ლაპარაკია პროლეტარულ სახელმწიფოს განმტკიცებაზე, მისი ძლიერების გადიდებაზე.

ეს გამომდინარეობს ჩვენს წინაშე ჯერ კიდევ მდგარი ამოცანებიდან, როგორიცაა კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაცია, მუშათა კლასის ხელისუფლების წინააღმდეგ ბურჟუაზიული ელემენტების ყოველგვარი კონტრრევოლუციური გამოსვლის აღკვეთა, ეს გამომდინარეობს უდიდეს ორგანიზაციულ-აღმზრდელობითი ამოცანებიდან გლეხთა მშრომელი მასის, საერთოდ ქალაქის და სოფლის მშრომელთა მთელი მასის მიმართ, რომლის გარდაქმნა ხდება ახალ ბაზაზე. უკვე ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ კაპიტალისტური გარემოცვის დროს უარესი სახის ოპორტუნიზმი იქნებოდა პროლეტარული დიქტატურის ძლიერების რაიმე შესუსტება. სოციალიზმის მშენებელ ქვეყანასა და კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის არსებულ წინააღმდეგობათა უფრო და უფრო გამწვავებიდან მხოლოდ ერთად ერთი დასკვნის გამოყვანა შეიძლება. ყოველნაირად უნდა გავაძლიეროთ პროლეტარული სახელმწიფო, რათა განვამტკიცოთ მისი ძალღონე არა მარტო შინაგანი კლასობრივი მტრის მიმართ, არამედ იმპერიალიზმის იმ კლასობრივ ძალთა მიმართაც, რომლებიც მას მტრობენ.

ამ საკითხს, ისე როგორც ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ყველა ძირითადი ამოცანების, საუკეთესო ახსნა-განმარტებას იძლევა ისეთი დოკუმენტი, როგორიცაა ამხ. ლენინის წიგნი „სახელმწიფო და რევოლუცია". მარქსის და ენგელსის სათანადო ლიტერატურულ დოკუმენტებთან ერთად, აქ ვპოულობთ გასაღებს ჩვენი მშენებლობის ძირითადი ამოცანების, კერძოდ მეორე ხუთწლედის ამოცანების გაგებისათვის

ამხ. ლენინი დაწვრილებით განმარტავს კომუნისტური საზოგადოების იმ პირველი დაბალი ფაზის (სოციალიზმი) თავისებურებას, რომელშიც ჩვენ უკვე შევედით, მაგრამ რომელიც სრულიადაც არ თავდება მეორე ხუთწლედში. სოციალიზმის ამ ფაზის დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ ჯერ კიდევ რჩება ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ნაშთი ეგრეწოდებული „ბურჟუაზიული უფლების" სახით.

აი, რას სწერს ლენინი ამის გამო „სახელმწიფო რევოლუცია"-ში: „თანასწორი უფლება", ამბობს მარქსი, აქ ჩვენ მართლაც გვაქვს, მაგრამ ეს კიდევ „ბურჟუაზიული უფლება", რომელიც, როგორც ყოველგვარი უფლება, უთანასწორობას გულისხმობს. ყოველგვარი უფლება არის ერთნაირი მასშტაბის შეფარდება სხვადასხვა ადამიანებისადმი. რომელნიც სინამდვილეში არ არიან ერთნაირი, არ არიან ერთმანეთის თანასწორნი; და ამიტომ „თანასწორი უფლება" არის თანასწორობის დარღვევა და უსამართლობა. მართლაც, თვითეული კაცი, რომელმაც გამოიმუშავა მეორის თანაბარი საზოგადოებრივი შრომის წილი, ღებულობს საზოგადოებრივი წარმოების თანაბარ წილს (ზევით აღნიშნულის გამოკლებით). ამავე დროს კი, ცალკე ადამიანები არ არიან თანასწორნი: ერთი უფრო ძლიერია, მეორე უფრო სუსტი; ერთი ცოლიანია, მეორე არა, ერთს მეტი ყავს ბავშვები, მეორეს ნაკლები და სხ". თანაბარი შრომის დროს—დაასკვნის მარქსი,—მაშასადამე, საზოგადოებრივ სამომხმარებლო ფონდში თანაბარი მონაწილეობის დროს, ერთი მართლაც მეტს მიიღებს, ვიდრე მეორე, აღმოჩნდება მეორეზე უფრო მდიდარი და სხ. რომ ყოველივე ეს აცილებული იქნას, უფლება, იმის ნაცვლად, რომ იყოს თანასწორი, უნდა იყოს არათანასწორი".

„მაშასადამე, კომუნიზმის პირველ ფაზას ჯერ კიდევ არ შეუძლია მოგვცეს სამართლიანობა და თანასწორობა: განსხვავება სიმდიდრის მხრით, განსხვავება უსამართლო. დარჩება მაგრამ შეუძლებელი იქნება ადამიანის ექსპლოატაცია ადამიანის მიერ, ვინაიდან შეუძლებელია კერძო საკუთრებად იქნას დაუფლებული წარმოების საშუალებანი. ფაბრიკები, მანქანები, მიწა და სხ. ამსხვრევს რა ლასალის წვრილბურჟუაზიულ ბუნდოვან ფრაზას „თანასწორობა და სამართლიანობაზე" საერთოდ, მარქსი გვიჩვენებს, თუ როგორ ვითარდება კომუნისტური საზოგადოება, რომელიც იძულებულია ჯერ მოსპოს მხოლოდ ის „უსამართლობა", რომ წარმოების საშუალებებს ცალკე პირები ფლობენ, და რომელსაც არ ძალუძს ერთბაშად მოსპოს შემდეგომი უსამართლობა, რაც მდგომარეობს მოხმარების საგნების განაწილებაში „მუშაობის" (და არა მოხმარების) მიხედვით (ხაზგასმულია დედანში. ლენინი—ტომი მე-14, ნაწ. მე-2 გვ. 372—373). შემდეგ ამხ. ლენინი აღნიშნავს, რომ კაპიტალისტური ელემენტების და საერთოდ კლასების ლიკვიდაციის შემდეგაც კი სახელმწიფო გაქრება მხოლოდ თანდათანობით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. „სახელმწიფო ქრება იმდენად, რამდენადაც კაპიტალისტები უკვე არ არიან, კლასები უკვე არ არიან და ამიტომ შეუძლებელია რომელიმე კლასის დათრგუნვა. მაგრამ სახელმწიფო სავსებით არ გამქრალა. ვინაიდან რჩება ფაქტიური უთანასწორობის დამაკანონებელი „ბურჟუაზიული უფლების" დაცვა. სახელმწიფოს სრული გაქრობისათვის საჭიროა სრული კომუნიზმი" (ხაზგასმულია დედანში. ლენინი—ტომი მე-14, ნაწილი მე-2, გვ. 374).

ამხ. ლენინი, განმარტავს რა სახელმწიფოს როლს პროლეტარული რევოლუციის შემდეგ, მიუთითებს ენგელსის იმ განცხადებაზე, რომ „კომუნა უკვე არ იყო სახელმწიფო ნამდვილი აზრით". ლენინიც ამბობს, რომ პროლეტარული სახელმწიფო არის ნახევარსახელმწიფო, ე. ი. იგი არსებითად განირჩევა ბურჟუაზიულ სახელმწიფოსაგან, რომელსაც ახასიათებს უმცირესობის (ექსპლოატატორების) ბატონობა უდიდეს უმრავლესობაზე (იმათზე, ვინც ექსპლოატაციას განიცდის). თავის მხრით პროლეტარული სახელმწიფო არის მუშათა კლასის ბატონობის და პროლეტარული დემოკრატიის განვითარების ორგანიზაცია. ე. ი. მთელ სოც. მშენებლობაში ქალაქის და სოფლის მშრომელი მასების უფრო და უფრო აქტიური მონაწილეობის ორგანიზაცია. ლენინის და მარქსის მოყვანილ სიტყვებში აღნიშნულია უთანასწორობის არსებობა საზოგადოებაში ბურჟუაზიის ძალაუფლების დამხობის შემდეგაც.

სოციალისტური რევოლუციის პირველი ამოცანაა მოსპოს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის შესაძლებლობა, ე. ი. მოსპოს კერძო მესაკუთრეების მიერ წარმოების საშუალებათა დაუფლების შესაძლებლობა, მაგრამ უთანასწორობა საზოგადოებაში ამის შემდეგ ჯერ კიდევ დიდხანს რჩება. აგრეთვე სხვადასხვა საზომით უდგებიან სხვადასხვა ადამიანებს, რომელნიც ერთმანეთთან თანასწორნი არ არიან და სრულიად ერთნაირ პირობებში არ იმყოფებიან. ეს უთანასწორობა ერთბაშად სრულიადაც არ ისპობა. ის არ შეიძლება მანამდე მოისპოს, სანამ საჭირო ხდება ეგრეწოდებული „ბურჟუაზიული უფლების" გამოყენება. რაიც გულისხმობს ადამიანისადმი „მუშაობის" და არა მოთხოვნილების მიხედვით, მიდგომას. სახელმწიფო კვლავ „იცავს" ფაქტიური უთანასწორობის დამაკანონებელ „ბურჟუაზიულ უფლებას".

მაგრამ პროლეტარულ და ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შორის ძირითადი განსხვავება ისაა: რომ „უფლება" პროლეტარულ დიქტატურის პირობებში ემსახურება მშრომელი უმრავლესობის ინტერესებს და მიმართულია პროლეტარიატისადმი მტრულად განწყობილი კლასობრივი ელემენტების და მორჩენილებისაკენ. ამიტომ მუშათა კლასისა და მთელი მშრომელი მასის წინაშე ახლანდელ სტადიაში სდგას პროლეტარული დიქტატურის განმტკიცების ამოცანა პროლეტარულ სახელმწიფოს ძლიერების გადიდების ამოცანა. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება კაპიტალისტური ელემენტების და საერთოდ კლასების სრული ლიკვიდაცია. მაშასადამე, უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენება. რომლის განვითარების პროცესში სახელმწიფო თანდათან გაქრება.

გადავალ ქალაქისა და სოფლის ურთიერთობის საკითხზე, როგორც ეს ურთიერთობა ისახება მეორე ხუთწლედის პერსპექტივებში. მაგრამ ჯერ მოვიყვან თუ რას ამბობდა ენგელსი ამის გამო „საბინაო საკითხში". აი მისი სიტყვები:

„წმინდა წყლის უტოპიაა თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების გარდაქმნის სურვილი გლეხობის, როგორც ასეთის, შენარჩუნების სურვილთან ერთად. მხოლოდ მოსახლეობის უფრო თანაზომიერი განაწილება მთელს ქვეყანაში, მხოლოდ ინდუსტრიის მჭიდრო კავშირი სამიწათმოქმედო წარმოებასთან, მიმოსვლის საშუალებათა საჭირო გაფართოებასთან ერთად,—წარმოების კაპიტალისტური წესის მოსპობის დროს, რაც წინა პირობას წარმოადგენს,—მხოლოდ ეს შესძლებს გამოიყვანოს სოფლის მოსახლეობა კარჩაკეტილობისა და სიბეჩავისაგან, რომელშიც ის თითქმის განუწყვეტლივ სულს ლაფავს ათასი წლების განმავლობაში".

ამასთან შეფარდებით მოცემულია დასკვნა ჩვენს თეზისებში. თეზისებში აღნიშნულია, რომ მეორე ხუთწლედის ამოცანების შესრულება მოამზადებს პირობების შექმნას „ქალაქისა და სოფლის დაპირდაპირების სრული მოსპობისათვის".

მაგრამ საგულისხმოა აქ შევჩერდეთ ამ დაპირდაპირების მოსპობის გზების საკითხზე, ერთის მხრით, ეს დამოკიდებულია სოფელზე, რომლის გარდაქმნა ახალ საკოლმეურნეო საფუძველზე ხდება (ახლანდელ სტადიაში—საარტელო ფორმის საფუძველზე).

საჭიროა განსაკუთრებულად შევჩერდეთ იმ გზებზე, რომლებითაც წარმოებს ჩვენი სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა. ცნობილია, რომ ეს გარდაქმნა ხდება კოლექტივიზაციის ბაზაზე, ცნობილია აგრეთვე, რომ კოლმეურნეობა კოოპერაციის ერთ-ერთი სახეობაა, სახელდობრ—კოოპერაციის უმაღლესი ფორმა, ესე იგი საწარმოო-სოციალისტური ტიპი. კოლმეურნეობის განსხვავებას სახელმწიფოებრივ-სოციალისტური საწარმოებისაგან უდიდესი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. კოლმეურნეობის კოოპერატიული საფუძველი, მისი საარტელო ფორმით, კოლმეურნეობაში მონაწილეობის ნებაყოფლობა და ამასთან ერთად სახელმწიფოს დახმარებით და მისი ხელმძღვანელობით საკოლმეურნეო წარმოების ახალი უმაღლესი ტექნიკური ბაზის შექმნა მაქსიმალურად ადვილებენ გლეხთა მასის გადასვლას სოციალიზმისაკენ! (თვით კოლმეურნეობათა განვითარების მთელი რიგი საფეხურების მეშვეობით. ეს გამომდინარეობს ცნობილი ლენინური კოოპერატიული გეგმიდან.

საბჭოების მე-6 ყრილობამ 1931 წელს აღნიშნა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის არსებული განსხვავება. მან განსაკუთრებულად აღნიშნა, რომ „საბჭოთა მეურნეობები წარმოადგენენ სახელმწიფოებრივ საწარმოებს, სადაც სახელმწიფო არის სრული ბატონ-პატრონი". ამასთან ერთად იქვე ნათქვამია, რომ „კოლმეურნეობათა პატრონები არიან კოლმეურნენი".

განსხვავება ცხადია. ეს განსხვავება პარტიამ ხაზგასმით აღნიშნა იმისათვის, რომ არ იქნას დაშვებული საბჭოთა მეურნეობების არასწორი აღრევა კოლმეურნეობებთან და პირიქით, რასაც, როგორც ცნობილია, პრაქტიკულად ადგილი ჰქონდა მთელ რიგ შემთხვევებში. ეს გადაწყვეტილება სავსებით უსვამს ხაზს კოლმეურნეობათა კოოპერატიულ ხასიათს და გზების თავისებურებას, რომლებითაც მუშათა კლასი და გლეხობა სოციალიზმისაკენ მიდიან.

ამ გზების თავისებურება აშკარაა. თავისი კლასობრივი მდგომარეობის განსაკუთრებული პირობების გამო, მუშათა კლასი გლეხობის წინ მიდის, ახლანდელ სტადიაში სოციალისტური მეურნეობის მაღალი ფორმების მეშვეობით. წარსულში გლეხობის მშრომელი მასის მდგომარეობის თავისებურებიდან გამომდინარეობს იმ გზების თავისებურებაც, რომლებითაც იგი მიდის უკლასო სოციალისტური საზოგადოებისაკენ (მთელი რიგი დამატებითი გარდამავალი საფეხური, მეტი ვადა და სხვ.) მუშებიც და კოლმეურნე გლეხებიც სოციალიზმის მშენებლებია. მუშებიც და გლეხებიც თავიანთი მასით მეორე ხუთ წელში გადაიქცევიან უკლასო სოციალისტური საზოგადოების სულ უფრო აქტიურ და შეგნებულ მშენებლებად. მათი სოციალისტური განვითარების გზის თავისებურება არა თუ არ ავიწროებს, არამედ მხოლოდ იგი უზრუნველჰყოფს სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებას, როცა, ბოლოს, მოისპობა მთელი განსხვავება მუშებსა და გლეხებს შორის.

მაგრამ სოციალიზმის მშენებლობა ნიშნავს, რომ მთელი უახლოესი პერიოდის მანძილზე ადგილი ექნება კლასობრივ ბრძოლას მისი სხვადასხვა გამოხატულებით, ზოგჯერ კი ეს ბრძოლა აქა-იქ საგრძნობლად გამწვავდება, ეს ითქმის ქალაქზე, სადაც ძირითადათ უკვე მოსპობილია კაპიტალისტური ელემენტები, და უფრო მეტად ითქმის სოფელზე, სადაც კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაცია ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული.

ყველაფერი, რაც ითქვა მეორე ხუთწლედის პოლიტიკური გზის შესახებ, განუწყვეტლადაა დაკავშირებული მუშათა და გლეხთა მასების ცხოვრების მატ. პირობების გაუმჯობესების ამოცანებთან,

პარაზიტული კლასობრივი ელემენტების ლიკვიდაციამ, სახალხო მეურნეობის ზრდამ, რომლის დაგროვება სულ უფრო და უფრო მიდის მშრომელთა განკარგულებაში, უნდა უზრუნველჰყოს მეორე ხუთწლედში მასების მატერიალური და კულტურული პირობების საგრძნობლად უფრო სწრაფი გაუმჯობესება. დირექტივებში მეორე ხუთწლედის შესახებ ამ ამოცანებზე გამახვილებულია ყურადღება.

მეორე ხუთწლედის ამოცანაა ორ-სამჯერ მაინც, ახლანდელ დონესთან შედარებით, გაუმჯობესდეს მოსახლეობის უზრუნველყოფა ძირითადი სამრეწველო და სასურსათო საქონლით. ასეთი უდიდესი ამოცანის გადაჭრა ერთი ხუთწლედის განმავლობაში აღემატება არა მარტო რომელიმე ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ძალღონეს, არამედ ის აღემატებოდა ჩვენ ძალღონესაც პირველ ხუთწლედში. მხოლოდ ახლა, პირველი ხუთწლედის ძლევამოსილი განხორციელების საფუძველზე, იმ საფუძველზე, რომ ჩვენ ძლევა-მოსილად დავამთავრებთ პირველ ხუთწლედს 1932 წელში, მხოლოდ ამ საფუძველზე შეიძლებოდა და უნდა დასმულიყო მეორე ხუთწლედში მშრომელი მოსახლეობის ცხოვრების პირობების შემდგომი და ამასთან გადამწყვეტი გაუმჯობესების საკითხი

ამხ. სტალინის მითითება, რომ მუშათა მასებს სურთ და მათ კიდეც უნდა იცხოვრონ უკეთესად, რომ მათ მოთხოვნილების ზრდასთან შეფარდებით უნდა ჰქონდეთ მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობა,—ეს მითითება შეეფერება მომენტის მოწიფებულ მოთხოვნებს. პარტიამ უნდა უზრუნველყოს იმ ამოცანის წარმატებით გადაჭრა. რომელიც გულისხმობს უახლოეს ხუთწლედში მუშების და სოფლის მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების ორ-სამჯერ მაინც გაუმჯობესებას.

დიდი მნიშვნელობა აქვს საბინაო პირობების გაუმჯობესებას და კომუნალური მეურნეობის განვითარებას. დირექტივები ამ საკითხზე არ იძლევიან დაწვრილებით მითითებებს. მაგრამ ეს გამომდინარეობს თეზისების მთელი პოლიტიკური ხასიათიდან. საბინაო და კომუნალური საქმის უკვე დაწყებული გაშლა უნდა გადაიქცეს დასაყრდენ პუნქტად განსაკუთრებით მუშათა კლასის საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

უფრო მეტი, ქალაქის მშრომელთა მატერიალურ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხი პარტიამ უკვე ახლა დასვა დღის წესრიგში. ესაა დღევანდელი დღის ამოცანა. ჩვენ უკვე გვაქვს შესაძლებლობა საგრძნობ წარმატებებს მივაღწიოთ ამ საქმეში. მით უფრო მეტი გაქანებით უნდა განხორციელდეს ეს ამოცანები მეორე ხუთწლედში. ჩვენი რესურსები ამ მხრით ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის გამოყენებული, ეს რესურსები კი დღითიდღე იზრდება. გადაწყვეტილება მსუბუქი მრეწველობის კომისარიატის ორგანიზაციის შესახებ. მომარაგების სახალხო კომისარიატის განზრახული რეორგანიზაცია საკვები მრეწველობის კომისარიატად, შეეფერებიან შინაგანი რესურსების გაძლიერებულ მობილიზაციის ამოცანებს, რათა დაკმაყოფილებულ იქნას მასების მატერიალური და კულტურული მოთხოვნილება, რომელიც იზრდება.

ახლანდელი მომენტისათვის და არა მარტო ამ წლის მომენტისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა და განსაკუთრებული აქტუალობა აქვს საქონლის ბრუნვის და საბჭოთა ვაჭრობის განვითარების, პირველ რიგში კი საცალო ვაჭრობის გადიდების, საკითხს. დუქნებისა და მაღაზიების ქსელის გაუშლელად, მას შემდეგ, რაც შეიკვეცა კერძო სპეკულიანტური ვაჭრობა და იგი განაგრძობს შემცირებას, არ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მუშათა და გლეხთა მასების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის დასაწყისს ლენინი ამბობდა, რომ პარტიის უმნიშვნელოვანეს ლოზუნგს წარმოადგენს ლოზუნგი „ისწავლეთ ვაჭრობა".

ამ ლოზუნგის განხორციელებას თავის დროზე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სახალხო მეურნეობის აღორძინების, სოფლისადმი პროლეტარული ხელმძღვანელობის განმტკიცების და მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების საქმეში. მაგრამ ეხლაც, ახალ პირობებში, ახალი შინაარსით, ამ ლოზუნგს უაღრესად აქტიური მნიშვნელობა აქვს.

ახ. ეკონ. პოლიტიკის დასაწყისში ვაჭრობის გაშლის საფუძველს წარმოადგენდა არა მარტო ჩვენი სოციალისტური მრეწველობა, არამედ სოფლის კერძო—გლეხური დანაწილებრივ კულაკური სექტორი.

ვაჭრობის გაშლას იმ პირობებში ამასთან ერთად მოჰყვებოდით კაპიტალისტური ელემენტების ერთგვარ აღორძინებასაკენ. ამან გამოიწვია კომუნისტებისათვის იმის საჭიროება, რომ ჩავეგდოთ ლოზუნგი „ისწავლეთ ვაჭრობა", რომ დაგვემარცხებინა კაპიტალისტური ელემენტები ამ საქმეშიაც, ძირითადად ეს ამოცანა შესრულებული იქნა.

მას შემდეგ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა.

ვაჭრობის გაშლისათვის საჭირო ბაზას ახლანდელ პირობებში უპირატეს ყოვლისა წარმოადგენს დიდად გაზრდილი სოციალისტური მრეწველობა და სოფლად უკვე გაბატონებული სოციალისტური ფორმები — კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

ეს ნიშნავს იმას, რომ საგრძნობლად განმტკიცდა საფუძველი საბჭოთა ვაჭრობის საქონლის ბრუნვის განვითარებისათვის და, მაშასადამე, შეიქმნა უკეთესი პირობები სოფლისადმი პროლეტარული ხელმძღვანელობის შემდგომი განმტკიცებისათვის, გაიზარდა ჩვენი შესაძლებლობანი მასების სამრეწველო და სასურსათო საქონლით მომარაგების გაუმჯობესების საქმეში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ საბჭოთა ვაჭრობის და პირველ რიგში კი საცალო ვაჭრობის, გაშლის საფუძველზე, შესაძლებელი გახდება პროდუქტებისა და საქონლის ნორმის მიხედვით გაცემის გაუქმება, რომელიც ჩვენ იძულებული ვიყავით შემოგვეღო დროებით, ამ საქმის უარყოფითი მხარეების მიუხედავად (ბოროტმოქმედებანი, ბიუროკრატიზმი და სხვ.) რამდენადაც ჩვენ უფრო ჩქარა შევქმნით წინასწარ პირობებს საქონლის ნორმის მიხედვით გაცემის გაუქმებისათვის, იმდენად უფრო აქტიურად ვიმუშავებთ საბჭოთა ვაჭრობის, და პირველ რიგში კი საცალო ვაჭრობის გაშლისა და განვითარების საქმეზე.

მეორე ხუთწლედში ჩვენ უნდა დავისახოთ მუშათა და გლეხთა მასების კეთილდღეობის უფრო სწრაფად ამაღლების ამოცანა და ამასთან ერთად სათანადო პასუხი უნდა გავსცეთ მსგავს მსჯელობას: „სოციალიზმი წარმოებაში მოხმარებისათვის". ამ აზრის ჩამოყალიბების ცალმხრივობა და არასწორე თვალსაჩინოა. ძირითადად ეს შეცდომა ემთხვევა მარქსის მიერ გაკრიტიკებულ ლასალის პრინციპს „შრომის მთელი პროდუქტი მუშას". სინამდვილეში ეს პრინციპი განუხორციელებელი და აშკარად ყალბია, ვინაიდან მუშათა კლასი არასოდეს არ ყოფილა უარს და არც ჰყოფს უარს გამოჰყოს თავის შრომიდან პროდუქტის ნაწილი საერთო სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის, რეზერვების შექმნისათვის და სხვ. სოციალიზმისადმი ვიწრომომხმარებლური მიდგომა არ შეეფერება სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებს და ლენინიზმის თეორიებს. მასების სამომხმარებლო საჭიროებათა დაკმაყოფილების საქმის გაუმჯობესება განუყრელადაა დაკავშირებული პარაზიტულ კლასობრივ ელემენტების მოსპობასთან. ცდებს—მოსწყვიტონ მოხმარების საკითხი წარმოების განვითარებას, ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის გატარებას, მაშასადამე მძიმე მრეწველობის პირველ რიგში განვითარებას და საწარმოო საშუალებათა წარმოების გაშლას—მივყავართ შემცდარ დასკვნებამდე. თეზისებში ჩვენ გვაქვს ძირითად, პოლიტიკურ ამოცანების საჭირო დაკავშირება მუშათა და გლეხთა მასების კეთილდღეობის სასწრაფოდ გაუმჯობესების ამოცანებთან.

რეზოლუციის იმ ნაწილში, რომელიც მე ზევით მოვიყვანე და, რომელიც ახასიათებს მეორე ხუთწლედის ძირითად პოლიტიკურ ამოცანას, აგრეთვე ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ჩვენს წინაშე სდგას ეკონომიკისა და ადამიანების შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევის ამოცანა.

ამასთან დაკავშირებით ვხვდებით ასეთ კითხვასაც: იარსებებს თუ არა 1938 წლის 1-ლი იანვრისათვის კაპიტალიზმის ნაშთები ადამიანთა შეგნებაში?

მაგრამ ცხადია, რომ ამ მხრით სქემატიზმი და სქოლასტიური მსჯელობა მხოლოდ საქმეს ავნებს.

ამავე დროს საჭიროა შევჩერდეთ ძირითად საკითხზე ამ დარგში, გონებრივი და ფიზიკური შრომის დაპირდაპირების საკითხზე, რათა გავიგოთ თეზისების ნამდვილი გზა.

თეზისებში, როგორც ვიცით, არაფერი არის ნათქვამი გონებრივი და ფიზიკური შრომის დაპირდაპირების მოსპობაზე მეორე ხუთწლედში. პრესაში უკვე აქვს ადგილი ცდებს—დასვან ეს საკითხი მეორე ხუთწლედთან დაკავშირებით. ცენტრალურმა კომიტეტმა ამ საკითხის დასმა თეზისებში სცნო ნაადრევად და არამიზანშეწონილად, რადგან გონებრივი და ფიზიკური შრომის დაპირისპირების მოსპობა უფრო დიდი ხნის საქმეა, არა ერთი და ორი ხუთწლედის საქმეა.

ოქტომბრის რევოლუციამ უკვე ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ დაიწყოს ამ დაპირისპირების მოსპობა. საყოველთაო სწავლება ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებას წარმოადგენს ამ მხრივ: ყოველი მუშის, სოფლის ყოველი მშრომელის მიერ არა მარტო დაბალი, არამედ აგრეთვე მაღალი განათლების მიღების შესაძლებლობა. ტექნიკური და სხვა საშუალო კვალიფიკაციური კადრების განსაკუთრებით სწრაფი ზრდა ჩვენს ქვეყანაში მოწმობს იმას, რომ ჩვენ ვქმნით მატერიალურ და კულტურულ წინაპირობებს ბრძოლისათვის გონებრივი და ფიზიკური შრომის დაპირდაპირების მოსასპობად. მაგრამ ჩვენ ნაადრევად მიგვაჩნია დავსახოთ მეორე ხუთწლედში გონებრივი და ფიზიკური შრომის დაპირისპირების მოსპობის ამოცანა. რადგან ის არ შეეფერება ობიექტიურ პირობებს, მეორე მხრით ისეთი ამოცანების განხორციელება, როგორიცაა კაპიტალისტური ელემენტების და საერთოდ კლასების სრული ლიკვიდაცია და აგრეთვე მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი უფრო სწრაფი ზრდა, არ შეიძლება არ დავუკავშიროთ კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევას არა მარტო ეკონომიკაში, არამედ ადამიანთა შეგნებაშიაც. რა თქმა უნდა, ეს ნაშთები საბოლოოდ არ აღმოიფხვრება მეორე ხუთწლედში. მიუხედავად ამისა, მეორე ხუთწლედში ბრძოლა კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევისათვის არა მარტო ეკონომიკაში, არამედ ადამიანთა შეგნებაშიაც უნდა გაიშალოს მთელი ფრონტით პარტიის ძირითად პოლიტიკურ ამოცანებთან შეფარდებით.

ბოლოს, ჩვენი პარტიის და ოპორტუნიზმთან ბრძოლის შესახებ. ჩვენს პარტიას, მუშათა კლასის პარტიას საბჭოთა კავშირის მშრომელთა მიმართ [illegible]. ჩვენი პარტია წლითიწლობით იზრდება რაოდენობრივად. იზრდება მისი კავშირი არა მარტო მუშათა კლასთან, არამედ სოფლის მშრომელ მასებთან. ჩვენი პარტია იზრდება მის მიერ სოციალისტურ მშენებლობაში დაგროვილ გამოცდილებისა და რევოლუციონური პროლეტარული ბრძოლის საფუძველზე, ჩვენი პარტია იდეურად იზრდება და იწრთობა ყველა და ყოველგვარი ანტილენინური დამახინჯებისა და გადახრების წინააღმდეგ ბრძოლაში, გენერალური ლენინური ხაზისათვის ბრძოლაში. ყოველივე ეს სოციალიზმის აშენების საქმის ძლევამოსილი ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანესი წინაპირობებია.

მეორე ხუთწლედის პერიოდში, კაპიტალისტური ელემენტების საბოლოო ლიკვიდაციის პერიოდში, ჩვენს წინაშე დასახული იქნება ლენინური ხაზის გატარებისა და ყოველგვარი ოპორტუნისტული მერყეობის მხილებისა და დაძლევისათვის ბრძოლის ურთულესი ამოცანები.

კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაცია დაკავშირებულია კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან მთელ რიგ დარგებში. ბურჟუაზიული გავლენა იჭრება და შემდეგშიაც შეიჭრება არამარტო კოლმეურნეობებში, კლასობრივ მტერს ჯერ კიდევ ჰყავს თავისი აგენტები და შემდეგშიაც იყოლება სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა დარგებში და თვით პარტიაშიაც. ის ფაქტი, რომ ჩვენში არ არსებობს უმუშევრობა, მოასწავებს არა მარტო უმუშევრობის ლიკვიდაციას მუშებისათვის, არამედ აგრეთვე იმას, რომ ჩვენდამი მტრულად განწყობილი კლასობრივ ელემენტებს საშუალება ეძლევათ შეიჭრენ ჩვენს საწარმოებსა და დაწესებულებებში, რომ ისინი კვლავ შეეცდებიან ჩაშალონ ბოლშევიკური მუშაობა თავიანთი კონტრრევოლუციონური გამოსვლებით, მავნებლობით, კოლმეურნეთა ცალკე ჯგუფების კულაკური გაბრუნებით და სხვ.

სახელმწიფო აპარატის გაძლიერება და ზრდა, როგორც სოციალისტური ინდუსტრიის ზრდასთან დაკავშირებით ისე განსაკუთრებით სოფლად სოციალისტური ფორმების სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით, იწვევს არა მარტო ჩვენი ორგანოების ახალი, სოციალიზმის საქმის ერთგული მშრომელი ელემენტებით განახლების დაჩქარებას არამედ აგრეთვე ბურჟუაზიული ელემენტების, მათ შორის აშკარად მტრული ელემენტების ახალი ნაკადის ერთგვარ გაძლიერებასაც ამ ორგანოებში.

სოციალიზმის მშენებლობის საქმეში ებმებიან მშრომელთა ახალ-ახალი მილიონები, რომელთაც ჯერ კიდევ არ აღმოუფხვრიათ წვრილ-ბურჟუაზიული ნაშთები, რასაც არ შეუძლია გავლენა არ მოახდინოს პარტიის მუშაობის ამა თუ იმ დარგებზე. ბოლოს, პარტიაში შედიან საგრძნობი ახალი კადრები, რომლებიც არ არიან ბოლშევიკურად გამობრძმედილი, რომელთა ერთი ნაწილი აუცილებლად მოექცევა უცხო კლასობრივი გავლენის ქვეშ.

ყოველივე აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ბრძოლა ოპორტუნიზმთან, როგორც პროლეტარიატზე და შრომელებზე ბურჟუაზიული გავლენის გამოხატულებასთან, ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრში უნდა მოექცეს. რამდენადაც ძირითად ამოცანას წარმოადგენს კაპიტალისტური ელემენტების საბოლოო ლიკვიდაცია, იმდენად შემდეგშიაც მემარჯვენე საფრთხე დარჩება მთავარ ოპორტუნისტულ საფრთხედ პარტიისათვის. მემარჯვენე ოპორტუნისტებთან პარტიის ბრძოლის ისტორიამ საკმაოდ გვიჩვენა, რომ მემარჯვენე ოპორტუნისტული ელემენტები წარმოადგენენ კლასობრივი მტრის ყველაზე უფრო საშიშ იარაღს კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციისათვის გაშლილი ბრძოლის პერიოდში. აქედან უნდა გამოვიყვანოთ დასკვნები მეორე ხუთწლედის მიმართ. ჩვენი მთავარი ამოცანა იქნება დავსცხოთ მემარჯვენე ოპორტუნისტებს, რომლებიც ცდილობენ შეანელონ განვითარების ბოლშევიკური ტემპები და ხელი შეუშალონ პარტიას კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციაში.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ოპორტუნიზმთან ბრძოლის ამოცანები შეიძლება შემოვფარგლოთ მემარჯვენე საფრთხესთან ბრძოლით. წარსულში ოპორტუნიზმის წინააღმდეგ პარტიის ბრძოლის გამოცდილების მიხედვით დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მოსალოდნელია იქნეს ისეთი მომენტები, როცა პარტია უმთავრესად თავის მახვილს მიმართავს „[illegible]" და „მემარცხენეთა" წინააღმდეგ. ოპორტუნიზმთან ორ ფრონტზე ბრძოლის ამოცანების ამგვარი დასმა სავსებით გამომდინარეობს პარტიის პოლიტიკიდან. ამასთან გაძლიერებულ ბრძოლას მემარჯვენე ოპორტუნისტებთან, როგორც მთავარ საფრთხესთან ეხლანდელ ეტაპზე, გვიკარნახებს საქმის მთელი ვითარება.

აქეთია მეორე ხუთწლედისათვის. სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლის პოლიტიკური წინაპირობები. (მქუხარე ტაში).

(ამხ. მოლოტოვის მოხსენების პირველი ნაწილის დასასრული).

კამათი ამხ. მოლოტოვის და კუიბიშევის მოხსენებათა გარშემო

ამხ. ერემინი

ამხ. ერემინი (მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატი), აღნიშნავს, რომ ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის დარგში, პარტიის სწორი ხელმძღვანელობის მეობებით, მიღწეული წარმატებები ყველა წინასწარ პირობებს ქმნიან მსუბუქი მრეწველობის ძლიერი განვითარებისათვის მეორე ხუთწლედში 1932 წელს ხამტი უზრუნველყოფილია 25,5 პროცენტით. სელის დამუშავებისა და ხელოვნური ბოჭკოს დამუშავების დარგში საბჭოთა კავშირი მეორე 5 წლედის დამლევისათვის პირველ ადგილს დაიჭერს მთელს მსოფლიოში.

საგრძნობლად გადიდდა ბამბის, სელის და სხვა ტექნიკური კულტურების ნათესი ფართობი. ამავე დროს ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ ამ ნედლეულის საჭირო ხარისხს. პარტიის ც. კ-ი დიდ ყურადღებას აქცევს სოფლის მეურნეობის ნედლეულის ხარისხის საკითხებს, კერძოდ, 1932-33 წელს გაიშლება უდიდესი მუშაობა მთელი მეცხოველეობის, მათ შორის მეცხვარეობის, რეკონსტრუქციისათვის.

ეხება, რა მსუბუქი მრეწველობის სხვადასხვა დარგების ტექნიკურ ბაზებს. ამხ. ერემინი აცხადებს, რომ მთელ რიგ დარგებში მსუბუქ მრეწველობას შეუძლია გაადიდოს წარმოების სიმძლავრე ისე, რომ არ აწარმოოს ახალი მშენებლობა. ამისათვის საჭიროა საწარმოთა ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი უზრუნველყოფა კადრებით.

ამხ. ლომოვი

1931 წელი,—ამბობს ამხ. ლომოვი (სახ. საგეგმო კომისია)—წარმოადგენს „გოელროს" გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების წელიწადს. ეს გეგმა უმთავრესად ემყარებოდა ძველ რაიონებს. მეორე 5-წლედში ელექტროფიკაცია ძირითადათ მიმართულია ახალი რაიონების გამოყენებისა და ამ რაიონებში ახალი ინდუსტრიული გიგანტების შექმნისაკენ. ეს რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ ძველი რაიონების ელექტროფიკაცია შენელებული იქნება. ელექტროენერგიის მოხმარება ჩვენში უკვე 7-ჯერ გაიზარდა, 1913 წელთან შედარებით, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ჩამორჩენილი ვართ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს 1923 წელს ამერიკაში მოსახლეობის თითოეულ სულზე მოდიოდა 946 კილოვატ საათი, ინგლისში—337, საფრანგეთში — 314 კილოვატ საათი, ჩვენ კი 1932 წელს გვექნება მხოლოდ—103 კილოვატსაათი. სამაგიეროთ 5-წლედის დამლევისათვის ჩვენ გამოვიმუშავებთ 100 მილიარდ კილოვატსაათს წელიწადში და ამერიკის შემდეგ დავიჭერთ მეორე ადგილს.

1937 წელს რკინის გზების ელექტროფიკაცია 29 პროცენტით მოგვცემს, გამტარუნარიანობის გადიდების გარდა, დაახლოვებით 1.750.000 ტონა ლითონის ეკონომიას. ელექტროფიცირებული რკინის გზა შეაერთებს ისეთ კვანძებს, როგორიცაა დონბასი — ცენტრი—დასავლეთ ციმბირი-ყარაგანდა —ურალი.

შემდეგ ამხ. ლომოვი იძლევა ცალკე რაიონების ელექტროფიკაციის განვითარების პერსპექტივებს. ძირითად ენერგეტიული კვანძები იქნება ურალი, დონბასი, დასავლეთ ციმბირი, შუა აზია, მოსკოვის ოლქი, ვოლგა, ანგარა.

კუსტარულობიდან და პატარა სადგურების მშენებლობიდან,—ამბობს ამხ. ლომოვი,—ჩვენ გადავედით მძლავრი ცენტრალების გაშლაზე იმ ანგარიშით, რომ ეს ცენტრალებმა სამსახური გაუწიონ უდიდეს ოლქებსა და რაიონებს.

მეორე 5-წლედში ჩვენს ძირითად ამოცანას წარმოადგენს ისეთი მაღალვოლტიანი ხაზის შექმნა, რომელიც მოგვცემს საშუალებას გამოვიყენოთ რაიონული სადგურების რეზერვები და შესაძლებლობანი. ამ ერთიანმა მაღალ ვოლტიანმა ქსელმა უნდა დააკავშიროს ცენტრი დონბასთან ერთის მხრით და კუზბასთან—მეორე მხრით

ამასთან ერთად,—ამბობს ამხ. ლომოვი,—ჩვენ გავშლით ღონისძიებებს ქალაქებისა და ყოფაცხოვრების ელექტროფიკაციისათვის. აგრეთვე სოფლის მეურნეობის (მეცხოველეობა, მორწყვა, მეფრინველეობა, სარძეო მეურნეობა, საბჭოთა მეურნეობათა მარცვლეულის მეურნეობა), ელექტროფიკაციისათვის, ყველაფერი ეს მოგვცემს ჩვენ შრომის ნაყოფიერების განუსაზღვრელ გადიდებას და მუშა-ხელის უდიდეს ეკონომიას.

ამხ. ცარკოვი

ლენინგრადის ოლქი,—ამბობს ცარკოვი, —(ლენინგრადის ოლქი) თავისი უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრეებით (აპატიტი, შუნგიტი, ალიუმინი, მურა ნახშირი და სხვ.) ყველა საფუძველი აქვს დასვას საოლქო მრეწველობისათვის საკუთარი სათბობი მეტალურგიული ბაზის, როგორც შავი, ისე ფერადი ბაზის, შექმნის საკითხი. უკანასკნელი წლების განმავლობაში მოპოვებულ იქნა 25 მილიონი ტონა მაღალი ხარისხის მადანი. ჩვენ გავშალეთ ხიბინოგორსკის აპატიტების ამოღება, პოლიარული წრის გადაღმა ავაშენეთ ქალაქი, შუაგულ ტუნდრაში, სადაც ამ რამოდენიმე წლის წინათ ადამიანს ფეხიც არ დაუდგამს. ამჟამად ამ ქალაქის მოსახლეობა 4.000 სულზე მეტს უდრის. ამავე დროს აპატიტის მრეწველობაში დაბანდებული თანხები, ზოგიერთი ამხანაგების აზრის წინააღმდეგ, ანაზღაურებენ თავიანთ ხარჯებს უფრო სწრაფად, ვიდრე მრეწველობის სხვა დარგებში.

ამხ. ვარეიკისი

ამხ. ვარეიკისს (ცენტრალური შავმიწადაგიანი ოლქი) საჭიროდ მიაჩნია, რათა უახლოეს წლებშივე დაწყებულ იქნას კურსკის ანომალიის სიმდიდრეების პრაქტიკულად დამუშავება და უკვე წელსვე სამრეწველო მაღაროს აშენება.

მთლიანი კოლექტივიზაციის ბრძოლაში,—ამბობს შემდეგ ამხ. ვარეიკისი,—პარტიამ მსოფლიო ისტორიულ გამარჯვებებს მიაღწია.

ეს გამარჯვება ჩვენ მოვიპოვეთ სწრაფად გაზრდილი სოციალისტური ინდუსტრიის, ტრაქტორმშენებლობის, სოფლად ლენინური პოლიტიკის და სოფლის ღარიბი გლეხობის კულაკობასთან საბრძოლველად ფართოდ დარაზმვის საფუძველზე კოლექტივიზაცია ჩვენ ჩავატარეთ არა საგანგებო ზომებით, როგორც ამას ამტკიცებდნენ მემარჯვენე ოპორტუნისტები, არამედ სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის ბრძოლით. სოფლის მეურნეობის შემდგომი მაშინიზაციის და აგრო-ტექნიკაში სასუქების დანერგვის გზით ცენტრალური შავმიწადაგიანი ოლქი უახლოესი 3—4 წლის განმავლობაში გააორკეცებს მოსავალს და გაადიდებს სასაქონლო პურის რაოდენობას 500 მილიონ ფუთამდე.

მეცხოველეობის დარგში მეორე ხუთწლედის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს აგრეთვე პირუტყვის ჯიშის გაუმჯობესება და ძროხების წველის და ღორების წონის გადიდება.

ძირითადად ჩვენ მოვსპეთ ექსპლოატატორული ელემენტები, — ამბობს ამხ ვარეიკისი,—ძირითადი ამოცანა მდგომარეობს კოლმეურნეთა სოციალისტურად ხელახალი აღზრდასა და საკოლმეურნეო შრომის ორგანიზაციაში.

მეორე 5 წლედის პროგრამა ერთხელ კიდევ ადასტურებს პარტიის ხაზის სისწორეს და პარტიის გამარჯვებას ორ ფრონტზე ბრძოლაში.

ამხ. სტეცკის სიტყვა

ის ფაქტი, რომ ამჟამად ჩვენ მეტად დაუახლოვდით მეორე 5 წლედის გეგმის დამუშავებას,—ამბობს ამხ. სტეცკი,—წარმოადგენს ჩვენი პარტიის ლენინური ხაზის უდიდეს გამარჯვებას, პარტიის, რომელსაც ხელმძღვანელობს ცენტრალური კომიტეტი, ამხ. სტალინის მეთაურობით. ამხ. სტალინის მითითებებმა როგორც თეორიის, ისე პრაქტიკულ მუშაობის საკითხებში უდიდესი როლი ითამაშეს პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლაში, ყველა ჯურის ოპორტუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მეორე 5 წლედის, თეზისების უმნიშვნელოვანეს მომენტს წარმოადგენს მათ მიერ დასახული ამოცანა — 5 წლედის დამლევისათვის სავსებით მოსპოს არა მარტო კაპიტალისტური კლასები, არამედ კლასები საერთოდ და აღმოფხვრას ის მიზეზები, რომლებიც ხელს უწყობენ კლასების არსებობას. უდიდესი წარმატებები, რომლებსაც ჩვენ უკვე მივაღწიეთ მთლიანი კოლექტივიზაციის და, მის საფუძველზე, კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის დარგში ეჭვს გარეშეა უზრუნველყოფენ იმ ძირითად და მთავარ მიზეზების აღმოფხვრას, რომლებიც წარმოშობენ კლასობრივ საზოგადოებას, კერძო საკუთრებას წარმოების საშუალებებზე. ამავე დროს, როგორც გვასწავლიან ჩვენ მარქსი, ენგელსი, ლენინი და სტალინი, კლასების ლიკვიდაცია ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათი ნაშთების სავსებით აღმოფხვრას კლასობრივი განსხვავების ნაშთები, ძველი წესწყობილების „შობლიური ლაქა" კიდევ რჩებიან რამდენიმე ხნის განმავლობაში. ამიტომ ანტი-მარქსისტული და ანტი-ლენინურია ის შეხედულებანი, რომლებიც არ სცნობენ პროლეტარული სახელმწიფოს როლსა და მნიშვნელობას კომუნიზმის უკვე პირველ ფაზაში—სოციალიზმის პერიოდში. ამ მხრით ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ამხ. სტალინის მითითებით იმის შესახებ, რომ პროლეტარული სახელმწიფოს გაუქმების მიღწევა შეიძლება მხოლოდ მისი განმტკიცების გზით, ვინაიდან სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მშრომელთა მხოლოდ ფართოდ ჩაბმით, მხოლოდ შრომის ახალი სოციალისტური დისციპლინის შექმნით დემოკრატია, როგორც გვასწავლიდა ლენინი, გადაიქცევა ჩვეულებად, გახდება სრულ და ყოვლის შემცველელ ძალად და ამით შეიქმნება არა საჭირო და ზედმეტად, როგორც განსაკუთრებული სახელმწიფო ფორმა.

თითქმის უკვე ეხლაც,—ამბობს ამხ. სტეცკი,—ჩვენი სახელმწიფო რადიკალურად განსხვავდება ჩვეულებრივი ტიპის სახელმწიფოსაგან და, როგორც ლენინი ამბობდა, წარმოადგენს ნახევრად სახელმწიფოს. იმ ახალ ფუნქციებში, რომლებსაც ასრულებს ჩვენი სახელმწიფო—სოციალისტური წარმოების ორგანიზაცია, კულტურული ფრონტის მშენებლობა, შრომის ახალი საზოგადოებრივი დისციპლინის შექმნა, კაპიტალისტური ელემენტების დათრგუნვა და მათი ლიკვიდაცია—წარმოადგენს სახელმწიფოს გაუქმების საფუძველს.

ამ ეტაპზე ჩვენ უნდა განვამტკიცოთ პროლეტარული დიქტატურა, ვინაიდან სანამ ჩვენი ქვეყანა იმყოფება კაპიტალისტურ გარემოცვაში და სანამ ჩვენი ქვეყნის გადაღმა არსებობს კაპიტალიზმი, სოციალისტური სახელმწიფო იყო, არის და იქნება საერთაშორისო პროლეტარიატის მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის მძლავრ იარაღად.

იხსნება თუ არა იმ უკლასო საზოგადოებაში, რომელიც ჩვენ გვექნება, მეორე ხუთწლედის დამლევისათვის, ავანგარდის პრობლემა, პარტიის პრობლემა? თვით საკითხის ასე დასმა სქოლასტიურია. მასების ფსიქოლოგის გარდაქმნას და წვრილ ბურჟუაზიული ჩვეულებების აღმოფხვრას ხანგრძლივი დრო უნდა. თვითეული ადამიანი უკლასო საზოგადოებაში მის პირველსავე ეტაპზე შემოიტანს თავისი ისტორიის ტვირთს, ადამიანები არ იქნებიან ერთნაირად შეგნებულნი. პროლეტარიებმა, რომლებმაც გაიარეს მსხვილი წარმოების ხანგრძლივი სკოლა და რევოლუციონური ბრძოლები, უნდა ხელახლა აღზარდონ და გარდაქმნან ყველა მშრომელები. ამიტომ იზრდება პარტიის ამოცანები.

უკეთებს რა ანალიზს ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხს, ამხ. სტეცკი ლაპარაკობს, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს კაპიტალისტური ელემენტების დაშვებას, ბრძანებელი მწვერვალების პროლეტარიატის ხელში არსებობის დროს, ამავე დროს ითვალისწინებს ამ კაპიტალისტურ ელემენტებთან ბრძოლას, მათ განდევნას, ლიკვიდაციას და სოციალისტური ელემენტების გამარჯვებას; მეორე ხუთწლედში ახალი ეკონომიური პოლიტიკა ამ მხრით სავსებით ამოსწურავს თავის თავს, ვინაიდან კაპიტალისტური კლასები მოსპობილი იქნება და მაშასადამე, ლენინის მიერ ჩვენს წინაშე დასმული ძირითადი ამოცანა იქნება გადაჭრილი. მაგრამ აქაც საჭიროა გაფრთხილება თავბრუდამხვევისაგან. ახალი ეკონომიური პოლიტიკის მეთოდები დარჩება მეორე ხუთწლედის შემდეგაც.

ჩვენ არამც თუ უნდა შევინარჩუნოთ, არამედ რაც შეიძლება უფრო ფართოდ უნდა გავშალოთ საქონლის ბრუნვა და საბჭოთა ვაჭრობა და ყოველნაირად განვამტკიცოთ სამეურნეო ანგარიში ფულადი გამოსახვით. შენარჩუნებული უნდა იქნას ფული, ვინაიდან ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს სხვა უფრო გაუმჯობესებული იარაღი შრომის საექვივალენტო შეფასებისათვის, მაგრამ ცხადია, რომ გაცვლა-გამოცვლის სასაქონლო ფორმებსა და ფულში ჩვენ ვნერგავთ სრულიად ახალ პროლეტარულ შინაარსს—სოციალისტურ შინაარსს.

შემდეგ ამხ. სტეცკი ჩერდება კულტურის საკითხებზე და განსაკუთრებით აღნიშნავს ორ უმნიშვნელოვანეს ამოცანას: უკვე მეორე ხუთწლედის პირველ წლიდან სავალდებულო საყოველთაო პოლიტექნიკურ განათლების შემოღება მთელი ახალგაზრდობისათვის 17 წლის ასაკამდე და კულტურული რევოლუციის მატერიალური ბაზის გადაჭრით განმტკიცება.

მიმდინარე წელიწადში,—ათავებს ამხ. სტეცკი, — მთელი ჩვენი მეურნეობა შევიდა უფრო მეტად დარაზმული, ვიდრე გასულ წლებში. ეს წარმოადგენს ჩვენი მუშაობის, ამხ. სტალინის 6 პირობის საფუძველზე, გარდაქმნის პირველი ნაბიჯების შედეგს. აღნიშნულ მითითებათა სავსებით განხორციელებით ჩვენ მთლიანად შევასრულებთ 1932 წლის გეგმას და ამით დავამთავრებთ ხუთწლედს ოთხწელიწადში.

ამხ. სტრელცოვი

პარტკონფერენციისათვის წარმოდგენილი თეზისები—ამბობს ამხ. სტრელცოვი (ცენტრ. საკონტროლო კომისია) —იძლევიან სოციალიზმის აშენების გეგმას ჩვენს ქვეყანაში. უკვე ეს მოწმობს მის მსოფლიო ისტორიულ მნიშვნელობას. მოწინავე როლი მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკურ რეკონსტრუქციაში ეკუთვნის საბჭოთა მანქანათმშენებლობას. ჩვენ უკვე გვაქვს ამ დარგში უდიდესი მიღწევები — 7 მილიარდი მანეთის პროდუქცია, ნაცვლად 400 მილიონი მანეთისა, რაც იყო მეფის რუსეთის დროს.

მაგრამ ამ უდიდეს გამარჯვებებთან ერთად ჩვენ გვაქვს ჩამორჩენაც ცალკე დარგებში. დაზგათმშენებლობა ითვლება ჩამორჩენილ დარგად, მიუხედავად იმისა, რომ აქ ადგილი აქვს პროდუქციის გამოშვების ზრდას 7—8 ჯერ ომის წინა ხანასთან შედარებით, მიუხედავად იმისა, რომ 1931-32 წელს მუშაობას იწყებს დაზგათმშენებლობის რამდენიმე უდიდესი ქარხანა. ეს ჩამორჩენა აიხსნება, ამხ. სტრელცოვის აზრით, დაზგების წარმოების არასაკმაო მოცულობით. (12 ათასი 1931 წელს, საჭირო კი არის 50.000) და ავტომატების წარმოების სუსტი განვითარებით. 200.000 დაზგას, რამდენიც ჩვენ გვექნება პირველი ხუთწლედის დამლევს, უნდა დაემატოს კიდევ 400.000 საბჭოთა წარმოების დაზგა. ეს მოითხოვს ახალი საწარმოო ბაზის შექმნას, ახალი მძლავრი ქარხნების მშენებლობას, პირველ რიგში, მძიმე სამჭედლო-საპრესო დაზგათმშენებლობას. ჩვენ უდიდესი გამოცდილება მივიღეთ ბრძოლაში ახალი ტექნიკისათვის.

ც. კ-ის ხელმძღვანელობით და ამხ. სტალინის მეთაურობით უზრუნველვყოფთ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებას.

ამხ. მილიუტინი

ამხ. მილიუტინი (კომუნისტური აკადემია) თავის სიტყვას იწყებს იმაზე მითითებით, რომ დირექტივებში მეორე ხუთწლიანი გეგმის შედგენის შესახებ მოცემულია პრინციპიალური დებულება სოციალისტური წყობილების შესახებ, რაც გამოთქმული აქვს მარქსს, ენგელსსა და ლენინს და რაც მოცემულია კომინტერნის პროგრამაში. თეზისების მნიშვნელობას იმაში უნდა ვხედავდეთ, რომ იქ მოცემულია მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლის ჩამყრელთა დებულებების კონკრეტული შინაარსი, რომ ეს თეზისები წინ გადადგმული ნაბიჯია სოციალისტური დაგეგმვის საქმეში. მეორე ხუთწლედში ისპობა წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის, რაც გამოწვეულია ტექნიკის განუზომელი ზრდით სოფლის მეურნეობაში, ტრაქტორების რიცხვის აყვანით ერთ მილიონამდე, ელექტროფიკაციით, ქიმიზაციით, სხვანაირად რომ ვთქვათ, სოფლის მეურნეობის გადაქცევით ინდუსტრიალური შრომის ერთ-ერთ დარგად.

შემდეგ ამხ. მიუტინი შეეხო სახელმწიფოს და პროლეტარიატის დიქტატურის პრობლემას და დასასრულ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოციალიზმის მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში ხდება კაპიტალიზმი საყოველთაო რღვევის პერიოდში და წარმოადგენს მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის მძლავრ ფაქტორს.

ამხ. ხატაევიჩი

თუ თვითეული ორგანიზაცია, —ამბობს ამხ. ხატაევიჩი [illegible] —თუ თვითეული უჯრედი შეისწავლის უმნიშვნელოვანესი პრობლემის დაყენებას და შესრულების პრობლემის უზრუნველყოფას, როგორც ამას აკეთებს ც.კ-ი, მაშინ, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მეორე ხუთწლედიც მთლიანად და გადაჭარბებით იქნება შესრულებული. აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს ის უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი, რომ ლენინის შემდეგ ჩვენ პარტიის სათავეში გვყავს ისეთი ბელადი, როგორიც არის ამხ. სტალინი, რომელმაც შესძლო სოციალისტური მშენებლობისათვის ხელმძღვანელობის გაწევის ამ მაღალი თვისების მოგვარება.

ამხ. ხატაევიჩი ეხება თეზისებს სოფლისა და ქალაქს შორის წინააღმდეგობის მოსპობის შესახებ და აღნიშნავს, რომ ამ განსხვავების აღმოფხვრა იწარმოებს სოფლის მეურნეობის მაშინიზაციის ხაზით. ბრძოლის ხაზით შრომის სოციალისტური ორგანიზაციისათვის კოლმეურნეობებში. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბრძოლას ბუნებასთან, კერძოდ გვალვასთან.

შემდეგ ამხ. ხატაევიჩი გადადის შუა-ვოლგის მხარის ინდუსტრიალიზაციის საკითხებზე და ვრცლად ასაბუთებს შუა-ვოლგის აგრარულ-ინდუსტრიალურიდან ინდუსტრიალურ აგრარულ რაიონად გადაქცევის წინასწარ პირობებს არა მარტო ხუთწლედის დამთავრების დროისათვის, არამედ უკვე, დაახლოებით, მის შუა პერიოდისათვისაც.

ამხ. ფინკოვსკი

წინააღმდეგ მემარჯვენეთა „მეცნიერული შრომების" და წინასწარმეტყველებისა, — ამბობს ამხ. ფინკოვსკი (ურალი), — ეგრედწოდებული „მოწესრიგებული" კაპიტალიზმის ყველა ნაკერებზე სკდება, მაშინ, როდესაც ხელმძღვანელობას უწევს ლენინური ც. კ-ი ამხ. სტალინის მეთაურობით, განსაკუთრებული წარმატებით აშენებს სოციალიზმს. ურალის ბოლშევიკებმა უმოკლეს ვადაში, დაახლოებით ერთნახევარ წელიწადში, შესძლეს შეექმნათ მაგნიტმშენი, შექმნილია მთელი რიგი უდიდესი ახალი საწარმოები, რომლებიც უკვე იძლევიან ფეროშენადნობს, მაღალხარისხოვან ფოლადს, მანქანებს და სხვ.. დემიდოვის ომის წინანდელი ურალი იქცევა სოციალისტურ ურალად, მძიმე მრეწველობის ბაზად, მანქანათმშენებლობის, ქიმიზაციის მძლავრ ცენტრად, მაღალკვალიფიციური კადრების სამჭედლოდ: უდიდესი ცვლილება მოხდა ურალის მუშათა კლასში. ორჯერ გადიდდა მისი რიცხვი. ითვლება 800.000 დამკვრელი, აქედან 100 ათასი სამეურნეო ანგარიშის ბრიგადებში, 35. ათასი მუშა ითვლება გამომგონებელთა საზოგადოების წევრად, 400 ათასი ქალი ჩაება წარმოებაში. დასასრულ ორატორი ეხება პროფორგანიზაციების მუშაობას და აღნიშნავს, რომ საჭიროა პროფკავშირებზე პარტიული ხელმძღვანელობის გაწევის გაძლიერება.

ამხ. ჟუკოვი

საბჭოთა ელექტრო-მრეწველობას ამბობს ამხ. ჟუკოვი (სრ. საკავშ. ელექტროგაერთიანება), რომელიც ამთავრებს თავის პირველ ხუთწლედს სამ წელზე ცოტა მეტ ვადაში, მეორე ხუთწლედში განზრახული აქვს 7-ჯერ უფრო გაადიდოს, პირველ ხუთწლედთან შედარებით, პროდუქციის გამოშვება. 1932 წელს ელექტრომრეწველობის მიერ გამოშვებული იქნება 980 მილიონი მანეთის პროდუქცია, ხოლო 1937 წელს— 7 მილიარდ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია, აქედან 15 მილიარდი მანეთის ახალი ქარხნების მიერ. ელექტრომრეწველობა მეორე ხუთწლედში დაეხმარება შავ და ფერად მეტალურგიას (ელექტროდნობა), იგი დიდ დახმარებას გაუწევს ტრანსპორტის რეკონსტრუქციას (ელექტროფიკაციას), საშუალებას მოგვცემს შევწყვიტოთ სათბობის გადაზიდვა რკინის გზისა და წყალსავალი გზებით, იქ, სადაც შესაძლებელი იქნება ენერგიის გადაცემა. ელექტრომრეწველობა მისცემს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობას მილიონი და ათეული მილიონი მანეთის მომჭირნეობას და ათასობით და ასეული ათასობით ტონა ლითონის ეკონომიას (ელექტრო-შედუღება). არა უგვიანეს 1934 წლისა სავსებით შესწყდება საზღვარგარეთიდან ელექტრონაკეთობებისა და ელექტრო მოწყობილობის შემოზიდვა. პირველმა ხუთწლედმა მოამზადა. მეორე ხუთწლედი დაამთავრებს ლენინის ლოზუნგის „კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება ელექტროფიკაციის მიმატებით"-ის განხორციელებას.

პარტაქტივის გადამზადების შესახებ

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს 3 თებერვლის დადგენილება

იმ მიზნით, რომ განხორციელდეს საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტების მოხსენებათა გამო საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტების მიერ 31 ოქტომბრის მიღებულ დადგენილების ის ნაწილი, რომელიც ეხება მარქსისტულ-ლენინურ აღზრდას, ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. 16 თებერვლიდან მოეწყოს ორ-ორი სემინარი (მიმდინარე პოლიტიკის საკითხების სემინარი და ლენინიზმის სემინარი პარტიის ისტორიის გაძლიერებულად შესწავლით) შემდეგ რაიონებში რომლებზედაც მიმაგრებული არიან შემდეგი ამხანაგები:

ქუთაისი—კ. გორდელაძე, სამტრედია—მარიამ ორახელაშვილი, ზესტაფონი—ნ. ბარამიძე, ბათუმი—ცომაყაძე, სოხუმი—შარია, სტალინისი—გვახარია, ფოთი—ერქომაიშვილი, გორი—შ. გეგეჭკორი, ჭიათურა—დ. ლორთქიფანიძე, ტყიბული—ბ. მესხი, სიღნაღი—კანდელაკი, ბორჯომი—ცაგარეიშვილი, ჩოხატაური—ს. მინდელი, ლანჩხუთი—ვ. ცაგარელი, ოზურგეთი—ა. ბოჭორიძე, ცხინვალი—გაბრიჩიძე, სენაკი—პ. შუშანია, ზუგდიდი—მჭედლიშვილი.

2. აღნიშნული სემინარების შევსება დაეკისროს შესაბამის რაიკომების კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებებს.

პროგრამების შედგენა და პერსონალური პასუხისმგებლობა სემინარების მოწყობისათვის დაეკისროს ამხ. ბახტაძეს.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებას დაამუშაოს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტთან, აგრო-მეურნე გამოკვლევათა ინსტიტუტთან, საქართველოს კომუნისტურ უნივერსიტეტთან და ა.-კ. კომუნისტურ უნივერსიტეტთან ერთად თბილისის ორგანიზაციის პარტაქტივის მომზადებისა და გადამზადების გეგმა და არა უგვიანეს 10 თებერვლისა დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებას.

4. სემინარების შევსება და მოწყობა აგრეთვე პროგრამების შედგენა დაეკისროს ამხ. ოსიპოვს.

5. რესპუბლიკანური პარტაქტივისათვის მოეწყოს საღამოს სექტორი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტთან. პასუხისმგებლობა საღამოს სექტორის მოწყობისათვის დაეკისროს ამხ. შარიას და ოსიპოვს.

6. სემინარების მოწყობასთან ერთად საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებამ უზრუნველყოს აღნიშნულ რაიკომებში ლექციათა ციკლის მოწყობა სოციალისტური მშენებლობის თეორიის და პრაქტიკის უაღრესად აქტუალური საკითხების შესახებ, პასუხისმგებლობა დაეკისროს კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებას, რაიკომს და მიმაგრებულ ლექტორებს.

7. დამტკიცდეს დაახლოებით შემდეგი ლექცია-მოხსენებანი:

1. ამხ. სტალინის წერილი და მარქსისტ-ეკონომისტთა ამოცანები.
2. ამხ. სტალინის წერილი და ამოცანები ისტორიულ ფრონტზე.
3. მე-17 პარტკონფერენციის შედეგები
4. სემინარების შევსება და მოწყობა, აგრეთვე პროგრამების შედგენა დაეკისროს ამხ. დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის შესახებ.
5. ბრძოლა პარტიის ლენინური ხაზისათვის ნაციონალურ საკითხში.
6. პირველი ხუთწლედის შედეგები და მეორე ხუთწლედის პერსპექტივები.

8. პარტმუშაობის კაბინეტმა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებამ თავის ორგანოში შეადგინონ შესაბამისი მეთოდ-მასალები.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი—ბ. ყურულაშვილი

ინდუსტრიალიზაციის ფრონტიდან

მოსკოვი, 4 თებერვალი.

ქვანახშირი

2 თებერვალს მთელს საბჭოთა კავშირში ამოღებულია 181.098 ტონა ქვანახშირი. 3 თებერვალს მთელს დონბასში ამოღებულია 140.053 ტონა ქვანახშირი.

ტრაქტორები

3 თებერვალს ხარკოვის სატრაქტორო ქარხანამ გამოუშვა 50 ტრაქტორი და 68 მოტორი; „კრასნი პუტილოვეცმა" გამოუშვა 40 ტრაქტორი.

კომბაინები

როსტოვის სასოფლო - სამეურნეო მანქანების ქარხანამ 3 თებერვალს მოგვცა 3 კომბაინი.

ავტომანქანები

3 თებერვალს სტალინის სახელობის ავტოქარხანამ მოსკოვში გამოუშვა 40 ავტო-მანქანა.

ლითონი

1 თებერვალს მთელს საბჭოთა კავშირში გამოდნობილია 15.[illegible] ტონა თუჯი და 12.855 ტონა ფოლადი (მცირე მეტალურგიის გამოკლებით). თუჯის გამოდნობის შემცირება გამოწვეულია ზოგიერთი ქარხნის ნაწილობრივი შეჩერებით ღუმელების რემონტის გამო. (ადს).

ამხ. ს. ორჯონიკიძის საბოლოო სიტყვა
მე-17 პარტკონფერენციაზე

მოსკოვი, 4 თებერვალი. ამხანაგებო, ნება მომეცით დავკმაყოფილდე რამდენიმე მოკლე შენიშვნით. მე არ ვფიქრობ საჭირო იყოს ამჟამად კონფერენციაზე პასუხის გაცემა იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც პრეტენზიას აცხადებდნენ ამა თუ იმ ასიგნებების გამო, არასაკმაო, მათი აზრით, მშენებლობის გამო ამა თუ იმ რაიონში ამა თუ იმ ობიექტის. საკონტროლო ციფრები უკვე დამტკიცებულია და გადაცემულია შესასრულებლად—ხელში, შეუდგეთ მათ შესრულებას.

მე მსურს რამდენიმე სიტყვა ვსთქვა მხოლოდ ამხ. გრიადინსკის გამოსვლის გამო.

ამხ. გრიადინსკი სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა, რომ საკმარისი არაა სახლების შენება, არამედ საჭიროა თუნდაც ელემენტარული მოწყობილობა სახლში—ტაბურეტი, მაგიდა. ეს სრულიად მართალია. მაგრამ, ჩემის აზრით, აბსოლუტურად არ არის სწორი ამხ. გრიადინსკი, როცა თვითონ სურს განთავისუფლდეს ამ ტაბურეტებისა და მაგიდების წარმოებისაგან, არ არის მართალი იგი, როცა მას სურს ზრუნვა ტაბურეტებისა და მაგიდების წარმოებაზე დააკისროს მძიმე მრეწველობის სახ. კომისარიატს ან ამხ. ლობოვს. ეს არ არის სწორი თუნდ იმიტომაც, რომ თუ ჩვენ დაველოდებით ტაბურეტების, მაგიდების და სკამების კეთებას, მაშინ აღარ ვიცი, თუ თქვენ რაღა გექნებათ გასაკეთებელი.

ამხ. როიზენმანი: „სწორია".

ამხ. ორჯონიკიძე: „რა უნდა აკეთონ საოლქო სამეურნეო ორგანიზაციებმა და საოლქო აღმასკომებმა?"

ამხ. გრიადინსკი: „მოგვეცით ხე-ტყე!"

ამხ. ორჯონიკიძე: „ეხლე პასუხი". არ არის ციმბირში ხე-ტყე—აი უბედურება! (სიცილი). საჭირო ყოფილა ხე-ტყის მოსკოვიდან გზავნა ნოვოსიბირსკში.

ამხ. გრიადინსკი სწორად სვამს საკითხს მაგრამ მას არა სწორად სწყვეტს.

თუ ჩვენი ადგილობრივი და საოლქო ორგანიზაციები და ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციები ხელს არ მოკიდებენ ისეთ საკითხებს, თუ როგორ გააკეთონ თავისთვის ტაბურეტები, როგორ გააკეთონ მაგიდები თავისთვის, აგრეთვე აუარებელი სხვა ნივთები, რომლებიც საჭიროა და რომელთა წარმოება მათ უნდა შეძლონ, მაშინ, ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, თქვენ გსურთ მხოლოდ პოზა შეთვალყურეების, რომლებიც მოდიან კონფერენციებზე და პლენუმებზე და მხოლოდ მოთხოვნებს გვიდგენენ. ეს საქმე არ არის და აქედან არაფერი გამოვა. ვიმეორებ, რომ ჩვენ გვაიძულონ ხელი მივყოთ ტაბურეტების კეთებას, რომელთა დიდ საჭიროებას განვიცდით, მაშინ თქვენ რაღა გექნებათ საკეთებელი? როგორც არ უნდა იყოს, კუზნეცკის ქარხანაზე ჩვენ მაინც ხელს არ ავიღებთ, ჩვენ ამ ქარხანას თქვენ არ ჩაგაბარებთ. კუზნეცკს ქვანახშირისაც, როგორც არ უნდა თქვათ, ძირითადათ ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება, თუმცა თქვენ, ამხ. გრიადინსკი, (მე ამ შემთხვევაში ვლაპარაკობ არა თქვენზე პირადათ. ამხ. გრიადინსკი, არამედ ჩვენი საოლქო ორგანიზაციების შესახებაც), თქვენ არა ნაკლებ პასუხისმგებელი ხართ, ვიდრე რომელიმე ჩვენთაგანი. მაგრამ თუ თქვენ ტაბურეტებს, მაგიდებსა და სკამებს არ გააკეთებთ, მაშინ აღარ ვიცი, თუ რაღას უნდა აკეთებდეთ თქვენ? შეუდგებით მხოლოდ პოლიტიკას, საგარეო პოლიტიკას? მაგრამ ამას ამხ. ლიტვინოვი თქვენ არ დაგითმობს (სიცილი) მაშ რაღა დაგვრჩენია, თქვენ უსაქმოდ ეგდოთ?

ამხ. გრიადინსკი: „ამ საქმისათვის ხე-ტყეს არ იძლევიან".

ამხ. ორჯონიკიძე: „იხეც "ხე-ტყეს არ იძლევიან"! ამხ. გრიადინსკი, მას შემდეგ, რაც ხე-ტყე ჩვენს გამგებლობაში აღარ არის, მე მქონდა იმედი და ეხლაც ასეთ იმედზე ხელი არ ამიღია, რომ ჩვენ დავამყარებდით საქმიან დამოკიდებულებას ჩვენს საოლქო ორგანიზაციებთან, რომლებიც დაეხმარებოდნენ მძიმე მრეწველობას ჩვენი მშენებლობების ხე-ტყით მომარაგებაში. თქვენ კი ჩემგან მოითხოვთ, რომ მე მოგცეთ თქვენ ხე-ტყე ტაბურეტებისათვის. ეს კი უაზრობაა. დაამუშავე ხეტყე და გაიკეთე შენთვის ტაბურეტები. მორჩა და გათავდა. განა ეს ძნელი საქმეა? განა ციმბირში ხე-ტყე არ მოიპოვება?

ამხ. გრიადინსკის მიერ წამოყენებული საკითხი—ეს არის საკითხი ადგილობრივი ინიციატივის, ადგილობრივი სამეურნეო ორგანოების მუშაობის საკითხი. ეს არის საკითხი, თუ ვინ გაუძღვება ადგილობრივი პატარა საწარმოების უამრავი რაოდენობის მუშაობას. იმ საწარმოების, რომელთაც შეუძლიათ მოგვცენ პროდუქციის საგრძნობი რაოდენობა, აქამდე ეს საწარმოები იყო რესპუბლიკური და საოლქო სახალხო მეურნეობის საბჭოების გამგებლობაში. სწორედ რეორგანიზაციის შემდეგ ეს საწარმოები გადადის მძიმე მრეწველობის სახ. კომისარიატის გამგებლობაში.

— მე ვფიქრობ, რომ აქ საჭიროა შესწორების შეტანა კონსტიტუციაში, რადგან საქმე არ არის ამ საწარმოების საოლქო ორგანიზაციებისათვის წართმევა. პირიქით, შეიძლება ისინი კიდევ უფრო მეტად დავტვირთოთ.

თქვენ მოისმინეთ, თუ რას ამბობდა ამხ. სუხომლინი. ჩვენ ერთი წლის წინად, ერთნახევარი წლის წინადაც კი, თავს ვიმტვრევდით იმაზე, თუ როგორ უნდა მოგვეწყო ჩვენ ეკსკავატორების წარმოება, ამხ. სუხომლინი კი ამბობს, რომ მისი ერთ პატარა ქარხანაში მზადდება ეკსკავატორი. ეს პატარა ქარხანა ჩვენ მოგვცემს 1932 წლის განმავლობაში დაახლოებით 45 ეკსკავატორს რისთვისაც მას დასჭირდება სულ 400 ტონა ლითონი. ამ ლითონს ჩვენ ვიშოვით. ყოველ შემთხვევაში, გაცილებით უკეთესი 100 და 1.000 ტონა ლითონის შოვნა, ვიდრე ეკსკავატორის საზღვარგარეთიდან გამოწერა. მეორე მაგალითი: აქ, მოსკოვში, ძალზე პატარა ქარხანამ „მეტალისტ"-მა მოაწყო, თავისი ინიციატივით, ეკსკავატორების წარმოება. აი როგორ არის საჭირო მუშაობა.

სათავეში ჩაუდექით ადგილობრივი მუშაკების ინიციატივას ქარხნებში (ფაბრიკებშიაც), რომლებიც იქვე თქვენს გვერდით არიან, წასწიეთ წინ საქმე. ამ პატარა ქარხნიდან ჩვენამდე მოღწევა მოსკოვში, ჩვენს კომისარიატამდე, ეს არც ისე ადვილია. მე თავი ბიუროკრატად არ მიმაჩნია და მიყვარს კიდეც ლაპარაკი ადამიანებთან, მაგრამ მესმის, თუ როგორ ძნელია ჩემთვის ყველასთან ლაპარაკი ყველას—არ მყოფნის დრო, ხოლო თუ ნოვოსიბირსკიდან ჩამოხვალთ და მომთხოვთ ტაბურეტებს,—პირდაპირ არ ვიცი, თუ სად გავზავნოთ (სიცილი). ეს ნივთები თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ და უნდა გააკეთოთ კიდეც.

როგორც ჩანს, საჭირო იქნება ჩვენ ამ კონფერენციაზევე, მუშაობის შეწყვეტის დროს, შევიკრიბოთ და მოვილაპარაკოთ იმის შესახებ, თუ რაგვარი საორგანიზაციო ფორმა მივცეთ საოლქო ორგანოების თანამშრომლობას მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატთან. ჩემი აზრით, თუ იმის მიხედვით, რასაც აქ ამბობდა ამხ. სუხომლინი, და იმის მიხედვითაც, რაც ჩვენ ვიცით მოსკოვში, ხოლო ამხ. გრიადინსკის ასეთი მაგალითები, ეჭვს გარეშეა, მრავალი მოეპოვება (მან სხვათა შორის მოიყვანა ტაბურეტის მაგალითი), თუ ჩვენ ხელს ჩავჭიდებთ ამ პატარა ქარხნებსა და სახელოსნოებს, მაშინ საოლქო ორგანიზაციების დახმარებით დიდ საქმეს გავაჩაღებთ. მე თქვენ მოგიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს. კრასნოდარში არის ქარხანა „კუბანოლ"-ი. ეს პატარა ქარხანაა. მაგრამ იცით რას სჩადის ეს ქარხანა? მან შემოიღო ოტისის ჯალამბრების წარმოება, სწორედ იმ ჯალამბრების წარმოება, რომელთაც საზღვარგარეთიდან ვიწერთ ჩვენი ბრძმედებისათვის, სახელდობრ ამერიკიდან, რადგან გერმანიაში და ინგლისშიაც კი არ აკეთებენ ამ ჯალამბრებს. „კუბანოლ"-ის ქარხანამ თავისი ინიციატივით დაიწყო ეს წარმოება და მოგვცა პირველი ჯალამბარი. მართალია, იგი ნაკლები ზომისაა, მაგრამ არა უშავს რა — ჩვენ გავაკეთებთ უფრო დიდებსაც. საყურადღებო აქ ის არის, რომ გაკეთებული იქნება ეს მეტად რთული მექანიზმი. ამავე დროს რამდენი ასეთი შესაძლებლობა მოგვეპოვება ჩვენ, რამდენია იმ ენთუზიასტების რიცხვი, რომლებიც გაფანტული არიან ჩვენი კავშირის პატარა ქარხნებში. თქვენი საქმეა, ამხანაგო ოლქის მუშაკებო, გამოძებნოთ ასეთი ენთუზიასტები და დახმარება გაუწიოთ მათ. მე არ ვიცი, სწორია თუ არა ის პოზიცია, რომლის არჩევა განიზრახა ორმა ახალმა სახალხო კომისარიატმა და ერთმა ძველმა—მომარაგების სახალხო კომისარიატმა. მათ ისე დააყენეს საკითხი, თითქოს სხვა არაფერი დარჩენიათ, რომ დააწვნენ. დააწვნენ და კიდევ დააწვნენ მძიმე მრეწველობას.

ამხ. მიქოიანი: „მძიმეც სწორედ იმიტომ არის, რომ დავაწვეთ".

ამხ. ორჯონიკიძე: „თუ, ამხანაგებო, საქმე დაწოლაზე მიდგება, არ ვფიქრობ, რომ ჩვენ სრულიად მოკლებული ვიყოთ დაწოლის ამ უნარს, ეს მეც თვითონ შემიძლია (სიცილი). მაგრამ განა საქმე ამაშია?

ამხ. ლიუბიმოვი: „დაწოლას არ მივმართავთ, მაგრამ ჩვენც არ უნდა გვაწვებოდნენ".

ამხ. ორჯონიკიძე: ამხანაგო ლიუბიმოვო, მოიცადეთ, ძალიან ნუ ჩქარობთ. მე პირდაპირ უნდა ვთქვა: „ორი კვირის სახალხო კომისრისათვის უფრო ადვილია პარტიულ ტრიბუნაზე გამოსვლა, ვიდრე თუნდ ერთი წლის სტაჟის მქონე სახალხო კომისრისათვის (საერთო სიცილი. ტაში). თქვენი უპირატესობა ჩემს წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ გამოდიხართ კრიტიკოსის როლში და როგორც ივანე კალიტა, აგროვებთ მსუბუქ მრეწველობას, მე კი ანგარიში უნდა ჩავაბარო ერთი წლის მუშაობისათვის".

ამით მე სრულიადაც არ მინდა მოვხსნა მძიმე მრეწველობას ის ვალდებულებანი, რომლებიც მას დაკისრებული აქვს მსუბუქი მრეწველობისა და სატყეო მრეწველობის მიმართ. ცხადია, რომ მანქანები თქვენ ჩვენ უნდა მოგცეთ, ვინაიდან სხვა არავინ მათ არ მოგცემთ. ცხადია, რომ ჩვენ უნდა მივცეთ მექანიზმები ამხ. ლობოვს. ცხადია, რომ საფეიქრო მანქანები უნდა მივსცეთ ჩვენ და არა სხვა ვინმემ. ცხადია ისიც, რომ გემოკვების მრეწველობას მოწყობილობა უნდა მივსცეთ ჩვენ. ესაა ყველაფერი. მაგრამ განა თქვენი ვალდებულებანი მარტო მოთხოვნებით ამოიწურება?

ვიმეორებ, რომ მე სრულიადაც არ მინდა თავი ავარიდო იმას, რომ გავაკეთო ის მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც შეიძლება კვებისა და მსუბუქი მრეწველობისათვის და ამხ. ლობოვისათვის. განსაკუთრებით ამხ. ლობოვისათვის, ვინაიდან მისი ტყის გამოუყენებლად, თუ მან თავის დროზე არ მოგვაწოდა ხე-ტყის მასალა, ჩვენი კაპიტალური მშენებლობა ჩაიშლება. მე იმედი მქონდა, რომ ამხ. ლობოვი, რომელიც აქ ლაპარაკობდა ცულებზე და ლაპარაკობდა მეტად მკვეთრად, მიგვითითებს ჩვენ, თუ როგორი ცულები სჭირდება მას. ის ყველაზე უფრო კარგად იცნობს ტყეს და სახ. მეურნეობის უმ. საბჭოშიაც იგი დიდხანს მუშაობდა ამ ცულებზე. მხოლოდ ამ ერთი წლის წინად მიატოვა მან ისინი. გვითხრას ამხ. ლობოვმა რანაირად და როგორ სჯობს და ჩვენ გავაკეთებთ. თუ გავაკეთებთ ცულებს, უკეთესია გავაკეთოთ კარგი ცულები. მაგრამ, ამხანაგებო, ჩემი რჩევაა: პასუხი აგოთ ჩაბარებული საქმისათვის და არა მოახვიოთ იგი თავზე სხვას.

ამხ. ლიუბიმოვს, მიქოიანს და ლობოვს აქვთ ერთი უპირატესობა—მათ შეუძლიათ ყველაფერი ჩვენ მოგვახვიონ.

ამხ. მიქოიანი. ეხლა შენც გაქვს ასეთი უპირატესობა.

ამხ. ორჯონიკიძე—კი, მაგრამ ჩვენ ამით ვერაფერს ვერ ავაშენებთ.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ამხ. პოსტიშევის გამოსვლა.

ამხ. პოსტიშევმა მეტად ვრცლად და ძალიან მდიდარი მასალით დაგვისურათა ის უარყოფითი მხარეები ხელფასისა და შრომის ორგანიზაციის საკითხებში, რომელთაც ადგილი აქვთ ჩვენს საწარმოებში. ყველა სამეურნეო მუშაკებმა, ყველა პროფმუშაკებმა და ყველა პარტიულმა მუშაკებმა კარგად უნდა შეისწავლონ ეს სიტყვა და გადახედონ იმას, თუ როგორი მდგომარეობაა მათთან ამ მხრივ, ვინაიდან ყოველ მათგანს ექნება მრავალი ასეთი დეფექტი, და რაც შეიძლება ჩქარა აღმოფხვრან ისინი. რომ ამის გამოსწორება შეიძლება და რომ ამ საქმის სწორად დაყენება იძლევა უდიდეს მიღწევებს, ამას თქვენ ხედავთ სხვა მაგალითზე.

ამხ. ბუხარინმა აქ მოიყვანა ქარხანა „სვეტლანა"-ს მაგალითი. რაც მან სთქვა აშკარად ადასტურებს იმას, თუ რა უდიდესი შედეგები შეგვიძლია მივიღოთ ჩვენ საქმის მოხერხებულად დაყენების დროს. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს ამხ. სტალინის სიტყვებს ჩვენში არსებულ უდიდესი რეზერვების შესახებ.

ჩვენი გეგმების შესრულება უმთავრესად დამოკიდებულია იმისაგან, თუ როგორ ვაწესრიგებთ ჩვენ შრომას, როგორ ვაწყობთ წარმოებას და ამას ბრწყინვალედ ასურათებს და ადასტურებს ქარხანა „სვეტლანა"-ს მაგალითი.

ჩვენ, რასაკვირველია, გვაქვს არა ერთი „სვეტლანა". ასეთები ჩვენ ბევრი გვაქვს ჩვენ რომ ისინი არ გვქონოდა არ გვექნებოდა ის წარმატებები, რომელთა შესახებ ჩვენ დღეს აქ ვლაპარაკობთ. საჭიროა, რომ არ გვქონდეს ის დეფექტები, რომელთა შესახებ აქ ილაპარაკა ამხ. პოსტიშევმა. აქა იქ მუშაკებს შორის ადგილი აქვს ასეთ განწყობილებას: მერე რა, გამოვიმუშავეთ დიდი გეგმა, რა აზრი აქვს ამას? თქვენ მას ვერ შეასრულებთ. ხომ ვერ შევასრულეთ მთლიანად 1931 წლის გეგმა? ეს, ამხანაგებო არ არის ჩვენი განწყობილება. ეს პანიკიორების განწყობილებაა. თუმცა პროგრამა ჩვენ მთლიანად ვერ შევასრულეთ, მაგრამ წინ მაინც გადავდგით უდიდესი ნაბიჯი. და რამდენიც არ უნდა აწარმოოთ თვითკრიტიკა, ჩვენ მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ მრეწველობა წლის მეორე ნახევარში მუშაობდა უკეთესად, ვიდრე წლის პირველ ნახევარში, ხოლო მრეწველობა მიმდინარე წლის იანვარში მუშაობს უკეთ, ვიდრე გასულ წლის იანვარში.

კიდევ მეტი: მრეწველობა იანვარში მუშაობს უკეთ, ვიდრე დეკემბერში თუნდაც ქვანახშირისა და ლითონის დარგში. ჩვენი მუშაობის ყველაზე უფრო ვიწრო ადგილს მთელი 1931 წლის განმავლობაში წარმოადგენდა ქვანახშირი და ლითონი. ის რაც ჩვენ ამჟამად გვაქვს, რასაკვირველია, ვერ დაგვაკმაყოფილებს. არ შეიძლება იმის ფიქრი, რომ ყველაფერი უკვე გაკეთებულია. ეს სასაცილო იქნებოდა, მოტყუება და ბავშობა იქნებოდა. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. იგივე ბრძმედები, რომლებიც ამ ერთი წლის ნახევრის წინად ძლივს გვაძლევდნენ 12 ათას ტონა თუჯს, ამჟამად იძლევიან 16 ნახევარ—17 ათას ტონა თუჯს.

რას გვეუბნება ეს? ეს გვეუბნება იმას, რომ ჩვენ გვაქვს დიდი შესაძლებლობანი. ჩემის აზრით სავსებით მართალნი არიან ჩვენი მეტალურგიული ქარხნების ის ამხანაგი მუშები, სამეურნეო მუშაკები და ინჟინრები, რომლებიც აყენებენ შემხვედრ გეგმებს არა იმიტომ, რომ ეს ეხლა მოდაში შემოვიდა. თუ ჩვენ უბრალოდ დავიწყებთ კამპანიას შემხვედრი გეგმისათვის, თუ მას გადავაქცევთ ერთგვარ მოდათ, თქვენ წარმოიდგენენ როგორიც განებავთ ისეთ გეგმას ქაღალდზე, წარმოიდგენენ რამდენიც განებავთ იმდენს. მე ამაზე კი არ ვლაპარაკობ. მე ვლაპარაკობ იმაზე, რომ ზოგიერთმა ქარხნებმა ამჟამად უკრაინაში არა თუ შეასრულეს გეგმა, არამედ გადაჭარბებით შეასრულეს იანვრის გეგმა თუჯის დარგში. ეს პირველია. უკეთესი მუშაობის დროს შედეგებიც უფრო უკეთესი იქნება ჩვენი 1932 წლის გეგმის შესრულება, რა დიდიც არ უნდა იყოს ეს გეგმა, ხოლო ის პატარა კი არ არის, რა მძიმე და დაძაბულიც არ უნდა იყოს ის, ხოლო ეს გეგმა კი არ არის იოლი გეგმა, სრულიად რეალურია. მაგრამ რომ შევასრულოთ ის, საჭიროა ვიმუშაოთ ბოლშევიკურად. წელს პარტიამ მრეწველობას მისცა ყველაფერი. პარტია ყოველგვარ დახმარებას უწევს მრეწველობას და არა მარტო დახმარებას, არამედ თითონ დღითი დღე იხილავს მრეწველობის საკითხებს. ჩვენი ც. კ-ის პოლიტბიურო უდიდეს ყურადღებას აქცევს მრეწველობას. სხვანაირად არც შეიძლება რომ იყოს. კომუნისტი სამეურნეო მუშაკებისაგან, მუშებისაგან, ინჟინერებისა და ტეხნიკებისაგან ადგილებზე—საწარმოებსა, ქარხნებსა და ფაბრიკებში დამოკიდებულია ეხლა — გავამართლებთ თუ არა ჩვენ ამ ნდობას. გასულ წელს სამეურნეო მუშაკთა თათბირზე ამხ. სტალინმა სთქვა: „თქვენ აღგვითქვამთ, რომ შეასრულებთ პროგრამას, ეს კარგია, მაგრამ ჩვენ არა ერთხელ გვსმენია დაპირებები, გვპირდებით და არ ასრულებთ. ეცადეთ, რომ ასევე არ გამოვიდეს 1931 წელს". სამწუხაროდ 1931 წელსაც ასე გამოვიდა. არ დაუბრუნდები იმას, თუ რისთვის ვერ შევასრულეთ გეგმები, ვინ არის ამაში დამნაშავე და სხვა. ეს ჩვენ ვიცით და, ბოლოს და ბოლოს, ამაში არ არის დღის საქმე. დღეს ჩვენს წინაშე უკვე 1932 წელია. 1932 წელს ჩვენ უნდა მივსცეთ ჩვენს ქვეყანას 9 მილ. ტონა თუჯი, ხოლო შემხვედრი გეგმით კი—10 მილიონი

1932 წელს ჩვენ უნდა გადავდგათ უდიდესი ნაბიჯი შავი მეტალურგიის დარგში. რომლისაც ჩვენ ამას ვიზამთ, ჩვენ თან გავიყოლიებთ დანარჩენ დარგებსაც. ჩვენ სამეურნ. მუშაკებს შორის მოიპოვებიან მრავალი მეტად კარგი მუშაკნი ნამდვილი ენტუზიასტები, რომლებიც თავდადებულნი არიან პარტიისათვის და გააფთრებულად იბრძვიან გეგმის შესრულებისათვის. და რომ ჩვენ არ გვყოლოდა ისინი, არ გვექნებოდა ის წარმატებებიც, რომლებიც ჩვენ ეხლა გვაქვს. არიან ისეთებიც, რომლებიც შემდეგნაირად მსჯელობენ. რა არის გეგმები? დავამუშავეთ, გამოვიტანეთ დადგენილება, ვნახოთ რა გამოვა. მხოლოდ თავიანთ გულში კი არ სჯერათ ამ გეგმის და იცქირებიან იქით, რომ მოახვიონ თავზე სხვა ვინმეს, ხოლო თითონ კი მშრალად გამოძვრენ და შემდეგ დაიძახონ: „მე არაფერ შუაში არა ვარ, მე ესა და ეს დამაკლეს, მე ესა და ეს არ მომცეს".

მე ვთხოვ ც. კ-ს შორს დააყენოს ასეთი მუშაკები მრეწველობისაგან.

1932 წლის პროგრამა—ეს უდიდესი სამუშაოების პროგრამაა, პროგრამა, რომელიც ამთავრებს პირველ 5 წლედს 4 წელიწადში. მისი შესრულება ნიშნავს მეორე 5 წლედში შესვლას უდიდესი რესურსებით და უდიდესი გამოცდილებით—და მეორე 5 წლედის შესრულებას უფრო ნაკლები დაძაბვით. თუ ჩვენ, ამხანაგებო, წელს შევასრულებთ შავი მეტალურგიის საწარმოო პროგრამას და კაპიტალური მშენებლობის პროგრამას ეს ჩვენ 1933 წელს მოგვცემს იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ჩვენ არ ავამუშავებთ ერთს ახალ ბრძმედს, 18—18 ნახევარ მილიონ ტონა თუჯს.

ნება მომეცით, ამხანაგებო, დავამთავრო ჩემი სიტყვა და გამოვსთქვა ღრმა რწმენა, რომ მრეწველობის მუშაკები, რომლებიც პარტიის მიერ დაყენებული არიან უაღრესად საპატიო სამუშაოზე, ვინაიდან მე ვერ წარმომიდგენია უფრო საპატიო მუშაობა, ვიდრე მაგნიტოგორსკის, კუზნეცკის, დნეპრომშენის, პატარა ქარხნის ან გიგანტის მშენებლობა, და, რომლებიც უნდა ამაყობდნენ პარტიის ნდობით, სავსებით გაამართლებენ ამ ნდობას. 1932 წლის გეგმის შესრულება ნიშნავს ამ ნდობის გამართლებას. (ხმები: სწორია!) (ხანგრძლივი ტაში).

ამხ. ლ. ბერიას საბოლოო სიტყვა
საქ. კ. პ. (ბ) მე-8 ყრილობაზე

ამხანაგებო. მე შევეცდები მოკლედ განვსაზღვრო ჩემი სიტყვა, რადგან ჩემამდე გამოსულმა ამხანაგებმა მელაძემ, ყურულაშვილმა, გორდელაძემ და სხვებმა შეამსუბუქეს ჩემი ამოცანა.

უჯრედების საგადარჩევო კამპანია და რაიონული პარტიული კონფერენციები ჩატარდა ბოლშევიკური თვითკრიტიკის ნიშნით. ჩვენი პარტიის ყრილობაც მიმდინარეობს ფართოდ გაშლილი თვითკრიტიკის იმავე დროშის ქვეშ, მისი ყველა მონაწილეების უდიდესი აქტივობის ნიშნით, რაც წარმოადგენს საქართველოს კომპარტიის რიგების სიმჭიდროვისა და მთლიანობის განმტკიცების ერთ-ერთ პირობას.

ეს აქტივობა და თვითკრიტიკა არის აგრეთვე გარანტია საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის. ყრილობის მუშაობის დროს ყოფილი ხელმძღვანელების ამხ. მამულიას და სუხიშვილის საბრალო გამოსვლებს ერთსულოვანი პასუხი და სათანადო შეფასება მიეცა. საქართველოს კომპარტია მიაღწევს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლენინური მითითებების შესრულებას, მიაღწევს თავისი რიგების ბოლშევიკური სიმჭიდროვისა და მთლიანობის დანერგვას.

სოფლის მეურნეობის საკითხები

ცალკე ამხანაგების საპასუხოდ, რომლებიც შეეხნენ გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის საკითხს, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მომავალი გაზაფხული განსხვავდება წინა გაზაფხულისაგან იმით, რომ ადგილი ჰქონდა, ერთის მხრით, თესვის გეგმის დიდ შეუსრულებლობას შემოდგომაზე, ხოლო, მეორე მხრით, იმით, რომ თანდათან იზრდება ტეხნიკური და სპეციალური კულტურების შემოღება სოფლის მეურნეობაში.

ჩვენ ფართოდ უნდა შევუდგეთ საბრძოლო მომზადებას გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის შესახვედრათ, დავრაზმოთ ყურადღება, პირველ ყოვლისა, ტრაქტორების შეკეთების გარშემო, სასოფლო-სამეურნეო იარაღების, მანქანებისა და სხვათა შეკეთების გარშემო. სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ მუშაობა ისე უნდა დააყენონ, რომ ყველაფერი წინდაწინ გაითვალისწინონ და მიიღონ საჭირო ღონისძიებანი. უნდა გავაკეთოთ, ამხანაგებო, ყოველივე, რომ უზრუნველყოფილი ვიქნეთ სათესი ფონდით. არც ერთი ჰექტარი არ უნდა დარჩეს დაუთესავი. ამისათვის კი მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და საკოლმეურნეო სისტემამ კოლმეურნეობათა ცენტრისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მეთაურობით უნდა გამოიანგარიშონ: სად და რამდენი ფონდია საჭირო და სად და როდის უნდა იქნას მიღებული ეს ფონდები. გამოანგარიშება უნდა იყოს სრულიად რეალური, მთელს ჩვენ მუშაობას ამ დარგში საფუძვლად უნდა დაედოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის შესახებ.

რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ ჩაის მეურნეობის დარგში? ამხ. ჟღენტმა და ამხ. მახარაძემ თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს, რომ ამჟამად უმთავრესია, ის, რომ ჩავატაროთ არსებული პლანტაციების რემონტი ამ საქმის გადადება შეუძლებელია. მისი გადადება დიდ ზარალს მოგვიტანს ჩაის მეურნეობის საგრძნობ ნაწილში.

გეგმა, როგორც თქვენ იცით მოხსენებიდან, მიღებულია 20.000 ჰექტარის რაოდენობით. 20 ათასი ჰექტარი—ეს არ არის პატარა გეგმა. 22 ათასი ჰექტარი ჩვენ დათესილი გვქონდა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ყველა წლების განმავლობაში, ეხლა კი ჩვენ განზრახული გვაქვს მხოლოდ ერთ წელს დავთესოთ 20.000 ჰექტარი. გეგმა დიდია, მაგრამ გეგმის შესრულება არის საჭირო. მე თქვენ უკვე მოგახსენებდით პირველად, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ჩაის და რა ამოცანებს გვისახავს ის ჩვენ, უნდა მოხდეს ყოველივე იმის მობილიზაცია, რაც კი საჭირო არის, იმ აუცილებელი პირობით, რომ ამ საქმეში მხარი დაგვიჭირონ ცენტრალურმა ორგანიზაციებმა, პირველ ყოვლისა, „საქართველოს ჩაი"-მ. ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ, როგორც ჩაის დარგში, ისე დანარჩენი სპეციალური და ტეხნიკური კულტურების დარგშიაც 1932 წელს, დარგვის ხარისხს, მუშაობის ხარისხს, რომ ჩვენში ადგილი არ ჰქონდეს რიცხვობრივი მაჩვენებლების შესრულებას ხარისხის ხარჯზე. უნდა მოვიპოვოთ სრული წარმატება, როგორც ხარისხობრივი, ისე რიცხვობრივი მაჩვენებლების შესრულების მხრით.

სახკომსაბჭო საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაავალდებულა უკვე მიწსახკომი მთელ რიგ ღონისძიებებს მევენახეობის განვითარებისათვის. მეურნეობის ამ დარგში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მომარაგების საკითხებს, თქვენ კარგად იცით, რომ მევენახეები წარსულ წელს არ იყვნენ მომარაგებული და კრედიტსაც არ აძლევდნენ მათ. ბამბის შესახებ: აქ გამოდიოდნენ ამხანაგები (გასან-საბრი, ჯაფარიძე და სხვები) და სრულიად სამართლიანად ამახვილებდნენ ყურადღებას იმ ნაკლოვანებათა გარშემო, რაც გვქონდა და დღემდეც არის ჩვენი მუშაობის ამ დარგში. საქართველოს და ამიერ-კავკასიის ცენტრალურმა ორგანიზაციებმა ყოველ მხრივი დახმარება უნდა აღმოუჩინონ უკვე დასახულ ღონისძიებათა გატარების საქმეს. მებამბეების გადასაყვანად ბინადრულ მდგომარეობაზე, რისთვისაც, პირველ ყოვლისა, საჭიროა მათი უზრუნველყოფა სასმელი წყლით. უნდა ავამოძრაოთ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატიც, რომ სათანადო სიმაღლეზე იქნას დაყენებული საექიმო დახმარების აღმოჩენის საქმე. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მომარაგების მოგვარებას. ამის შესახებ ლაპარაკობდა ამხ. ჯაფარიძე. ამ საქმის გადადება შეუძლებელია. სახკომსაბჭომ უკვე დასახა მთელი რიგი საჭირო ზომები და ჩვენც შევეცდებით, რომ ეს საქმე მიმდინარე წელს ჯეროვნად იქნეს მოგვარებული.

სიღნაღის ორგანიზაციამ, ალაზნის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებთან ერთად, უნდა მიაღწიოს და მიაღწევს კიდეც გეგმის 100 პროც. შესრულებას. ჩვენთვის საჭიროა მხოლოდ ამ საბჭოთა მეურნეობის ხაზით სათანადო მუშაობის ჩატარება, რაც უკვე მიმდინარეობს და რაც მთლიანად უნდა იქნას ჩატარებული, რომ საბჭოთა მეურნეობის მუშებს ექნეთ საცხოვრებელი ბინა, რომ იქ მათ შეეძლოთ რიგიანად ცხოვრება, ისე ცხოვრება, როგორც ეს საჭიროა, და არა ისე, როგორც ეს აქამდე იყო. თუ ჯეროვნად ყურადღებას მივაქცევთ ბამბის დამუშავებას, თუ ამ საქმეს კარგად მოვაწყობთ, მაშინ საჭირო აღარ იქნება ლაპარაკი ტეხნიკური კულტურების „არარენტაბელობის" შესახებ. თუ ეს კულტურა აქამად არარენტაბელურია, ის უნდა მიეწეროს მხოლოდ ჩვენი მუშაობის ცუდ ხარისხს. საჭიროა ეს შეიგნონ ყველა ჩვენთაგანმა და არ იყბედონ არარენტაბელობის შესახებ.

ამხანაგებო, ყველა ეს ჩემ მიერ მოკლედ მოყვანილი ამოცანები სოფლის მეურნეობის დარგში, კერძოდ სასოფლო-სამეურნეო კამპანიის შესახებ, შესაძლებელია შესრულებულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ წესიერად იქნება დაყენებული მუშაობა ღარიბებს შორის, მოჯამაგირეებსა და საკოლმეურნეო აქტივს შორის თუ სისწორით იქნება ჩატარებული მასიური პარტიული მუშაობა სოფლად. ამ მუშაობის ბოლშევიკურად განხორციელებით ჩვენ პასუხს გავცემთ კლასობრივ მტერს კულაკს და მის აგენტურას—მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტებს.

მრეწველობის საკითხები

რაც შეეხება ჩვენს ამოცანებს მრეწველობის დარგში, უნდა ითქვას, რომ მას შემდეგ, რაც ამხ. ყურულაშვილმა აქ ძალიან ვრცლად გააშუქა მდგომარეობა და დასახა კონკრეტული ამოცანები მრეწველობის დარგში, მე მსურს შევჩერდე მხოლოდ შემდეგ საკითხებზე. ერთხელ და სამუდამოდ. ბოლო უნდა მოეღოს ახალ მშენებლობათა რამდენიმე წლობით გაჭიანურებას. გადაჭრით უნდა დავიპყროთ დაკარგული და გავაძლიეროთ მშენებლობის ტემპები და დავამტკიცოთ, რომ ჩვენ შევწყვეტთ უნარო მშენებლობას და რომ შეგვიძლია დროზე დავამთავროთ ჩვენი მშენებლობა. ამისათვის უნდა იქნას დარაზმული პარტიული, პროფესიონალური და დანარჩენი ორგანიზაციები.

განსაკუთრებით მეთვალყურეობას საჭიროებს მუშების მომარაგების საქმე, მეტწილად ახალ მშენებლობებში, სადაც ისინი ცუდ პირობებში არიან ჩაყენებული, სხვა ადგილებთან შედარებით. აქ გამოვიდნენ ამხანაგი სინიოვი და ქურდაძე, ერთი რელსიანი ტრანსპორტის საკითხის შესახებ, ხოლო მეორე გზატკეცილების საკითხის შესახებ. ორივემ საკმაოდ ვრცლად და კონკრეტულად აღნიშნეს ის ღონისძიებანი, რომელთა გატარებაც არის საჭირო. უნდა გავაკეთოთ ყოველივე იმისათვის, რომ არ გვქონდეს ისეთი გარღვევები, როგორსაც ადგილი აქვს ამჟამად ჩვენს ტრანსპორტზე. ჩვენში ადგილი აქვს ვაგონების გაცდენას იმის გამო, რომ არ ვიცით მათი დროზე გადმოტვირთვა. ამჟამად რამდენიმე გემი გადმოუტვირთავად ხდება ფოთის ნავთსადგურში მხოლოდ იმიტომ, რომ შეუძლებელი ხდება ვაგონების მიწოდება. ვაგონები კი თბილისში დაბანდებულია კლიენტურის დანაშაულობრივი უთაურობის მიზეზით. ამ საზიზღრობას ბოლო უნდა მოეღოს. პარტორგანიზაციებმა, პროფორგანიზაციებმა და სამეურნეო მუშაკებმა ცხოველი მონაწილეობა უნდა მიიღონ ტრანსპორტისათვის კონკრეტული ხელმძღვანელობის გაწევისა და მისთვის კონკრეტული დახმარების აღმოჩენის საქმეში.

სახელმწიფო აპარატი

ეხლა სახელმწიფო აპარატის შესახებ. ამ საკითხზე აქ გამოდიოდნენ ამხანაგები, კერძოდ პარტიის ტყიბულის რაიკომის მდივანი ამხ. გიორგობიანი, რომელიც ამბობდა, რომ ძალიან ხშირად ადგილებიდან ჩამოსულ ამხანაგებს უხდებათ თბილისის ცენტრალურ დაწესებულებებში ორი-სამი დღით ლოდინი და პასუხს ვერ ღებულობენ თავიანთ საკითხებზე. ეს მართალია, ამ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ მტკიცე ზომები უნდა იქნას მიღებული, რათა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენმა დაწესებულებებმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა დაამყარონ გარკვეულობა თავიანთ მუშაობაში და შესაძლო დროზე და სწრაფად პასუხს გაცემა რაიონების შეკითხვებზე. უნდა მივაღწიოთ შესრულების ყოველდღიური კონტროლის წარმოებას, რომ არ გვიხდებოდეს მხოლოდ მაშინ მოგონება, გადაჭრილ იქნა თუ არა ესა თუ ის საკითხი, როცა ცენტრალური კომიტეტი და სახკომსაბჭო შეეკითხებიან ამის შესახებ.

უნდა დავამყაროთ აგრეთვე ისეთი მდგომარეობა, რომ თვითეული დაწესებულების სათავეში დაყენებული პირი იყოს თავისი აპარატის ბატონ-პატრონი, რომ იგი დაეუფლოს თავის აპარატს და პასუხს აგებდეს მისი მუშაობისათვის. თუ ჩვენ ამას არ მივაღწევთ, მაშინ კვლავ დავუშვებთ შეცდომებს, დავაბნევთ სხვებს, დავაბნევთ რაიონებსაც და სხვ. ცენტრალური კომიტეტი უკვე შეუდგა საკითხის განხილვას ცენტრალური ორგანიზაციების და რაიონების კავშირების განმტკიცების შესახებ. ჩვენი ცენტრალური დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შესახებ ლაპარაკის დროს მე მინდა შევეხო რამდენიმე სიტყვით სოფლის საბჭოებსაც. ძალიან ბევრი ამხანაგი აქ გამოდიოდა და ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ მთელ რიგ რაიონებში ხდება სოფლის საბჭოების გაუპიროვნება. საჭიროა მივიღოთ ზომები, რომ სოფლის საბჭოებმა ფართოდ გაშალონ თავიანთი მუშაობა. მხოლოდ მაშინ, თუ სწორად იქნება განაწილებული მუშაობა და მთელი ენერგიით გაშლილი იქნება წარმოებული მუშაობა, შესაძლებელი ჩვენ მუშაობის უზრუნველყოფა სოფლად. სოფლის საბჭოებისათვის პარტუჯრედების მიერ ხელმძღვანელობის გაწევა ისე უნდა იქნას დაყენებული, რომ რაიაღმასკომები და რაიკომები სოფლის საბჭოების თავმჯდომარეებად ირჩევდნენ საუკეთესო ორგანიზატორებს. მაშინ სოფლის საბჭოები დიდათ დაგვეხმარებიან ჩვენ, იმ შეცდომების გამოსწორებაში, რაც დაშვებულ იქნა წარსულში და აგვაცდენენ ახალ შეცდომებს შემდგომ მუშაობაში.

მართალია, ამხანაგებო, ძალიან ცოტა არის გაკეთებული სამხრეთ-ოსეთისათვის, მაგრამ ამაში დამნაშავენი არიან არა მარტო ის ამხანაგები, რომლებიც ხელმძღვანელობას ცენტრიდან ეწეოდნენ, არამედ ის ამხანაგებიც, რომლებიც იყვნენ სამხრეთ-ოსეთში. მაგრამ იმის თქმა, რომ იქ არაფერი არის გაკეთებული, რომ სამხრეთ-ოსეთი—ეს ცარიელი ადგილია ხუთწლედის რუქაზე, ეს, რასაკვირველია, არ არის სწორი. ეს არის ზერელე დახასიათება, რომელიც არარად აგდებს მთელ იმ მუშაობას, რაც ჩატარებულ იქნა სამხრეთ-ოსეთის მიმართ.

ჩვენი მუშ.-გლ. წით. არმიის მუშაობაში, რომელშიაც ყველა ნაციონალური დივიზიებიც შედიან ჩვენ უდიდესი წარმატება გვაქვს მოპოვებული. ეს წარმატება იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს ნაციონალურ დივიზიებში ამჟამად არის კომუნისტებისა და კანდიდატების დიდი პროცენტი, რომ წითელი არმია მტკიცედ არის შედუღებული მებრძოლი ლენინური ინტერნაციონალიზმით. კიდევ უფრო მეტი ყურადღება და ზრუნვა უნდა გამოვიჩინოთ ჩვენი წითელი არმიისათვის და დავრაზმოთ ამისათვის ყველა ჩვენი სამოქალაქო ორგანიზაციები.

მაღლა გვეჭიროს ბოლშევიკური შეკავშირების დროშა

ზოგიერთი ამხანაგები თავიანთ გამოსვლებში იმეორებდნენ ზერელე ფორმულირებებს, ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ თითქოს ძველმა ხელმძღვანელობამ ყველაფერი წაართვა გლეხობას. ასეთი ლაპარაკი საზიანოა, არ არის სწორი. ერთია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ დაშვებულ იქნა უხეში პოლიტიკური შეცდომები, გადახვევები და დამახინჯებანი, ერთია, როცა ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ ზოგჯერ ართმევდნენ სამომხმარებლო ნორმის ნაწილს და სათესლე ფონდის ნაწილს ცალკე რაიონებში. მაგრამ ყოველივე ამის განზოგადოება და გამოცხადება, რომ გლეხებს ყველაფერი წაერთვათ, რასაკვირველია, დაუშვებელია.

ლაპარაკი, რომ გლეხებს ყველაფერი წაერთვათ, წყალს ასხამს კლასობრივი მტრის წისქვილზე. ეს უნდა ვიქონიოთ მხედველობაში და არ მოვიყვანოთ საერთო ზერელე ფორმულირებები.

თითო-ოროლა ლაპარაკობს შეუგნებლად, ხოლო აქა-იქ ლაზღანდარობენ და განზრახაც იმის შესახებ, რომ ახალ ხელმძღვანელობას განზრახული აქვს „მემარცხენე" გადახვევები გამოასწოროს მემარჯვენე პრაქტიკით. ვისაც ასე ესმის ჩვენი ხაზი, ის სასტიკად სცდება, ხოლო ვისაც სურს თავს მოგვახვიოს ეს ან მოგვაწონოს ჩვენ, იგი ორჯერ მეტად სცდება.

დამზადების საკითხის შესახებაც აგრეთვე ადგილი აქვს ასეთ განწყობილებებს. მაგრამ მათ წინააღმდეგაც ჩვენ მივიღებთ მტკიცე ზომებს. დამზადებას არა ფანტასტიურს, არამედ რეალურს ჩვენ ვაწარმოებთ, მაგრამ ჩვენ ამას ისე გავაკეთებთ, რომ დამზადების შედეგად ჩვენი მდგომარეობა სოფლად კი არ შესუსტდეს, არამედ განმტკიცებული დარჩეს. ეს ჩვენში, საქართველოში, იწარმოებს იმ შეცდომების გადაჭრით გამოსწორების გზით, რაც დაშვებულ იქნა გლეხთა საკითხში ძველი ხელმძღვანელობის მიერ, შეურიგებელი ბრძოლის საშუალებით ორ ფრონტზე—მემარჯვენე ოპორტუნიზმის, როგორც მთავარი საფრთხის წინააღმდეგ, და „მემარცხენე" გადახვევებისა და მათდამი შემრიგებლობის წინააღმდეგ.

ამ მოკლე შენიშვნების შემდეგ მე მსურს ვილაპარაკო ერთი წიგნის შესახებ. ამ წიგნის შესახებ ვრცლად ლაპარაკობდა ამხ. მამია თავის გამოსვლაში თბილისის აქტივის კრებაზე. წიგნი დაწერილია ამხ. თენგიზ ჟღენტის მიერ. ეს წიგნი მე ცალკე იმიტომ გამოვყავი, რომ მასში, თუ მას ყურადღებით გადავიკითხავთ, ერთ ადგილას ისე გამოდის, თითქოს ამხანაგი სერგო წინააღმდეგი იყო წითელი არმიის ქართული ნაწილების მოწყობის. ეს ადგილი წიგნში ისე გამოიყურება, ამ ადგილიდან თავისთავად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ის ვითომ არ გამოდიოდა არც ადგილობრივი უკლონისტებისა და არც დიდმპყრობელების წინააღმდეგ. შესაძლებელია ამ [illegible] ამხ. თენგიზ შეგნებულად, შესაძლებელია უნებლიედ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ჩვენ გადაჭრით უნდა ვამხილოთ ის უხეში შეცდომები, ის დამახინჯებანი, რასაც უშვებენ პარტიის ისტორიის შედგენის დროს. სრულიად ცხადია, რომ ამხ. თენგიზის წიგნში ამ უხეშ დამახინჯებას აშკარად აქვს ადგილი. ჩვენ ცენტრალურ კომიტეტში ვილაპარაკეთ ამ ხანებში ისტპარტის შესახებ. იმის შესახებ, რომ საჭირო იქნება ისტპარტის აპარატის გადასინჯვა, თუ რას წარმოადგენს ის. რა შრომები გამოსცა ისტპარტმა და როგორ იწერებოდა ისინი. მე არ ვიცი, აქამდე ყურადღებას აქცევდნენ ამას თუ არა, მაგრამ ჩვენ ხელს მოვკიდებთ ამ საქმეს, ვინაიდან დამახინჯების ფაქტებს, ეჭვს გარეშეა, ადგილი აქვს დანარჩენ ნაწარმოებებშიაც.

აქ გამოვიდნენ მთელი რიგი ამხანაგები (გობეჩია და სხვ.) და, უნდა ითქვას, რომ მათი გამოსვლები—ეს არის თავიანთი შეცდომების ბოლშევიკურად აღიარების ნიმუში. ჩვენ ეს ძალიან გვახარებს და ვესალმებით მათ გამოსვლებს. აქვე უნდა ვთქვა რამდენიმე არა სავსებით მართებული რეპლიკების შესახებ იმ ამხანაგების მხრივ, რომელთაც სურდათ რამდენადმე კბილი გაეკრათ ამხანაგ აზარაშვილისათვის — რომელიც არის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი. ეს არ არის სწორი საქციელი, ამხანაგებო, ასე მოქცევა არ შეიძლება. რა გსურთ თქვენ, ამხანაგებო? კომკავშირი იმყოფება პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ, ამხ. აზარაშვილს ასეთი ინფორმაცია მიაწოდეს და განა შეიძლება ბრალი დავსდოთ აზარაშვილს იმაში, რომ კომკავშირის აქტივის კრებაზე მან არა სავსებით სწორი გეზი მისცა აქტივს? შეიძლება მას ბრალი დავსდოთ მხოლოდ იმაში, რომ ის არ აღმოჩნდა სხვა ხელმძღვანელ პარტიულებზე უფრო შორსმჭვრეტი. ამის შესახებ ჩვენ მაშინვე გავიგეთ და გადავწყვიტეთ, რომ ეს არ არის განზრახ ჩადენილი, არამედ გაკეთებულია იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც მას მიაწოდა ძველმა ხელმძღვანელობამ.

კომკავშირმა უფრო მეტად, მტკიცედ და ბოლშევიკურად უნდა შეაკავშიროს თავისი რიგები (ცენტრალური კომიტეტი ამ საქმეს შეუდგება), გამოაშკარავოს ცალკე ნაკლოვანებანი, რასაც ადგილი აქვს, მაგრამ არ უნდა გააკეთოს ყოველივე ეს ისე, რომ გამოიწვიოს შხლა-შემოხლის განწყობილება.

პატარა განცხადება შემოიტანა ამხ. შალიკო ოკუჯავამ, რომელშიაც იგი უფრო კონკრეტულად აღიარებს თავის შეცდომებს. საჭიროა მხოლოდ შეწყვეტილი იქნას ჩვენი გვარების დაუსრულებელი ხსენება, არავინ არ მოითხოვს, რომ ჩვენ გვახსენებდნენ და ამბობდნენ; აი, თქვენ ასეთი კარგები ხართ, ჩვენ კი ასეთი ცუდნი ვართ. არ არის ეს საჭირო. თუ ამხანაგები განაგრძობენ ამას. ჩვენ მათ ვეტყვით, რომ თავი დაანებონ ამას, რადგან ეს სრულიადაც არ არის საჭირო. პარტიამ თითონ იცის —ვინ, როგორ და რა. ხოლო თუ ვინმე ფიქრობს, რომ ეს ჩვენთვის ძალიან სასიამოვნოა, ის სასტიკად სცდება. მეორე განცხადება ეკუთვნის ამხ. ლომიძეს, რომელიც არ გამოსულა, მაგრამ, რომელმაც რეპლიკა წამოისროლა. ეს რეპლიკა კი ეწინააღმდეგება მის განცხადებას

რით ამთავრებს ლუკა ლომიძე? „მე ყოველთვის თავის უპირველეს მოვალეობად, როგორც პარტიული, საჭიროდ ვთვლიდი და ეხლაც ვთვლი ვიყო მხარის დამჭერი ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწონებული ხელმძღვანელობის". საინტერესოა, როგორ შეეცდებოდა ის არ დაეჭირა მხარი იმ ხელმძღვანელობისათვის, რომელიც მოწონებული იქნებოდა ცენტრალური კომიტეტის მიერ? განა ცხადი არ არის, რომ ამის შესახებ არ არის აქ ლაპარაკი, მე კაცს ვერ გაუგია, თუ რას მოითხოვს მისგან პარტია. შემდეგ იგი სწერს: „აქედან, როგორც ლოღიკური დასკვნა გამომდინარეობს, რომ მე მხარს ვუჭერ ახალ ხელმძღვანელობას" (სიცილი). მე ვფიქრობ, რომ ლუკა ლომიძისათვის არავის ძალა არ დაუტანებია დაეწერა ეს განცხადება. მისთვის უკეთესი იქნებოდა გამოსულიყო და გამოსულიყო კი დამოუკიდებლად იმისა, ჰქონდა თუ არ ჰქონია მას შეცდომა. უნდა გამოსულიყო ის, როგორც საქართველოს ტრაქტორცენტრის თავმჯდომარე. აქ ბევრს ლაპარაკობდნენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების შესახებ, ტრაქტორების შესახებ, ამიტომ ის უნდა გამოსულიყო და ეთქვა, თუ როგორ აქვს მას წარმოდგენილი თავისი შემდგომი მუშაობა ტრაქტორცენტრში. მაგრამ მან საჭიროდ არ დაინახა გამოსულიყო, ნაცვლად კი დასწერა განცხადება და ყოვლად უვარგისი განცხადება.

აქ გამოსული ამხანაგები ლაპარაკობდნენ სამეურნეო და სხვა საკითხების შესახებ, ძველი ხელმძღვანელობის შეცდომების შესახებ, რომლის დროსაც არ შეეძლოთ არ ეხსენებინათ ამხ. მამულია.

არა ამხ. მამულიას პიროვნება აინტერესებს ყრილობას, არამედ მამულიას შესახებ ლაპარაკის დროს იგი ეხება იმ შეცდომებს, რასაც ადგილი ჰქონდა და რასაც ამჟამადაც აქვს ადგილი, ეხება დაშვებული შეცდომების გამოსწორებას. ყრილობა ლაპარაკობს ამხ. მამულიას შესახებ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის განსაზღვრავს იმ შეცდომებს, რომლებიც დაშვებული იყო ამ ხნის განმავლობაში.

ამხ. მამულიამ ყრილობაზე [illegible] ყველამ იცის აქ დამსწრეთაგანმა, მაგრამ აღიარა მან მხოლოდ ერთი—სახელდობრ ის, რომ იგი შეცდომად სთვლის, რომ აქამდე არსად არ გამოსულა, თუმცა კი მოეპოვებოდა სრული შესაძლებლობა ამისათვის. თავის დოკუმენტში კი ამხ. მამულია ბევრს რამეს არასწორად აშუქებს. ამ დოკუმენტის ზოგიერთ ნაწილში კი ამახინჯებს კიდეც საკავშირო კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებებს, როცა იგი ცდილობს ზოგიერთები შეცდომაში შეიყვანოს,

ამხანაგებო, მე შეგნებულად შევჩერდი ჩემს მოხსენებაში მხოლოდ ორ ამონაწერზე მის განცხადებიდან, მაგრამ ამხანაგმა მამულიამ თავისი გამოსვლით ყრილობაზე თითონ მოგვცა მასალა ლაპარაკისათვის. იგი ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ ის ამხ. ბერიასთან ცუდ განწყობილებაშია, რომ ჩვენ წავეჩხუბეთ ერთმანეთს აჭარისტანში. მაგრამ ისიც ცხადია, რომ სავალდებულო არ არის ჩვენ უთუოდ გვიყვარდეს ერთმანეთი, ხოლო ის, რომ ჩვენ წავიჩხუბეთ აჭარისტანში, ჩემთვის ახალია, ახალია აგრეთვე ჩემთვის ისიც, რომ მე მას სადმე ვეჩხუბებოდი.

შემდეგ ამხ. ბერია კითხულობს მთელ რიგ ამონაწერებს 1930-31 წლ. მასალიდან, რომელიც გამოგზავნილი იყო საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტში და კერძოდ ამხ. მამულიას სახელზე.

ამ ამონაწერებიდან ნათლად ირკვევა, რომ ამხ. მამულია აშკარად ტყუილს ეუბნებოდა ყრილობას, როცა ამტკიცებდა, რომ იგი არავის გაუფრთხილებია გადახვევათა შესახებ სოფლად, ნამდვილი მდგომარეობის შესახებ სოფელში. ასეთი გაფრთხილების მიცემას სისტემატიურად და დაჟინებით ჰქონდა ადგილი, მაგრამ ძველი ხელმძღვანელობა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მას.

ეს ამონაწერები აგრეთვე ამტკიცებენ ამხ. მამულიას მტკიცების სიყალბეს იმის შესახებ, რომ მას არ ჰქონდა პრინციპიალური უთანხმოებანი ამხ. ბერიასთან.

— ამხანაგებო!—განაგრძობს ამხ. ბერია, —როგორც ხედავთ, გაფრთხილებას ჰქონდა ადგილი მთელი ხნის განმავლობაში. როცა ამხანაგი მამულია აცხადებდა იმის შესახებ, რომ მას არ აფრთხილებდნენ, რომ მან არაფერი იცოდა, იგი, რბილად რომ ვთქვათ, სიმართლეს არ ეუბნებოდა პარტიულ ყრილობას.

არავის სურს, რომ მამულიამ ან სხვა ვინმემ აუცილებლად დაიჩოქოს. ჩვენ ვეუბნებით მათ: ძვირფასო ამხანაგებო, გამოასწორეთ თქვენი შეცდომები, აღიარეთ ისინი და, რაც უფრო ადრე იქნება ეს, მით უკეთესი თვით თქვენთვის.

არ სურთ ეს გააკეთონ—ეს მათი ნებაა! მაგრამ ყრილობამ უნდა იცოდეს, რომ მამულია თავის გამოსვლაში მართალს არ ამბობდა. სწორია, თუ არა ეს ამხანაგებო? (ხმები—სწორია).

საბოლოო სიტყვის დამთავრების წინ მე მსურს განვაცხადო, რომ მთელი ჩვენი პარტიის შემჭიდროებული მუშაობით ჩვენ გამოვასწორებთ დაშვებულ შეცდომებს, მთელი ჩვენი პარტიის მუშაობით ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გვერდები დაუზიანოთ ყველა იმ პატარა ატამანებს, რომლებიც აქა-იქ კიდევ დარჩენილან და, რომელთაც სურთ თავი იჩინონ. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ამ ადამიანებს არ ექნეთ საშუალება დაიტოვონ თავისთვის უკან დახევის გზები, თავის დასაძვრომი ადგილები. არავის, არც ძველი და არც ახალი შემადგენლობიდან ჩვენ არ მივცემთ იმის საშუალებას, რომ მოიპოვონ ეს თავის დასაძვრომი ადგილები და თავი იგულვონ ატამანებად—„აი ისინი არიან ჩემი კაცები, რომლებიც მხარს დამიჭერენ მე"-ო, პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სამხარეო კომიტეტის გარშემო ბოლშევიკურად უნდა შევამჭიდროვოთ ჩვენი რიგები, რასაც ჩვენ გავაკეთებთ კიდეც. ჩვენ ამას გვავალებენ საკავ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება და ჩვენი პარტიის ბელადის ამხ. სტალინის მითითებები.

ჩვენ უნდა წარვსდგეთ საკ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სამხარეო კომიტეტის წინაშე მთლიანი, მონოლიტური ბოლშევიკური ორგანიზაციის რიგებში დარაზმული. ხელისშემშლელები დანდობილი არ იქნებიან.

ამიტომ ვუსურვებთ პარტიის მომავალ ცენტრალურ კომიტეტს ბოლშევიკურ ტემპებს, ბოლშევიკურ წარმატებებს, ლენინურ პოლიტიკას.

გაუმარჯოს ამხ. სტალინს!

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს ამიერ-კავკ. ფედერაციას!

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-8 ყრილობას! (მქუხარე ტაში).

საქ. კ. პ. (ბ) მე-8 ყრილობის და თბილისის მე-14 პარტკონფერენციის დადგენილებები—მასებში

ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ შეცდომების ძირფესვიანად აღმოფხვრით,

პარტიის გენერალური ხაზის ურყევად გატარებით, ახალი პარტიული ხელმძღვანელობის ირგვლივ მტკიცედ დარაზმვით ბოლშევიკურად შევასრულოთ ყრილობის და კონფერენციის დადგენილებები

ავსწევთ შრომის ნაყოფიერებას
გავაუმჯობესებთ პროდუქციის ხარისხს

8 თებერვალს შესდგა ლუდის ქარხნის და სტამბა „კომუნისტი"-ს პარტუჯრედების გაერთიანებული კრება — კომკავშირთან ერთად.

—კრებამ მოისმინა ამხ. ალ. ჩიქოვანის მოხსენება საქ. კ.პ. (ბ) მე-8 ყრილობის და თბილისის მე-14 საქალაქო პარტკონფერენციის დადგენილებებისა და შედეგების შესახებ

მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა იმ უდიდეს მიღწევებზე, რომელიც მოიპოვა საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე.

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობდნენ: ამხ. დ. დემეტრაძე, გ. ღლონტი, ა. ალიბეგაშვილი, ი. ა. ოსეფაშვილი, თ. სიხარულიძე, ვ. მახვილაძე, მაისაძე, წივწივაძე, ლეჟავაძე და ღონღაძე.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს ადგილობრივი პარტიული, პროფესიონალური და სამეურნეო ორგანიზაციის მუშაობაში არსებული დეფექტები და დასახეს მათ გამოსასწორებლად მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი.

კამათისა და საბოლოო სიტყვის შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუცია და პრაქტიკული ღონისძიებანი. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ:

„ლუდის ქარხნის და სტამბა „კომუნისტი"-ს პარტუჯრედების გაერთიანებული კრება კომკავშირთან ერთად სავსებით და მთლიანად იწონებს საქ. კ.პ. (ბ) მე-8 ყრილობის და თბილისის მე-14 საქალაქო პარტკონფერენციის ყველა დადგენილებებს და უერთდება მათ, რის საფუძველზედაც ლუდის ქარხნის და სტამბა „კომუნისტი"-ს პარტუჯრედების გაერთიანებული კრება თავის მუშაობის საბრძოლო ამოცანად სახავს: ბოლშევიკურ ბრძოლას პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, გაუპიროვნების სრულ ლიკვიდაციას და საამქროების და ბრიგადების სამეურნეო ანგარიშზედ გადაყვანას, მუშათა ახალ კადრების მომზადებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას.

—კრება აყენებს საკითხს თბილისის ცენტრალურ გაზეთების რედაქციების და ცენტრალური კომიტეტის წინაშე — სტამბის სპეციალური ახალი შენობის აგების შესახებ. კრება ავალებს ლუდის ქარხნის და სტამბა „კომუნისტი"-ს ადმინისტრაციას და პარტუჯრედების ბიუროებს — მიიღონ გადაჭრილი ზომები სტამბის სასადილოს ახალ შენობის დროულად დასამთავრებლად

კრება იწონებს „ზარია ვოსტოკა"-ს სტამბის მუშების ინიციატივას ამხ. სტალინის სახელობის ხუთი ტეხნიკ. სახლის აგების შესახებ და ავალებს პარტუჯრედების ბიუროებს — დაამუშაონ მუშათა ფართო კრებებზე „ზარია ვოსტოკა"-ს მუშების მოწოდება და მიიღონ სტალინის სახელობის ტეხნიკის ხუთი სახლი ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი.

კრება ავალებს პარტუჯრედების ბიუროებს — საქ. კომპარტიის მე-8 ყრილობის და თბილისის მე-14. პარტკონფერენციის ყველა დადგენილებები დამუშავებული იქნეს პარტიისა და კომკავშირის პოლიტწრეებში.

შ.—

წლის გეგმებს გადაჭარბებით შევასრულებთ

თბილისის ტრამვაის პარტუჯრედების გაერთიანებულმა კრებამ კომკავშირთან ერთად მოისმინა ამხ. ბოკუჩავას მოხსენება— საქ. კ. პ. (ბ) მე-8 ყრილობის და თბილისის მე-14 საქალაქო პარტკონფერენციის შედეგების შესახებ.

კამათში გამოსული ამხანაგები ხაზგასმით აღნიშნავდნენ პარტორგანიზაციების მუშაობაში შემჩნეულ დეფექტებს და სახავდნენ მათ გამოსასწორებლად პრაქტიკულ ღონისძიებებს.

კამათის და საბოლოო სიტყვის დასასრულ მიღებული იქნა რეზოლიუცია და პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ:

„ტრამვაის პარტუჯრედების გაერთიანებული კრება-კომკავშირთან ერთად სავსებით და მთლიანად იწონებს საქ. კ. პ. (ბ) მე-8 ყრილობის და თბილისის მე-14 საქალაქო პარტკონფერენციის ყველა დადგენილებებს და უერთდება მას.

ტრამვაის პარტუჯრედების გაერთიანებული კრება საქ. კომპარტიის მე-8 ყრილობის და თბილისის მე-14 პარტკონფერენციის დადგენილებების შესრულების მიზნით, ტრამვაის პარტიული ორგანოები იბრძოლებენ მიმდინარე შეკეთებაში ხარისხის გასაუმჯობესებლად, ასწევენ შრომის ნაყოფიერებას, უზრუნველყოფენ დაზიანებულ ლიანდაგების სწრაფ შეკეთებას, ფართოთ გაშლიან სოცშეჯიბრებას და დამკვრელობას და ამით უზრუნველჰყოფენ ხუთწლედის მეოთხე და გადამწყვეტი წლის საწ.-საფ. გეგმების გადაჭარბებით შესრულებას, სასტიკ ბრძოლას გამოუცხადებენ სიმულიანტობას და ცრუ - დამკვრელობას. თებერვლის ბოლო რიცხვებამდე 60 ვაგონს გადაიყვანენ სამეურნეო ანგარიშზე, გაშლიან ფართო მუშაობას ახალ მიღებულ მუშებსა და მუშა ქალებს შორის და აწევენ მათ თეორეტიულ მომზადებას. იბრძოლებენ ამხ. სტალინის ექვს ისტორიულ მითითებების შესასრულებლად, უახლოეს ხანებში გარდაქმნიან მუშაობას ახალ ფორმების და მეთოდების მიხედვით და მუშაობის სიმძიმის ცენტრს გადაიტანენ საამქროებსა და ბრიგადებში, სასტიკ ბრძოლას გამოუცხადებენ პარტიის გენერალური ხაზიდან ყოველგვარ გადახრებს და მათდამი შემრიგებლობას.

ტრამვაის პარტუჯრედების გაერთიანებული კრება კომკავშირთან ერთად არწმუნებს საქ. კ.პ. (ბ) ცკას ახალ ხელმძღვანელობას, რომ საქ. კომპარტიის მე-8 ყრილობის და თბილისის მე-14 პარტკონფერენციის ყველა დადგენილებების რეალიზაციით უზრუნველჰყოფენ ხუთწლედის მეოთხე წლის საწ.-საფ. გეგმების წარმატებით შესრულებას.

ბოლშევიკურ დადგენილებებს
მტკიცედ განვახორციელებთ

3 თებერვალს გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკის კომუჯრედის და კომკავშირის გაერთიანებულ კრებაზე დამუშავდა საქ. კ. პ. (ბ) ცკას მე-8 ყრილობის და თბილისის ორგანიზაციის მე-14 პარტკონფერენციის დადგენილებანი.

აღნიშნულ საკითხზე მოხსენებით გამოვიდნენ ამხ. ამხ. უსტინოვი და დოლიჯაშვილი.

კამათში მონაწილეობა მიიღო: ამხ. აგაფჯანოვმა, კირაკოზოვმა, გაუჩიანმა ჯინჭარაძემ, ხატისკაცმა, მურადოვმა, კვლივიშვილმა, სადუშელმა, გუდიაშვილმა და სხვ.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის საქ. ცკას და თბილისის კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ შეცდომებს, რომლებიც უმთავრესად გამოიხატებოდა გლეხობის საკითხში (დამზადებები, საკოლმეურნეო მშენებლობა და სხვ) ნაციონალური პოლიტიკის საკითხში, კადრების განაწილებაში და სხვ. ამხანაგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ძველმა ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველყო პარტიის გენერალური ხაზის გატარება. ამხანაგები ვრცლად შეჩერდნენ ფაბრიკაში არსებულ მდგომარეობაზე, აქ მიმდინარე მუშაობაზე. აღინიშნა, რომ ფაბრიკის ძველი ხელმძღვანელობა მთლიანად დაყრდნობილი იყო თვითდინებაზე: ფაბრიკის პარტიულმა, სამეურნეო, და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა ვერ გაშალეს ბრძოლა ამხ. სტალინის 6 ისტორიული მითითების გატარებისათვის, რამაც შედეგად მოგვცა ის, რომ ფაბრიკამ 1931 წლის საწ.-საფ. გეგმა შეასრულა მხოლოდ 30.5 პროც. ამავე დროს მუშები აღნიშნავდნენ, რომ საწარმოში სრულებით არ იყო გარდაქმნილი პარტმასიური მუშაობა. გამოყოფილი იქნენ ფორმალურად ჯგუფორგანიზატორები, რომლებიც არავითარ მუშაობას არ აწარმოებდნენ ჯგუფებში—შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, მოცემულ დავალებათა შესრულებისათვის და სხვ.

მუშები ფართოდ გამოეხმაურნენ გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს სტამბის მუშების მოწოდებას ამხ. სტალინის სახელობის ტეხნიკის 5 სახლის აგების შესახებ.

ეს საკითხი დამუშავდა 31 იანვარს მუშათა საერთო კრებაზე: მუშებმა დაადგინეს —გადასდონ 1 დღის ხელფასი ტეხნიკის 5 სახლის ასაგებ ფონდში.

საქ. კ. პ. (ბ) მე-8 ყრილობის და თბილისის ორგანიზაციის მე-14 პარტკონფერენციის შედეგები დამუშავებული იქნება აგრეთვე ყველა ცეხების კომუჯრედების ფართო კრებებზე.

რეზოლიუციაში ნათქვამია:

გაერთიანებული კრების მიერ მიღებულ „მთელ ჩვენს მუშაობას წავმართავთ საქ. კ. პ. (ბ) მე-8 ყრილობის და თბილისის ორგანიზაციის მე-14 ტე პარტკონფერენციის დადგენილებათა საფუძველზე. გავშლით ბრძოლას ყოველგვარ ჩამორჩენილობის წინააღმდეგ. პრაქტიკულად განვახორციელებთ ამხ. სტალინის მითითებებს და 1932 წლის—ხუთწლედის დამამთავრებელი წლის საწ.-საფ. გეგმებს შევასრულებთ გადაჭარბებით".

მერ—ძე

კიდევ ერთხელ ფედერალისტურ რეციდივების შესახებ

ამხ. სტალინის ისტორიულ წერილმა „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხების შესახებ" დარაზმა პარტია დამპალ ლიბერალიზმის წინააღმდეგ, რომელიც ნაწილობრივ გავრცელებულია იდეოლოგიურ ფრონტზე მომუშავე ბოლშევიკების ერთ ნაწილში. პარტიამ გამანადგურებელი ბრძოლა აწარმოვა კონტრ-რევოლუციონურ-ტროცკისტულ კონტრაბანდისტების წინააღმდეგ. კონტრ-რევოლუციონური ბურჟუაზიის მოწინავე რაზმი—ტროცკიზმი და მისი აგენტები საბჭოთა კავშირში ცდილობენ გაატარონ ტროცკისტული კონტრაბანდა. ხოლო არა მარტო ისტორიული მეცნიერების ფრონტზე აქვს ადგილი ანტი-მარქსისტულ, ანტილენინურ დებულებების კონტრაბანდით გატარებას, არამედ თეორიული ფრონტის სხვა ნაწილებშიაც. კერძოდ საქართველოს სინამდვილეში ადგილი აქვს რევოლუციონურ მოძრაობის ისტორიის და ლიტერატურის ისტორიის დამახინჯებას, რომლის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს სოციალ-ფედერალისტური რეციდივები ჩვენი პარტიის ზოგიერთ წევრებს შორის.

ამხ. ფილიპე მახარაძის გამოსვლამ საქართველოში რევოლუციონურ მოძრაობის ისტორიის და ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებზე ნათლად დაგვანახა ფედერალისტურ ფალსიფიკატორების ნამდვილი პოლიტიკური სახე. ამ ფალსიფიკატორების (რომელთა მეთაურ რიგში ამხ. ს. ხუნდაძეა) ძირითადი თეზისი არის ის, ვითომ ჩვენი პარტია საქართველოში რევოლუციის შემდეგ მთელ რიგ ძირითად საკითხებში (კერძოდ ეროვნულ საკითხში) ხელახლა შეიარაღდა და დადგა ფედერალისტების პოზიციებზე.

ხდება გაუგონარი რევიზია მარქსიზმისა, კომუნისტურ ქაღალდზე ფერადდება სოციალ ფედერალიზმის ჭეშმარიტი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური სახე, და, ამასთან დაკავშირებით, ქართული რეაქციონური მოაზროვნენი და მწერლები საღდებიან, როგორც რევოლუციონური მარქსიზმის წინამორბედნი. ამხანაგ ფ. მახარაძის მიერ გამომჟღავნებულია აგრეთვე, როგორც რეაქციონურ ფედერალისტურ დამახინჯებათა ავტორი, **ამხ. ბენიტო ბუაჩიძეც საკავშირო პროლეტმწერლების ერთ-ერთი ხელმძღვანელი მომუშავე.**

გარდა ამისა, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური ორგანო გაზეთ „კომუნისტში" (№ 298, 1931 წ.), გამოაშკარავებულია ამხ. ბუაჩიძის მთელი რიგი უხეში მემარჯვენე ოპორტუნისტული შეცდომები თანამედროვე ლიტერატურის საკითხებში და შემრიგებლობა გადახრებისადმი, კერძოდ დაცემულობის არსის ტროცკისტული შეფასება. გარდა ამისა, მთელ რიგ სხვა სპეციალურ გამოსვლებში გაზ. „კომუნისტში" და საქ. ა. ლ. კ. კ. კ-ის ორგანო „ახალგ. კომუნისტი"-ს წერილებში გამოაშკარავებულია ამხ. ბუაჩიძის მთელი რიგი მემარჯვენე ოპორტუნისტული შეცდომები პრაქტიკაში. აქვე აღსანიშნავია ამხ. გ. ქლენტის, პ. ქიქოძის და ლ. სალუქვაძის წერილი (მოთავსებული გაზ. „კომუნისტში" № 27), რომელშიც ძირითადად სწორადაა მოცემული ფედერალისტური კონტრაბანდისტების კრიტიკა.

ამ ბრძოლას სოციალ-ფედერალისტური კონტრაბანდის წინააღმდეგ მხარ დაუჭირეს საქართველოს საბჭოთა საზოგადოებრიობაში, მაგალითად: ისტორიკოს-მარქსისტების ტფილისის საერთო საქალაქო კრებამ (რომელიც შესდგა ამხ. სტალინის წერილის გამო), რეზოლუციაში სპეციალურად აღნიშნულია, რომ „კრება კმაყოფილებით აღნიშნავს, ამხ. ფ. მახარაძის ნამდვილ ბოლშევიკურ კრიტიკით გამოსვლას ისტორიკოს-მარქსისტების რიგებში ისტორიულ პრობლემების შესწავლის დროს დაშვებულ ნაციონალისტურ გადახრების და დამპალ ლიბერალიზმის წინააღმდეგ (გამოსვლა ს. ხუნდაძის და ბ. ბუაჩიძის წინააღმდეგ გაზ. „კომუნისტში" № 248)*). **სამაგიეროდ არ არის შემთხვევითი ის გარემოება, რომ ძველი პარტიული ხელმძღვანელობა ამხ. მამულიასა და სხვ. მეთაურობით აშკარა ლიბერალურ დამოკიდებულებას იჩენდა და [illegible] მფარველობდა ზემოთაღნიშნულ ფედერალიზმის რეციდივებს (ამხ. ამხ. ხუნდაძე, ბენიტო ბუაჩიძე და მოქ. თაყზარაშვილი).**

მაგრამ მიუხედავად ზემოაღნიშნულისა არც ამხ. ხუნდაძის და არც ამხ. ბუაჩიძის მხრივ ჩვენ არ გვაქვს თავიანთ შეცდომების გაშლილი ბოლშევიკური კრიტიკით გამოსვლა. უფრო მეტი: ამხ. ბუაჩიძე მოსკოვში, პარტიულ კრებაზე წითელ პროფესურის ლიტერატურის ხელოვნების და ენის ინსტიტუტში კონტრ-შეტევაზე გადავიდა და შეცდომების აღიარების ნაცვლად (რომელთა არსებობას ის არ სცნობს, გარდა ერთი ცალკე შე[illegible]) გამოვიდა ინსინუაციებით ამხ. ფ. მახარაძის წინააღმდეგ და ბრალი დასდო მას და მაშასადამე საქართველოს მარქსისტ-ისტორიკოსებსაც „გადამლაშებაში", „ციტატების" ამოგლეჯაში", დაუმსახურებელ გალაშქრების დაშვებაში და საერთოდ არა სწორ კრიტიკაში და სხვ. ასეთია ფედერალისტური კონტრაბანდისტის (რომელიც თავის დროზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებში სოციალ-ფედერალისტებს ემხრობოდა) თავაშვებული გამოსვლა.

ამრიგად, თავის უხეშ შეცდომების აღიარების მაგივრად იწყება შეტევა ამხ. მახარაძეზე, რათა ამ ხერხით აცილებულ იქნას ყურადღება საკითხის არსებითი მხარიდან. ლენინი ამბობდა: **„ვინც თავს დამნაშავედ გრძნობს, მას შეუძლია მოინანიოს, მაგრამ ამ დროს მან დაიყაროს ნაცარი თავის თავზე და შემოიხიოს საკუთარი სამოსი და არა სხვისი"-ო.** ამხ. ბუაჩიძე პირიქით—მას არ უღიარებია თავისი შეცდომები, მაგრამ „სხვის" სამოსს კი უხვად „ხევს".

ჩვენ კატეგორიულად ვსვამთ საკითხს ამხ. ხუნდაძის და ბუაჩიძის წინაშე მათ მიერ უხეშ პოლიტიკურ შეცდომების აღიარების შესახებ და მოვითხოვთ არა მარტო ამ შეცდომების აღიარებას, **არამედ მათ გაშლილ ბოლშევიკურ კრიტიკასაც.**

ჩვენ არ შეგვიძლია არ ჩავთვალოთ ანტიპარტიულ საქციელად ამხ. ბუაჩიძის უპასუხისმგებლო გამოსვლა წინააღმდეგ ამხ. მახარაძის მიერ **ფედერალიზმის [illegible]ბით პარტიულ კრიტიკისა,** რადგან ამ გამოსვლით ბუაჩიძე ეწინააღმდეგება ბოლშევიკურ თვითკრიტიკას.

საჭიროა ფედერალიზმის რეციდივისტები საბოლოოდ განიარაღდნენ.

ს. აბულაძე, დ. აროშიძე, დ. გენაშვილი, გ. ბუხნიკაშვილი, დ. გვაზავა, დ. დემეტრაძე, ს. ეული, ნ. ზომლეთელი, ქ. კალაძე; ვ. მიქაძე; გ. ნატროშვილი, შრ. ნაროუშვილი, თომა სიხარულიძე, ი. ფანცხავა, პ. შარია, პ. ჩხიკვაძე.

---

*) აღნიშნული რეზოლუცია გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტში" 1931 წ. ოქტომბერში.

საქ. ცაკში

სახ. კრედიტისა და დაზოგვის საქმის დამხმარე რესპ. კომისიის ახალი შემადგენლობა

ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა სახელმწიფო კრედიტისა და დაზოგვის საქმის დამხმარე რესპუბლიკანური კომისიის ახალი შემადგენლობა 1932 წლისათვის. კომისიაში შედიან—ამხ. ს. თოდრია (თავმჯდომარე) გ. ვაშაძე (თავმჯდომარის მოადგილე), გერსამია (შემნახველ სალაროთა სამმართველო). გრიგოლია (სახ. ბანკი), დუმბაძე (კომუნ. ბანკი), წულუკიძე (კოლმეურნეობათა ცენტრი), აზარაშვილი (ს. ა. ლ. კ. კ. ცეკა), მარგიშვილი (ტრამვაის მუშებიდან), კროტკოვი (26 კომ. სახ. ქარხანა) და გაზ. „კომუნისტი"-ს და „ზარია ვოსტოკა"-ს წარმომადგენლები.

საქალაქო საბჭოების ჩამოყალიბება ზუგდიდში და ოზურგეთში

ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ქალაქ ზუგდიდში და ოზურგეთში საქალაქო საბჭოების ჩამოყალიბების პროექტი.

თბილისის რაისაბჭოების დებულების დამუშავება

თბილისის რაიონული საბჭოების დებულების პროექტის დასამუშავებლად გამოყოფილია კომისია, რომელშიაც შედიან—ამხ. ს. თოდრია, ბ. მაჩაიძე, ბ. გოგია, ვ. ქურდაძე, სიმ. ცუცქირიძე და რაიონული საბჭოების წარმომადგენლები.

კომისიას წინადადება აქვს მიცემული ათ დღეში დაამთავროს მუშაობა.

საყვედურის გამოცხადება განკარგულების შეუსრულებლობისათვის

საქართველოს ცაკის თავმჯდომარის განკარგულების შეუსრულებლობისათვის საყვედური გამოეცხადა ჩხარის რაიაღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ფუტკარაძეს.

დეპეშები

ბრძოლა შანხაის დასაპყრობად გრძელდება

იაპონიის პასუხი სახელმწიფოთა ნოტაზე

ჩაპეიში სასტიკი ბრძოლა გრძელდება

შანხაი, 4 თებერვალი. მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა ყუმბარების ძლიერი დაშენა ქალაქის ჩინურ ნაწილზე. იაპონიის ჯარები ყუმბარმზიდების და მძიმე არტილერიის დახმარებით აწარმოებდნენ შეტევას ჩაპეის რაიონში ჩინეთის ჯარების სადგომ სხვადასხვა პუნქტებში.

დღეს ადგილი ჰქონდა ყველაზე უფრო სასტიკ ბრძოლას შანხაიში იაპონიის ჯარების მიერ სამხედრო ოპერაციების დაწყებიდან მთელი ხნის განმავლობაში. ბრძოლა დაიწყო იმის შემდეგ, რაც იაპონიის 15 აეროპლანმა მოახდინა ჩინეთის ჯარების პოზიციის დაზვერვა და მისცეს იაპონიის ჯარებს ნიშანი. ერთდაიმავე დროს დაიწყო შეტევა რკინის გზის სადგურზე, რომელიც იაპონელებმა დაანგრიეს ამ რამდენიმე დღის წინედ (ადს).

იაპონელებმა გამოიყენეს მთელი ძალები

შანხაი, 4 თებერვალი. 4 თებერვალს, მთელი დღის განმავლობაში მძიმე არტილერიისა და ყუმბარმზიდების მონაწილეობით ჩაპეისა და ხონკიუს რაიონში სროლა გრძელდებოდა. იაპონიის მთელი ძალები ჯავშნიან ავტომობილებთან ერთად ჩაბმული იყო ბრძოლაში. ჩინეთის ნაწილებში იაპონელების შეტევას სისტემატიურად სროლით უპასუხებდნენ და ცდილობდნენ სროლა აეტეხათ იაპონიის შტაბისათვის. ჩინეთის ნაწილებმა ალყა შემოარტყეს იაპონიის მცველ რაზმს ჩაპეიში, რომელსაც განადგურების საფრთხე მოელის (ადს).

შანხაი ცეცხლშია გახვეული

შანხაი, 4 თებერვალი. ყუმბარების დაშენამ საგრძნობლად დააზიანა შანხაის ჩინური ნაწილი. ბევრი შენობა იწვის. იაპონიის ჯარებმა დაიწყეს მეორე საერთო შეტევა. იაპონიის კოლონია შანხაიში თანდათანობით იცლება (ადს).

უსუნის სიმაგრეები დანგრეულია

შანხაი, 4 თებერვალი. იაპონიის ჯარების შეტაკების მესამე პუნქტი იყო უსუნი. ამ სიმაგრეებისათვის ყუმბარების დაშენაში იაპონიის მხრიდან მონაწილეობას იღებდნენ სამხედრო გემები და ავიაცია. იაპონიის საზღვაო ხელისუფლებას განზრახული აქვს უსუნის სიმაგრეების ოკუპაცია. ბრძოლა უსუნის რაიონში დროებით შესწყდა იმის გამო, რომ იქ მანილიდან მოვიდა ამერიკის გემი, რომელსაც უნდა გაევლო სროლის ხაზის გასწვრივ.

ამჟამად ბრძოლა უსუნის რაიონში, ისე როგორც ჩაპეის რაიონში გრძელდება (ადს).

ტოკიო, 4 თებერვალი. იაპონიის სამხედრო გემების მიერ ყუმბარების დაშენით დანგრეულია უსუნის სიმაგრეები. სიმაგრეების დანგრევის საბაბად ასახელებენ საერთაშორისო საზღვაო ხაზის უშიშროების უზრუნველყოფის აუცილებლობას (ადს).

შანხაი, 4 თებერვალი. უსუნის სიმაგრეები ძლიერად დანგრეულია. იაპონიის გემები სდგანან მზად იანცზის შესართავში, უსუნის მახლობლად. სიმაგრეებისათვის სროლის ატეხის შედეგად იმ ჩინელებს შორის, რომლებიც უსუნს იცავდნენ და აგრეთვე მშვიდობიან მოქალაქეების შორისაც, ბევრია მოკლული (ადს).

მტაცებელი კაპიტალისტები სიხარულს იძლევიან

მოსკოვი, 4 თებერვალი. „იზვესტია"-ს ბერლინელი კორესპონდენტი იწერება:

როგორც „ფოსიშე ცეიტუნგ"-ის პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, პარიზის ბირჟის წრეები „სასიხარულო იმედებით" არიან აღსავსე, რომ, თითქო, შორეულ აღმოსავლეთის ამბებთან დაკავშირებით, საერთაშორისო ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესდება. პარიზის ბირჟაზე სწრაფად იწევს მაღლა სამხედრო მრეწველობის საწარმოთა აქციების კურსი, როგორც, მაგალითად, [illegible] და შნეიდერ-კრეზოს საწარმოთა აქციების კურსი, ამავე დროს დიდდება ნავთის და სპილენძის მრეწველობის აქციების კურსი.

კურსის საერთო გადიდების ტენდენციის მიუხედავად, დაეცა შანხაის ტრამვაის აქციები.

ბირჟელების სიტყვით, „შორეულ აღმოსავლეთში მალე უფრო ზარბაზნებით ივლიან, ვიდრე ტრამვაით".

„[illegible] ეკონომიკ ე ფინანსიერ"-ი აღნიშნავს, რომ გოჩკისის ქარხნები ამზადებენ იაპონიის მიერ შეკვეთილ 200 მილიონის ფრანკის სამხედრო მასალას. ქარხნებს ამჟამად აქვთ 10 პროცენტით მეტი შეკვეთა, ვიდრე 1931 წელს (ადს).

იაპონიის პასუხი სახელმწიფოთა ნოტაზე

ტოკიო, 4 თებერვალი. საგარეო საქმეთა მინისტრმა იოსიზავამ გადასცა პასუხი ჩრდ.-ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის ნოტებზე. პასუხში აღნიშნულია, რომ იაპონიის მთავრობა სამხედრო მოქმედებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შესწყვეტს, თუ ჩინეთის ჯარი შესწყვეტს მუქარით სავსე და უწესოების გამომწვევ მოქმედებას. იაპონიის მთავრობამ შეუძლებლად მიიჩნია შეაჩეროს მობილიზაცია და მზადება შემდგომი შეიარაღებული მოქმედებისათვის.

დასასრულ აღნიშნულია, რომ იაპონიის მთავრობისათვის მიუღებელია წინადადება, რომლის თანახმად იაპონიის და ჩინეთის მოლაპარაკებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ნეიტრალურმა მეთვალყურეებმა (ადს).

ნანკინი კმაყოფილია

შანხაი, 4 თებერვალი. ნანკინის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ჩინეთმა პასუხი გასცა ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების და ინგლისის ნოტაზე და მიიღო მათი ყველა წინადადებები.

ნანკინის წრეებში სახელმწიფოების გამოსვლას დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ.

იაპონიის სამხედრო გემის ბაქანზე შესდგა იაპონიისა და ნანკინის წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ არც ერთი მხარე არ ასტეხს სროლას თუ იძულებული არ შეიქნა. ამ შეთანხმების მიღწევა იმით აიხსნება, რომ ბრიტანეთის და ამერიკის სამხედრო გემები გაჩერდნენ იაპონიისა და ჩინეთის სამხედრო გემების შუა, რაც შეუძლებელს ხდის იაპონიის და ჩინეთის გემებს შორის შეტაკებას (ადს).

მანჯურია იაპონელებისათვის „სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია"

ლონდონი, 4 თებერვალი. „ტაიმსის" ტოკიოელმა კორესპონდენტმა იოსიზავასაგან მიიღო წერილობითი განცხადება იაპონიის პოლიტიკის მიზნების შესახებ. ამ წერილში იოსიზავა აცხადებს:

„იაპონიის მთავრობა მკვეთრად ანსხვავებს ერთი-მეორისაგან შანხაის ამბებს და მანჯურიის საკითხს. იაპონიის ინტერესებს მანჯურიაში ეკონომიური და პოლიტიკური მხრით პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი მდგომარეობა მანჯურიაში ჩვენთვის წარმოადგენს სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს. შანხაიში კი ჩვენი ინტერესები ისეთივეა, როგორც სხვა ქვეყნების ინტერესები: ჩვენ მხოლოდ გვსურს მშვიდობიანად ვივაჭროთ და უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეშევრდომების და საწარმოების უშიშროება. არც ტერიტორიული, არც პოლიტიკური ხასიათის მიზნები ჩვენ არ გვაქვს (ადს).

ჰამბურგის ნავთსადგურით იაპონიაში სამხედრო მასალა იგზავნება

მოსკოვი, 4 თებერვალი. „იზვესტია"-ს ბერლინელი კორესპონდენტი იწერება:

კომუნისტური პრესის გადმოცემით, ჰამბურგის ნავთსადგურში დღე და ღამე იტვირთება სამხედრო მასალა, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში იგზავნება. ჰამბურგის ნავთსადგურის მუშებმა მთელ რიგ მიტინგებზე გამოიტანეს რეზოლუციები ამ მასალის დატვირთვის წინააღმდეგ. პროტესტის ნიშნად, ჰამბურგის მუშებმა აღმართეს წითელი დროშა „ნამგალის და ჩაქუჩის" ნიშნებით ვებერთელა ანძაზე ქალაქის პარკში.

გერმანიაში ყოველ კუთხიდან მოდის ცნობები მუშათა საპროტესტო კრებებზე, იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ შორეულ აღმოსავლეთში (ადს).

ათენის მუშების პროტესტი იაპონიის ინტერვენციის წინააღმდეგ

ათენა, 4 თებერვალი. იაპონიის საელჩოს შენობის წინ ათენაში გაიმართა მუშათა დიდი დემონსტრაცია. მშრომელებმა პროტესტი განაცხადეს ჩინეთში იაპონიის არმიის შეჭრის წინააღმდეგ. დემონსტრაციის დროს განუწყვეტლივ გაისმოდა—„გაუმარჯოს კომპარტიას", „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს", „ძირს იაპონელი იმპერიალისტები".

ფხიზლად ვიყოთ!

ბერლინი, 4 თებერვალი. საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოებამ გამოაქვეყნა მოწოდება გერმანიის მშრომელებისადმი. სადაც ნათქვამია:

„ანტისაბჭოთა ომის საფრთხე ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში არასოდეს არ ყოფილა ისე სერიოზული, როგორიც ამჟამად. მხოლოდ საბჭოთა კავშირის ენერგიული სამშვიდობო პოლიტიკა აფერხებს ომის გაჩაღებას. მხოლოდ მშრომელთა მილიონების მთლიან ფრონტს საბჭოთა კავშირის დასაცავად შეუძლია ხელი შეუშალოს იმპერიალისტურ ბანდიტებს" (ადს).

შანხაის მშრომელები სამარცხვინო ბოძზე აკრავენ [illegible] გამცემლებს

შანხაი, 4 თებერვალი. შანხაის გაფიცულ მუშათა კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება, მიმართული ამერიკის, საფრანგეთის და ინგლისის იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომლებიც ეხმარებიან იაპონიას შანხაის დაპყრობაში. მოწოდებაში აღნიშნულია, რომ „მუშები მილიონებით ულუკმაპუროთ არიან დარჩენილნი".

მოწოდება სამარცხვინო ბოძზე აკრავს გომინდანის მთავრობას, რომელმაც აუკრძალა არმიას შემოსეული მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევა და რომელიც სამარცხვინოდ გაიქცა.

მიმართვა თავდება მოწოდებით შეიქმნას მუშურ-გლეხური ხელისუფლება (ადს).

კანტონის მე-19 არმიის ჯარისკაცთა კომიტეტი მოუწოდებს ბრძოლისაკენ იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

შანხაი, 4 თებერვალი. კანტონის მე-19 არმიასთან რომელიც შანხაიში იმყოფება, მოეწყო ჯარისკაცთა კომიტეტი. კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება, რომელიც ჩინეთის ხალხს მოუწოდებს იაპონიასთან ბრძოლისაკენ. მოწოდება მიმართავს საქალაქო მოსახლეობას გამოვიდნენ იაპონელების ზურგში, შეიარაღებული გზით იბრძოლონ იაპონელებთან, ააფეთქონ ხიდები და დაანგრიონ გზები. მოწოდება არწმუნებს გლეხებს და მუშებს, რომ არმია მოსპობს იაპონიის უფლებებს, რომელიც მან ჩინეთში დაიპყრო, და დაეხმარება იაპონიის მუშებს, ჯარისკაცებს და სტუდენტებს, რომ იაპონიაში მოხდეს ძლევამოსილი რევოლუცია და მილიტარისტების, მოხელეების და კაპიტალისტების ლიკვიდაცია.

ჯარისკაცთა კომიტეტი აცხადებს, რომ თავის რიგებში მიიღებს კორეელებს, ანამიტებს, ინდუსებს და ყველა დამონებულს იმპერიალიზმის და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საერთო ბრძოლისათვის (ადს).

საბჭოთა კავშირში

ტევფიკ რუშტი-ბეი ბაქოში

ბაქო, 4 თებერვალი. დღეს ტეგერანიდან ბაქოში დაბრუნდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ტევფიკ რუშტი-ბეი, რომელიც მოსკოვზე გავლით მიემგზავრება ჟენევაში განიარაღების კონფერენციაზე.

ტევფიკ რუშტი-ბეის ბაქოში შეეგება საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახკომისარიატის დიპლომატიური აგენტი აზერბაიჯანში ამხ. კარტაშოვი. (ადს).

მზადება ვოლგის ელსადგურის მშენებლობისათვის

ნიჟნი-ნოვგოროდი, 4 თებერვალი. ჩებოქსარის რაიონში სწარმოებს საძიებელი სამუშაოები ვოლგის ჰიდროელსადგურის მშენებლობის მოსამზადებლად. ელსადგურის სიმძლავრე იქნება 400 ათასი კილოვატი (ადს).

კუზნეცკის კომბინატის ცენტრ. ელსადგურმა მოგვცა პირველი სამრეწველო დენი

კუზნეცკსტროი, 4 თებერვალი. კომბინატის ცენტრალურ ელსადგურზე 3 თებერვალს განმანაწილებელი მოწყობილობა მოყვანილ იქნა დაძაბულ მდგომარეობაში. მიღებულია პირველი სამრეწველო დენი. (ადს).

გამარჯვება ინდუსტრიალიზაციის ფრონტზე მუშათა ახალ ენთუზიაზმს იწვევს

სვერდლოვსკი, 4 თებერვალი. ცნობამ მაგნიტოგორსკის ბრძმედის ამუშავების შესახებ გამოიწვია ურალის პროლეტარიატის უდიდესი ენთუზიაზმი. მეტალურგიის ბევრმა ქარხანამ გაადიდა ლითონის გამოდნობა. (ადს).

ამხანაგებ[illegible]ს მო[illegible]

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, ქვემოდ დასახელებული ამხანაგები მობილიზაციის წესით არიან გაწვეულნი და მიმაგრებულნი ავტონომიურ რესპუბლიკებსა და რაიონებზე კოლმეურნეობებში საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის ჩასატარებლად და გაზაფხულის სახთესო სამეურნეო კამპანიის საწარმოო-საფინანსო გეგმების შესადგენად.

მათიკაშვილი (მიწსახკომი) აფხაზეთ ს.ს. რესპუბლიკაზე, სიმონ ჯუღელი (საქართველოს ჩაი), აჭარისტანის ს. ს. რესპუბლიკაზე, ა. გვარამია (მიწსახკომი), სამხრეთ-ოსეთზე, კაკალია (კოლმეურნეობათა ცენტრი) სენაკი, ოკუჯავა (მიწსახკომი) ზუგდიდი, ბენო მეხი (ხოვლის მეურნეობის რეკონსტრუქციის ინსტიტუტი) ლანჩხუთი, მეგრელიშვილი (მიწსახკომი) ოზურგეთი, შაბანოვი (მიწსახკომი) ყარაიაზი, ყამარაული (საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველო) მცხეთა, კუხალეიშვილი (საბჭოთა მეურნეობების ტრესტი) სიღნაღი, ზიფერტი (მიწსახკომი) ადიგენი, ზარამიძე (კოლმეურნეობათა ცენტრი) ზესტაფონი, მარქაროვი (მიწსახკომი) ახალქალაქი, ახმეტელიშვილი (აბრეშუმის ტრესტი) ვანი, კომახიძე (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი) ჩხარი, გოცმშვილი (მინდვრის მავნებლებთან მებრძოლი საზოგადოება) ბორჯომი, მარგალიტაძე (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი) წალკა) ხუხუა (ჩაის კოლმეურნეობათა ცენტრი) ხონი, ძებნიაური (საქ. მთიელთა საზ-ბა) თიანეთი, ნ. ნადარეიშვილი—სვანეთი, ლუკა ლომიძე (სატრაქტორო ცენტრი) ქუთაისი, წულუკიძე—ამბროლაური, ნამგალაძე (კოლმეურნეობათა ცენტრი) სტალინისი, ცაგარელი (სახთესლ-სამე. ინსტი[illegible]) ჩხოროწყუ, ოდილავაძე (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი) თელავი, ლომთათიძე (მიწსახკომი) ლაგოდეხი, გ. გაბუნია (საქ. მებამბეობის კომიტეტი) გურჯაანი, გ. ხუნდაძე—ბაშკიჩეთი, კაკაბაძე (საქ. ბანკი) სამტრედია, დ. ლორთქიფანიძე—ჩოხატაური, გრიგორიევი (მეფუტკრეთა კავშირი) ლიუქსემბურგი, ძებისაშვილი (საქ. ვაჭრობა) დუშეთი, ქუთნია („კომუნისტი"-ს რედ.)—ახალციხე, სიკინძილაშვილი (წითელი ჯვარი)—ქიათურა, დოლიძე (სახ.-ეკონომიური ინსტიტუტი—ბოგდანოვკა, ტყეშელაძე (მომარაგების კომისარიატი)—ტოლოში, ნარსია (საფ.-სამ. მუშაკთა კავშ. ცენტრ. გამგეობა)—ხარაგოული, ბოცვაძე (უზენაესი სასამართლო)—ბაღდადი, ხვანიძე (უზენაესი სასამართლო)—ხობი, გიორგი ჩიტაიშვილი—ტყიბული, ჯვარშეიშვილი (უზენაესი სასამართლო)—ზემო-სვანეთი, ქეიშვილი (მიწსახკომი)—ხონი, სოხელია (საფ.-კოოპერ. ინსტიტუტი)—ცაგერი, ს. ცინცაძე—გორი, ბასილაია (სახ. მეურ. უმ. საბჭო) წალენჯიხა, მაისაშვილი (მიწსახკომი)—ყვარელი, ბითაძე (პროფსაბჭო)—კასპი, პლატონ შოშიაშვილი—მარტვილი, მაკარი ბედია (უზენაესი სასამართლო—აბაშა, თარხანოვი (ჩაის ტრესტი—გარე-კახეთი.

ის ამხანაგები, რომლებიც ჯერ კიდევ არ გამგზავრებულან სათანადო რაიონში, აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ საქ. კ.პ. (ბ) ცეკას აგიტმასგანყოფილებაში 7 თებერვალს, დილის 10 საათზე საბოლოო ბარათის მისაღებად და 7 თებერვალსვე უნდა გაემგზავრონ ადგილებზე.

ქრონიკა

პროფ. გიორგი ნიკოლაძის ხსოვნის საღამო

6 თებერვალს საღამოს 7 საათზე ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტის შენობაში (ყოფ. რეალური სასწავლებელი), (სამოსწავლო შენ. № 4) შესდგება ამიერ-კავკასიის სამთო მეტალურგიული ინსტიტუტის. საქ. სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის და „ფერომარგმშენი"-ს გაერთიანებული საჯარო სხდომა პროფ. გიორგი ნიკოლაძის ხსოვნის აღსანიშნავად, შესვლა თავისუფალია.

მორიგი პრემიერა წითელი არმიის ქართულ თეატრში

წითელი არმიის ქართული თეატრი 7 თებერვალს, სდგამს მორიგ, მესამე პრემიერას დაიდგმება პიესა „აირსაფარი", დადგმა შ. მარგაძის, მხატვარი რ. მირზაშვილი, მუსიკა ვ. ცაგარეიშვილის.

შემოქმედებითი დისკუსიის გაგრძელება

7 თებერვალს, საღ. სრულ 7 საათზე მწერალთა სასახლეში შესდგება ამხ. შ. რადიანის მოხსენების („თანამგზავრობა და მოკავშირეობა") გარშემო კამათის გაგრძელება.

საქართველოს მევინეთა თათბირი

1—3 თებერვალს საქღვინკომბინატში ჩატარდა მევინეთა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ მევენახეობა-მეღვინეობის ყველა რაიონების წარმომადგენლები, მეღვინე სპეციალისტები და მუშები. თათბირმა მოისმინა ადგილების წარმომადგენელთა მოხსენებები გასული წლის მუშაობის შესახებ, რის შემდეგაც შემუშავებულ იქნა მიმდინარე წლის სამუშაო გეგმა და ღონისძიებები მეღვინეობის რაციონალურად ჩატარებისათვის.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება წინადადებას იძლევა მარქსისტულ-ლენინური სწავლების მორიგ დღეებში ორ მეცადინეობაზე 8 და 11 თებერვლის მარქსისტულ-ლენინური აღზრდის ქსელის ყველა რგოლებში დამუშავებული უნდა იქნას „თბილისის მე-14 პარტკონფერენციის და საქ. კ. პ. (ბ) მე-8 ყრილობის შედეგები".

მასალების და სათანადო მითითებების მიღება ხელმძღვანელებს შეუძლიათ პარტიის რაიონულ კომიტეტებში.

რკინისგზელებო!

„პრავდა"-ს ა.-კ. წარმომადგენლობა 7 თებერვალს საღამოს 7 საათზე ორჯონიკიძის სახელობის კლუბში იწვევს „პრავდა"-ს დამკვრელთა და რკინისგზელ მუშკორთა შეკრებას.

დღის წესრიგი: 1. მე-2 საექსპლოატაციო რაიონის უფროსის მოხსენება თბილისის რკ. გზის კვანძის მდგომარეობისა და მუშაობის შესახებ. 2. „პრავდა"-ს ბრიგადის თანამოხსენება. შეკრების შემდეგ სამხატვრო განყოფილება.

„პრავდა"-ს ა.-კ. წარმომადგენლობა

—:—

გავაშელი (საქ. საგეგმო კომისია), კარტანჯიანი, ორჯონიკიძე (საქსმუსი), მუსელიანი (თბ. საბჭოს საგეგმო განყოფილება).

7 თებერვალს, დღის 12 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის აგიტმასგანყოფილებაში ამხ. არუთინოვთან (ოთახი № 12) შესდგება თათბირი თურქების შორის მასიურ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობის საკითხის განსახილველად. თათბირს აუცილებლად უნდა დაესწრონ ქალაქის აზანოვების, პედ. ტექნიკუმის, თურქული მუშფაკის უჯრედების მდივნები, მე-97 სკოლიდან მირზა ნარიმანოვი, კომკავშირის უჯრედის მდივანი—შახვერდოვი, ნარიმანოვის სახ. კლუბის გამგე, 26-ის რაიკომიდან—აზიზ აზიზოვი, „ენიკენდის" რედაქციიდან ასკეროვი, მე-93 სკოლის გამგე და კომკავშირის უჯრედის მდივანი, 26-ის სახ. კომკავშირის რაიკომის წარმომადგენელი, თურქ ქალთა კლუბიდან—ნასიბოვი და მურსალოვი.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საორგ.-საინსტრ. განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. კერესელიძეს, იოსავას და ა.-კ. კომუნივერსიტეტის ყოფილ სტუდენტებს 7 თებერვალს გამოცხადდნენ თბ. კომ. საორგ. განყოფილებაში ამხ. ბაბაიანთან (ოთახი № 10).

—:—

7 თებერვალს საღამოს 7 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კადრების განყოფილებაში, ამხ. მდივანთან მოწვეულია თათბირი 1932 წლის 1ლ კვარტალში თბილისის მრეწველობისა და მშენებლობისათვის მუშა-ხელის მოთხოვნილებისა და მიწოდების მდგომარეობის საკითხის განსახილველად. თათბირს აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ელისაბედაშვილი (შრ. კომისარიატი), კალანდაძე (კადრების სამმართველო), მონტინი (ზინათკავშირი), საქ. პოლიტსამართველოს სააღმშენებლო ბიუროს და მომარაგების კავშირის წარმომადგენლები, ყამარაული (ლითონტრესტი), გონაშვილი (თბილისოფმრეწვი), დანილოვი (თბ. კოოპკვება), ბერიძე (საქ პროფსაბჭო).

სახელმწ. ოპერა
დღეს ორი წარმოდგენა
დღისით კუზიანი კვიცი
საღამოთი 4 აბ. 7 წარ. კარმენ
7 თებ. 3 აბ. 9 წ. ტრილბი
8 თებ. აბონემენტის გარეშე ს. ი. მიგაის პირველი გამოსვლა ევგენი ონეგინი
3 თებ. აღკვეთილი ბილეთ. გამოყ.
ბილეთები იყიდება. დასაწყისი დღის 12 ს. 15 წ.
ნ. 268

სახ. დრამა
6 თებ 7 აბ 6 წ. როგორ
8 თებერვალს, პროფსაბჭოს კულტ-სექტორის წარმ. ურიელ აკოსტა
9 თებ 9 აბ 6 წ. [illegible]
უკანასკნელი ვადა მე-6 გადასახადისა არის 10 თებერ., რის შემდეგ გაუქმებული იქნება ყველა დაუფ. აბონემენტები. ნ. 264

რუს. დრამა
6 თებერვალს 1 აბ 6 წარ. ლამარა
7 თებერვ 9 აბონ 6 წარმ. ლამარა
8 თებერვალს 6 აბონ. 5 წარმ. ლამარა
დასაწყისი სრულ 8 საათზე. ბილეთები იყიდება. ნ. 262

სახ. ცირკი
დასაწყ. 8 15 წ
დღეს ორი წარმოდგენა
დღისით და საღამოს
ნ. პ. გლადილშჩიკოვის
მხეცების მონაწილეობით
დღისით წარმოდგენის დასაწყისი—2 საათზე, საღამოს—8 ს. და 15 წ.
ნ. 263

ამოვანი კინო
ოქტომბერი (ყ. აპოლო)
სეან. 12.2.4.6-30.8-30,10-30.
დღის კინო
სპარტაკი
სეან. დას. 12, 1-30, 3 ს.
საღამოს კინო
სპარტაკი
სეან. დას. 6. 7-30. 9 10-30.
კინო დამკვრელი
ყოფ. პალასი
სეან. დას. 6. 7-30. 9, 10-30.
რ. ლიუქსემბურ. სახ.
ყოფ. ძიაიონი
სეან. დას. 6-30. 8. 9-30. 11.
კინო დარბაზი
სეან. დას. 6. 7 30. 9 10-30.

მე-3 კვირა მიდის სურათი
ახალი სხივებისაკენ
მხატვ. სურ. იბრაჰიმ და მოდერძი
რეჟ. ბერიშვილი, ოპერ. პოლიკევიჩი
უკანასკნელი დღეები ტემბი
(აფრიკის ჯუნგლების ცხოვრებიდან)
გაროლდ ლოიდი სურათში
მორცხვი
ნინა ლი მხატვრულ სურათში
ზღვის ღელვის კანონები
მის მენდ მეორე სერია

6 თებერვალს, საღ. 7 საათზე ქიმიურ ტექნოლოგიური ინსტიტუტის შენობაში (ყოფ. რეალური სასწავლებელი. სამოსწავლო შესახვევი № 4) შესდგება ა. კ. სამთო მეტალურგიული ინსტიტუტის, საქ. სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის და „ფერომარგმშენი"-ს გაერთიანებული საჯარო სხდომა პროფ. გიორგი ნიკოლაძის ხსოვნის აღსანიშნავად
შესვლა თავისუფალია.
946 მომწყობი კომისია

დაიკარგა
რკ. გზის ზედნადები 1931 წლ. ამიერ. კავკ. სახელმწიფო ვაჭრობის სახელზე მოსკოვი-ლენინაკანი № 436793 და 11076
ჩ. გ. ნ. 672

დაკარგულია
წესდება სარეწაო კავშირში შემავალი არტელ „მიღწევა"-ს გატარებული თბილისის საბჭოს სამრეწველო სექციაში რეესტრი № 393 1931 წელს 975

თბილისის
კოოპტექნიკუმის
დაუსწრებელი
სექტორი
იწვევს იმ პირებს, ვისაც ქონდათ წარმოდგენილი განცხადება ჩარიცხვის შესახებ და ვინც ცხოვრობენ ან ამჟამად იმყოფებიან ქ. თბილისში
შესავალ კონფერენციაზე
რომელიც შესდგება
ქ. თბილისში, კამოს ქ. № 52
ტექნიკუმის დაუსწრებელთათვის 10 თებერვალს, საღამოს 6 საათზე და 8 თვიან კურსების დაუსწრებელთათვის 11 თებერვალს, საღამოს 6 საათზე.
მიღებულთა სია გამოცხადდება ამავე კონფერენციაზე.
ნ. 265 ტექნიკუმის დირექცია.

ამა წლის 8 თებერვალს დანიშნულია ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის IV რაიონის დამხმარე კომისიების, ადგილკომების და საბინაო კავშირების თავმჯდომარეების და ამავე რაიონში შემავალ ყველა წარმოება-დაწესებულებების მთავარ ბუხჰალტრების

კონფერენცია

დღის წესრიგი:
1. საზოგადოებრივი კონტროლის მორიგი ამოცანები.
2. დაზოგვის მასიური ლაშქრობის ჩატარება.
3. უმოქმედო დამხმარე კომისიების გადახალისება.
4. პირადი დაზღვევა და უნაღდო ანგარიშსწორება.
5. მიმდინარე საკითხები.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილ ორგანიზაციების წარმომადგენლების დასწრება სავალდებულოა კონფერენციის დასასრულს ნაჩვენები იქნება კინო სურათი.
ქ. თბილისის IV რაიონის საბჭოს და დამხმარე კომისიის თავმჯდომარე
2—1 ნ. 266

შვილები: ლიზა კიკვაძე, თამარა ოქეია, მარგარიტა მეცხრიკაძე და მარო მაისურაძე ქმარშვილით იუწყებიან ძვირფასი მამის
იონე გიორგის ძე მეცხრიკაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 7 თებერვალს 4 საათზე. რკინის გზის საავადმყოფოს პროზექტურიდან.

საქღვინკომბინატი
იწვევს ცენტრში (თბილისში)
მუდმივად სამუშაოდ
ინჟინერ-მშენებელს
სასურველია მევენახეობა-მეღვინეობის მშენებლობის ცოდნა.
ხელფასი და პირობები შეთანხმებით
მიმართეთ საქღვინკომბინატში (ელბაქიძის დაღმართი № 12) დირექციის მდივანს ნ. 269

ექიმი
ა. ვ. მიქამბერიძე
პარიზში 1923 წ. დამთ.
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კანის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქ. ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქ. (ყოფ. საპიორის) 19, იღებს დილით 10—3 ს. და საღ. 6—8 ს. შესასვლ. ძნელაძის შესახვევიდან. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, კანის და ვენერიული სნეულება
მიღ. დილით 9—12 ს. საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის გამზ. № 116, სასტუმრო „ევროპა"-ს პირდაპირ, ტელ. 12—67.
25—16 8004

ექიმი
ა. დ. ულენტი
შინაგანი სნეულებანი. სპეც. კუჭ-ნაწლავის სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 6—7 საათამდე. ოთხშაბათობით უფასოდ. წყნეთის ქ. № 8
0—7

ქვემოდ ჩამოთვლილი საბუთები ჩაითვალოს გაუქმებულად

კავშირის წიგნაკები: ვალენტინ მუჯირის № 9650, თამარა ანთელის, პეტრე ქლივიძესი № 6770, პარმენ გვენცაძის, არტემ ბედიასი, ვარა ალოევის № 5313, თედორე კავახოვის № 13 46506.

პირადობის მოწმობები: ელისაბედ თოდრიასი, ალექსანდრე რუხაძის.

სამხედრო წიგნაკები; ვიქტორ ბალათურიასი № 579, გიორგი ბუტიკაშვილის, ალექსანდრე რუხაძის.

მუშკოოპის წიგნაკები: ელენე თიკანაძის, დავით აკლაძის.

სხვა და სხვა: პარტ. საკანდიდატო მანდატი რომან ნამგალაძის, სახლის ნასყიდობის ქაღალდი და გეგმა ალექსანდრე სირაძის, სიღარიბის მოწმობა № 4030 აკაკი ბუცხრიკიძის. ბათომის სატრანსპორტო საამშენებლო ტექნიკუმის მეორე კურსის მოწმობა მამია გოგიჩაიშვილის, საბჭოს წიგნაკი მე-8 მოწვევისა № 1114 გიორგი იუზბაშოვის, რ/გზის პირადობის მოწმობა ვერიჩკა თოფურიასი. № 73

თავზარდაცემულნი მშობლები: თეოდორე, ელენე, და ნინა. სიძე ალექსი ერქომაიშვილი იუწყებიან ძვირფასი
ანჟელინა (აკვილინა) მახარაძის
დაკარგვას. გასვენება მუხრანიდან გურიაში (ვანი) 6 თებერვალს. 95

გულდათუთქულნი: ბიძა ამბროსი, ბიცოლა ლიზიკო იოწკოველები იუწყებიან უსაყვარლესი
ანჟელინა (აკვილინა) თედ. ას. მახარაძის
უდროოთ დაკარგვას. გასვენება მუხრანიდან გურიაში (ვანი) 6 თებერვალს. 953

მუხრანის განათლების კავშირის ადგილკომი ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას მისი აქტიური წევრის საბავშვო ბაღის გამგის
ანჟელინა მახარაძის
უდროოდ გარდაცვალებას. 967

ძმები გიორგი, აფთონ, პავლუშა თავიანთი ოჯახობით, ალათი და ნესტორ შაქარიშვილები შვილებით, რძლებით და სიძით იუწყებიან
ზაქარია იესეს-ძე ცინცაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 3 საათზე, ყ. არწრუნის ქ. № 13. 961

საქ. ს. ს. რ. ცენტრალური საარქივო სამმართველოს თანამშრომლები იზიარებენ თავიანთ ამხანაგის იესე ცინცაძის მწუხარებას მისი მამის
ზაქარია ცინცაძის
გარდაცვალების გამო. 974

დამწუხრებულნი ეფროსინე, მაშურა, ელენე, ამბროსი, სანდრო, ვათიკო, ვალიკო იუწყებიან უძვირფასესი ბიძაშვილის, დამსახურებული პედაგოგის
ზაქარია იესეს-ძე ცინცაძის
გარდაცვალებას გამოსვენება ბინიდან, ხოშტარიას ქუჩა № 13, დღეს 3 საათზე. 960

დამწუხრებული მშობლები: ვასო და სალომე იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ და ძვირფასი
პატარა შურა ძებისაშვილის
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა 7 თებერვალს, 3 ნახ. ს. გამოსვენება პავლოვის ქ. № 24 991

ღრმად დამწუხრებული ბიძა ისაკი ძებისაშვილი იუწყება დაუვიწყარ
პატარა შურა ძებისაშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება 7 თებერვალს 3-ნახ. ს. პავლოვის ქ. № 24 დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 992

ღრმად დამწუხრებული შვილი ტიტიკო ცოლშვილით, ძმა ლევარსი ცოლშვილით ლომთათიძეები აუწყებენ საზოგადოებას საყვარელი მამის
დომენტი ლომთათიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 9 თებერვალს ხიდისთავში. 996

დამწუხრებული დისშვილები: აკაკი, სამსონ, პელაგია, ფიფიები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ გამზრდელი ბიძის
დომენტი ლომთათიძის
სოფ მეწიეთში (ხიდისთავი) გარდაცვალების გამო 996

გულდამწვარი ცოლი მატრონა, შვილები: თამარი, გაიოზი ქეთო, რუსუდანი, სიმონი გიორგი და სიძეები ზესა [illegible] ზიძები ღრმა მწუხარებით იუწყებიან
მოსე აბრამის-ძე ლიპარტელიანის
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4 საათზე, ნუხის № 13. 955

სახ.-სამ. მუშფაკის სტუდენტთა პროფკომი მწუხარებით იუწყება მუშფაკის საუკეთესო ლექტორის დაუღალავ საზოგადო მუშაკის
მოსე აბრამის-ძე ლიპარტელიანის
ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ დაკარგვას. 952

სახ. სამ. მუშფაკის ადმინისტრაცია ლექტორები და ტექნიკური პერსონალი მწუხარებით იუწყება მუშფაკის საუკეთესო ლექტორის და სახოგადო მუშაკის
მოსე აბრამის-ძე ლიპარტელიანის
გარდაცვალებას. გამოსვენება ნუხის ქუჩა № 13-დან (ავლაბარი) დღის 4 საათზე 952

გულდათუთქული: ცოლი ტასო, შვილები: კოლა, ივანე, თამარა და სიმონი იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ
გიორგი სიმონის-ძე ხუროშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 6 თებერვალს 1 ლ საათზე. დავითაშვილის ქ. № 4, დაკრძალვა სოფ. ოკამში. 962

მუშათა განათლების კომბინატის კომპარტიის და კომკავშირის ბიურო-კოლექტივები, თანამშრომლები, მსმენელები და დირექცია იუწყებიან ამავე კომბინატის კომკავშირის უჯრედის მდივნის ამხ. ივანე ხუროშვილის საყვარელი მამის
გიორგი ხუროშვილის
გარდაცვალებას. 995

მეუღლე მაკრინე, შვილები: მინადორა, ანა, ელენე, იოსებ, ისაკი, ნიკოლოზ, სილოვანი, რძლები: ნინო, ვერა, ცოლის ძმა ივანე ჩიჯავაძე იუწყებიან
სიმონ ივანეს-ძე ბეიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 7 თებერვალს ქუთაისში. 976

დამწუხრებულნი: მამა საბა, ძმები: ვარლამი, ვასიკო, ილუშა, მიშა, რძლები: ლიუბა, ნატალია გვანცელაძეები იუწყებიან საყვარელ
გიორგი საბას-ძე გვანცელაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში 9 თებერვალს 4 ს. ოლ სკურის სასაფლაოზე. გამოსვენება ბარათაშვილის ქ. № 19. 973

გაუბედურებულნი მშობლები: ბაბუცა, მალაქია, და ნინა იუწყებიან, რომ დღეს, 5 საათზე. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი საყვარელ და დაუვიწყარ ტრაგიკულად დაღუპულ
შურა მალაქიას-ძე ბარკალაიას
ხსოვნის აღსანიშნავად. 969

დამწუხრებული მეუღლე მართა, შვილები: მარიამი, ზაქარია, ნინო, თამარი, ვახტანგი. რძალი ლიდია შვილიშვილებით ულრმეს მადლობას უხდიან ნათესავ-მეგობრებს, რომელთაც გაიზიარეს ჩვენი მწუხარება
სიმონ გრიგოლის-ძე კოშკაძის
გარდაცვალების გამო. 993

დამწუხრებული მშობლები სამუელი, მაკრინე, დები: ზინა, ლეილა, თინა, ბაბუა ილია ბისტროვ, ბებია მარო, ბიძები: არონ, სიმონ, ბიცოლა, ოლია, ლომაძეები, იუწყებიან საყვარელ
მიშიკოს
გარდაცვალებას გამოსვენება 7 თებერვალს, 5 საათზე ამაღლების ქ. № 15 958

დამწუხრებული ბაბუა ხოცი, ბებია ლიზა. ბიძა მიშა, დეიდები: ნინა, ქეთო ქმრებით, მატა, ანნა და მარო ქიყონიები იუწყებიან დაუვიწყარ
მიშიკო სამუელის-ძე ლომაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 7 თებერვალს. 5 საათზე ამაღლების ქ. № 15. 958

უახლოესი მოყვრეები: ისიდორე, პეპი, ვანო, პალადი, კატუშა, შოთა, ბაბუცა პატარაიები უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ მათთვის საყვარელ
მიშიკო სამუელის-ძე ლომაძის
გარდაცვალების გამო. 958

გულდათუთქული ქმარი სპირიდონი შვილებით: მირიკო, ნაზიკო, მიშიკო, მამა იოსები, დედა მინადორა, ბახტაძეები და მისი ერთგული ნინა ყურაშვილი იუწყებიან
ვერა იოსების-ას. ჯალაღანიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ხონში 7 თებერვალს. 972

დამწუხრებული ბიძაშვილი: ბარნაბა, ეკატერინე შვილებით: შურა, ჟორა, კარლო, თამარა, თინა რძლებით: ვერა. ლილი სანაძეები გამოსთქვამენ მწუხარებას
ვერა ბახტაძე-ჯალაღანიას
დაკარგვის გამო. 990

დამწუხრებულნი: მამიდა პოლიკო და ბესარიონ ნადარეიშვილი შვილებით, სიძეებით, რძლით და შვილიშვილებით დასტირიან მათთვის უძვირფასეს
ვერა იოსების ას. ჯალაღანიას
უდროოდ დაკარგვას. 994

კოსტა, კასიანა, კატო და შოთა დათუაშვილები, ოლია და ვახო მაძღლუები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მათთვის ძვირფასი
ნინო დათუაშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. შუახოროგაში 7 თებერვალს. 977

დამწუხრებული ქმარი ვახო მშობლებით და ძმებით იუწყებიან რომ 6 თებერვალს 5 ს. ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
ეკატერინე ივ.-ას მათიაშვილი
ხსოვნის აღსანიშნავად. 944

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ელპიტე, შვილი გრიშა მეუღლით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი
მელქისედეკ [illegible]აფლამის-ძე ხუნდაძე
დასაფლავება კვირას ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება გრიბოედოვის ქ. № 34/ 963

მწუხარებაში მყოფნი მშობლები ელისაბედი, შალვა, [illegible] ნინა და ჩხაიძე იუწყებიან რომ 6 თებერვალს 4 საათზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი
სოფიო შალვას ას. ტატიშვილის
ვერის ახალ სასაფლაოზე. 959

დაბეჭდ. „კომუნისტი"-ს გამომცემლობის სტამბა
მთავლიტის რწმუნებული ა 975